

2009



# საქართველოს იულოლოთეკა

2009

ქართული ნაბეჭდი წიგნის  
საიუბილეო წელი

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი - 1629

პირველი სტამბა საქართველოში - 1709

ISSN 1512-0880

№2 (35) 2009

# საქართველოს




# ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:  
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
 საქართველოს პარლამენტის  
 ეროვნული ბიბლიოთეკა  
 ტელ.: 36-09-51

ქურნალის რედაქცია:  
 ადექსანდრე დორია  
 - მთავარი რედაქტორი  
 გურამ თაყნიაშვილი  
 - მთავარი რედაქტორის  
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
 გუდნარა სჭურუა  
 - სამეცნიერო-მეთოდური და  
 კორექტორული მუშაობის  
 რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაციის „ალი“  
 დამფუძნებლები: საქართველოს  
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის  
 სახელობის ეროვნული  
 ბიბლიოთეკა; საქართველოს  
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 (35) - 09  
შინაარსი

სკოლის ბიბლიოთეკა და მოსწავლე .....	4
<b>ბიბლიოთეკათმცოდნეობა</b>	
ალექსანდრე ლორია - საბიბლიოთეკო ტიპების სისტემა .....	6
<b>წიგნის ისტორია</b>	
ფრიდონ ოპიზარი - სულითა და ხორციტ განათლებისათვის .....	11
დალი მაჩაიძე - პირველი ქართული სტამბის გამოცემები ეროვნული ბიბლიოთეკის საგანძურიდან .....	13
მანანა დეკანოსიძე - ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის .....	17
<b>ბიბლიოთეკის ისტორია</b>	
დარეჯან კოტეტიშვილი - კავთისხევის საზოგადო-საეკლესიო წიგნსაცავი .....	20
<b>ქართული ქორონიკონი</b>	
გიორგი სარაჯიშვილი - ქართული ქვარონიკონი, რომელმაც ილია ალაფრთოვანა .....	22
<b>ბავშვთა კითხვა</b>	
გურამ თაყნიაშვილი - სიკეთის სახით განფენილი ცოდნა და გამოცდილება .....	24
<b>გვესაუბრება პროფესიონალი</b>	
ლილი გორდელაძე - თბილისის საჯარო ბიბლიოთეკები გარდაქმნის ეტაპზე .....	27
<b>საინფორმაციო ტექნოლოგიები</b>	
ნანა ქავთარაძე - ელექტრონული ბიბლიოთეკა გლობალურ საინფორმაციო ქსელში .....	28
<b>კორესპონდენციები</b>	
მზია ჭელიძე - რაც მომავლის იმედით გვავესებს .....	33
მანანა ყაზანაშვილი - ამ ღონისძიებამ ბევრი მიაჯაჭვა ჩემსავით წიგნს .....	34
<b>მოსაზრება</b>	
სალომე მირზაშვილი - "სილაყვარდე, ანუ ვარდი სილაში" .....	35
<b>მოგონებები</b>	
ოთარ ოსაძე - კაცი რომელსაც თბილისი და წიგნი უყვარდა (ი. გრიშაშვილი - 120) .....	37
<b>სიტყვა პროფესიონალზე</b>	
ნანა მერებაშვილი - "უშენოდ ვერ ვიცოცხლებ" .....	40
<b>საოჯახო არქივიდან</b>	
იური სიხარულიძე - ბრწყინვალე სამეუღლი .....	41
<b>რეცენზიები</b>	
ფრიდონ სიხარულიძე - დაშორება 600 წელი .....	42
ლალი ყაულაშვილი - წიგნი-პლაგიატი .....	43
<b>ინფორმაციები</b>	
ქეთევან კენკებაშვილი - ჰაერით საჭირო წიგნები .....	46
მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა .....	49
<b>ჩვენი შემოქმედება</b>	
მარიამ შამფრიანი - აფხაზეთი, სამაჩაბლო, საქართველო .....	49
<b>კონწარას კლუბი</b>	
კონწარა - რეფერირება კომენტარებით .....	51
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები .....	55
<b>ნეკროლოგი</b>	
დოდო პაპუაშვილი .....	5ხ

# БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №2 (35) -09

## Содержание

Школьная библиотека и ученик .....	4
<b>Библиотекведение</b>	
Александр Лория – Система типов библиотек .....	6
<b>История Грузинской книги</b>	
Фридон Опизари – Для восприятия духом.....	11
Дали Мачаидзе – Издания первой грузинской типографии в сокровищнице национальной библиотеки .....	13
Манана Деканосидзе – К истории печатания грузинской книги .....	17
<b>История библиотек</b>	
Дареджан Котетишвили – Книгохранилище церковной общины Кавтисхеви .....	20
<b>Грузинский хороникон</b>	
გიორგი სარაჯიშვილი – Грузинский квароникон .....	22
<b>Детское чтение</b>	
Гурам Такнишвили - Знание и опыт, раскрытые добром .....	24
<b>Беседует профессионал</b>	
Лили Горделадзе – Этап перестройки публичных библиотек Тбилиси .....	27
<b>Информационные технологии</b>	
ნანა კავთარაძე – Электронная библиотека в глобальной информационнои сети .....	28
<b>Корреспонденции</b>	
Мзия Челидзе – Что воодушевляет нас надеждой на будущее .....	33
Манана Кабанашвили – Это мероприятие многих, как и меня, привлекла к книге .....	34
<b>Мнения</b>	
სალომე მირზაშვილი – "Лазурь, или роза в песке" .....	35
Отар Осадзе – Человек, который любил Тбилиси и книги (И. Гришашвили – 120) .....	37
<b>Слово о профессионале</b>	
ნანა მერებაშვილი – "Я без тебя не могу жить" .....	40
<b>Семейный архив</b>	
Юрий Сихарулидзе – Блистательная тройка .....	41
<b>Рецензии</b>	
Фридон Сихарулидзе – Отдаление на 600 лет .....	42
ლალი კაულაშვილი – Книга-плагиат .....	43
<b>Информации</b>	
Кетеван Кенкебашвили – Книги, нужные как воздух .....	46
Цифровая библиотека мира .....	49
<b>Наше творчество</b>	
მარიამ შამპრიანი – Абхазия, Самачабло - Грузия .....	49
<b>Клуб Концары</b>	
Концара – Реферирование с комментариями .....	51
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии .....	55
<b>Некролог</b>	
ლუიზა (დოდო) პაპუაშვილი .....	56

## Georgian Library, 2 (35) - 09

### Table of content

The School Library and the Student .....	4
<b>Library Studies</b>	
Aleqsandre Loria – The Sustem of Library Types .....	6
<b>Book History</b>	
Pridon Sikharulidze – On the History of Georgian Books .....	11
Dali Machaidze – The Editions by the First Georgian Printing House the Tresury of the National Library .....	13
Manana Dekanosidze – On the Short History of the Georgian Printed Book .....	17
<b>History of Libtaties</b>	
Darejan Kotetishvili – The Public-Clerical Book Depository of Kavtiskhevi .....	20
<b>Georgian Qoronikoni (an ancient Georgian calendar era)</b>	
Giorgi Sarajishvili – The Georgian Qoronikoni That Amazed Iliia Chavchavadze .....	22
<b>Children's Reading</b>	
Guram Takniashvili – Knowledge and Experince Spread As the Good .....	24
<b>Prof Talk</b>	
Lili Gordeladze – Another Stage in the Transformation of Tbilis Public Libraries .....	27
<b>Information Technology</b>	
Nana Qavtaradze – The Electronic Library in the Global Information Newbook.....	28
<b>Correspondence</b>	
Mzia Chelidze – What Gives Us Hope.....	33
Manana Kabanashvili – Lots of People, Like Me, Got Absorbed by the Book .....	34
<b>Opinion</b>	
Salome Mirzashvili – “Azure-Land, or Rose in Sand” .....	35
<b>Recollections</b>	
Otar Osadze – A Man Who Loved Tbilisi and the Book (I. Grishashvili-120) .....	37
<b>A Few Words on a Propessional</b>	
Nana Merabashvili – I Won't Live Without You .....	40
<b>From the Family Archive</b>	
Luri Sikarulidze – Tge Magnificent Three .....	41
<b>Reviews</b>	
Pridon Sikharulidze – The Distance of 600 Years .....	42
Kaki Favlashvili – A Plagiaristic Book .....	43
<b>Information</b>	
Ketevan Kenkebashvili – The Book Meeded Like the Air We Breathe.....	46
The World Digital Library.....	49
<b>Works of Our Own</b>	
Mariam Shampriani – ABkhazia, Samachablo, Georgia .....	49
<b>Kontsara's Club</b>	
Kontsara – An Abstaract with Comments .....	51
<b>Chronicle</b>	
The Chronicle of the Georgian Library Life: Events, Facts.....	57
<b>Obituary</b>	
Luiza (Dodo) Papuashvili .....	56

# სკოლის ბიბლიოთეკა და მოსწავლე

სკოლის ბიბლიოთეკა, როგორც არასდროს, დღეს მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში აქტიურ ჩართვას, რაც უკვე კანონმდებლობითი მოთხოვნაა და მას გვერდს ვერ ავუვლით. ეს სკოლის ბიბლიოთეკებს სავსებით განსხვავებულ, ახლებურ, თვისებრივად სხვაგვარ საქმიანობას, მიზნებსა და ამოცანებს ავალეს, სულ სხვაგვარია მისი დანიშნულებაც, ვიდრე აქამდე იყო. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურნალში არაერთხელ დანერგა, და ახლა მხოლოდ მოკლედ თქმას დავჯერდებით: სკოლის ბიბლიოთეკა სულ უფრო და უფრო იქცევა მედია და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, მეტად და მეტად იჭრება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, და უკვე აუცილებლობა მოითხოვს, ბიბლიოთეკარებმა და პედაგოგებმა ერთობლივად იზრუნონ ამაზე, შეიმუშაონ ერთიანი მეთოდები ამ მიმართულებით.

თვალნათლივ ჩანს, რომ უკვე ჩვენი სკოლების მოსწავლეები სულ სხვაგვარი თვისებებით, შეხედულებებით, ეთიკით, ინტერესებითა და მოთხოვნილებებით ხასიათდებიან, ვიდრე მანამდელი მოსწავლეები. აღარაა ადვილი მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება, აღარ ჭრის ვოლუნტარული მეთოდები: მოსწავლეთა კითხვის მართვა, დაყოფილება, დარწმუნება, ზემოქმედება.

გართულებულია თვით ბიბლიოთეკის მართვა. როგორც იფლა და იუნესკო თავიანთ "რეკომენდაციებში" გვთავაზობენ, სკოლის ბიბლიოთეკა უნდა იმართებოდეს გამჭვირვალედ, სტრუქტურული პოლიტიკის ჩარჩოებში. მან უნდა განსაზღვროს, როდის, სად, ვისთვის და ვის მიერ იქნება რეალიზებული ბიბლიოთეკის მთელი პოტენციალი. მათი დაკვირვებით, იმ ბიბლიოთეკებში, სადაც კარგადაა ორგანიზებული საბიბლიოთეკო საქმე, სადაც სასწავლო პროცესი ბიბლიოთეკასთან კორდინირებულია, იმ სკოლაში მოსწავლეთა მოსწრების დონეც შესამჩნევად მაღალია. შეიძლება პირუკუთაც ითქვას: სადაც მაღალი მოსწრებაა სკოლაში, მოსწავლეები ახალი მეთოდებით ეუფლებიან ცოდნას, სადაც დანერგილია ინტერაქტიული სწავლება, ეს დასტურია იმისა, რომ აქ ბიბლიოთეკა კარგად მუშაობს და პედაგოგებთან ინტეგრირებულად მოქმედებს.

როგორადაც არ უნდა იყოს, სკოლის ბიბლიოთე-

კისათვის მთავარი მაინც მოსწავლეებთან წარმატებული ურთიერთობაა. ეს საქმიანობა განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. ჩვენს სკოლებში, როგორც წესი, მეტად მრავალგვარი მომხმარებელია, როგორც ასაკით, ისე ინტერესებით, კითხვის კულტურის დონით, დისციპლინარული რეჟიმით, მოთხოვნებითა და სხვა თავისებურებებით; ბიბლიოთეკარი კი თითქმის ყველგან ერთია, ეს არ არის ნორმალური ვითარება. ჩვენი ღრმა რწმენით, სრული დატვირთვის სკოლებში აუცილებლად უნდა იყოს ორი ბიბლიოთეკარი (კონტინენტის მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს). ერთი უნდა მუშაობდეს დამწყებ - პატარა მკითხველებთან, მეორე - უკვე ნაცად მკითხველებთან - მოზარდებთან.

სკოლის ბიბლიოთეკისათვის ერთ-ერთ მთავარ საქმეს ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვა წარმოადგენს. მოსწავლეთა დაინტერესება ბიბლიოთეკით თავისთავად იწვევს ბიბლიოთეკაზე მოთხოვნილების ზრდას. ეს კი განაპირობებს აქ მუშაობის დონის ამაღლებას. ამისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს ორგანიზაცია. საერთოდ, ბიბლიოთეკის გაფორმებას, მის გარეგნულ იერსახეს დიდი მიმზიდველი ძალა აქვს. ასევე პოზიტიურად მოქმედებს მოსწავლეებზე ახალი წიგნების შემოტანა, საინტერესო და სახალისო ინფორმაციის მიწოდება, მდიდარი პერიოდული მასალის გამოფენა, საინტერესო მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ელექტრონული და აუდიოვიზუალური მონოობილობები და სხვ. მოსწავლე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო ელექტრონული საშუალებით. საერთოდ, რეკომენდირებულია, სკოლის ბიბლიოთეკაში იყოს: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, სხვადასხვა ასაკისა და დონის შესაფერისი საზოგადო მოხმარების კატალოგები, ფირსაკრავები, სიდერომ პლეიერები, სკანირებისათვის საჭირო აღჭურვილობა, ვიდეოპლეიერები და სხვა.

უნდა გავითვალისწინოთ ფიზიკურად უნარდაქვეითებული ბავშვების მომსახურების სპეციფიკური მხარეები, მათთვის შესაფერისი ღონისძიებების ჩატარება.

სკოლის ბიბლიოთეკა უნდა ფლობდეს ისეთ მასალებს, რომლებიც მოსწავლეთა დასვენება-გართობისათვის გამოიყენება: სახალისო ელექ-

ტრონული წიგნები, ბუკლეტები, გრაფიკული გამოცემები, ალბომები, პლაკატები, რეზუსები, კროსვორდები, მუსიკალური ჩანაწერები ინდივიდუალური მოსმენის აპარატურით, ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს საშუალება, პატარებს შესთავაზოს კომპიუტერული თამაშები, ვიდეოკასეტები და ლაზერული დისკები.

თუ ყოველივე ამას ემატება მაღალკულტურული მომსახურება, რომელსაც ნამდვილი პროფესიონალები ეწევიან, თუ არსებობს ერთმანეთს შორის დახვეწილი ეთიკური ურთიერთობა, ბიბლიოთეკარი გამოიჩინებს გულსხმიერებით, კეთილგანწყობით, გულმოდგინე მოსმენით, თხოვნის უეჭველად შესრულებით, არის ავტორიტეტული და პრესტიჟული პიროვნება, მაშინ არ გაჭირდება ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა მოზიდვა და ხანგრძლივი დროით განევრიალება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სკოლის ბიბლიოთეკის ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი - მოსწავლეები, უაღრესად მრავალფეროვანი, რთული, ჭირვეული, ძნელად გასაგები მომხმარებლები არიან. მაგრამ ამავე დროს ისინი მზად არიან თანამშრომლობისა და დახმარებისათვის. სწორედ ეს თვისებები უწყობს ხელს ბიბლიოთეკარს, ადვილად დაამყაროს ურთიერთობა თავის მკითხველებთან, დაიახლოვოს ისინი და მრავალი საქმის თანამონაწილენი გახადოს, გაშინაურდნენ ბიბლიოთეკაში და გაითავისონ იქაური გარემო, ჩაებან საბიბლიოთეკო კითხვაში.

სკოლის ბიბლიოთეკა მოსწავლისათვის ყოველმხრივი განვითარების საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ის სხვადასხვა მიზნისთვის, როგორც ღია თავისუფალი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეეძლება იმუშაოს როგორც ნებისმიერი დავალების შესრულებაზე, ისე თავისი ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და გონივრულ დასვენება-გართობაზე. ეს შეიძლება ხდებოდეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ურთიერთობის პირობებში. მოსწავლისათვის ბიბლიოთეკა ყოველდღიური მოხმარების ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ასევე ყოველდღიური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს სკოლის ბიბლიოთეკარისათვის მოსწავლეებთან საქმიანი ურთიერთობის ორგანიზაცია. ეს საქმე უნდა იგეგმებოდეს, ხდებოდეს მისი წინასწარი მოფიქრება და გააზრება - როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი, რამდენადაც შეიძლება, მჭიდრო ურთიერთობა რომ დამყარდეს მკითხველებთან. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ მომსახურებაზე, არამედ მოსწავლეთა შრომის გამოყენებაზე ბიბლიოთეკაში, მოსწავლეთა საბიბლიოთეკო პროცესებში ჩართვაზე. ბიბლიოთეკარისთვის აუცილებელია, დაუფლებული იყოს მოსწავლეებთან ურთიერთობის პედაგოგიურ ხელოვნებას, პროფესიულად იყენებდეს ამისათვის საჭირო ფორმებსა და მეთოდებს.

რომ უფრო შედეგიანი იყოს ბიბლიოთეკარის ურთიერთობა მოსწავლეებთან და მათთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება საჭიროა:

- ბიბლიოთეკაში შეიქმნას მოსწავლეებისაგან ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი - სხვადასხვა კლასებისაგან შემდგარი აქტივი, რომელიც მზადაა, მოეხმაროს ბიბლიოთეკას სხვადასხვა საქმის წარმოებაში: ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა კლასებთან და ცალკეულ მოსწავლეებთან, მსჯელობა საჭირობოროტო საკითხებზე და აზრის გამოსხატვა თათბირებზე, მონაწილეობა სამუშაო გეგმების შედგენაზე, ღონისძიებების განსაზღვრა, თემატიკის შერჩევა და სხვ.;

- შედგეს წიგნის მოყვარულთა და რესტავრატორთა ჯგუფი;

- შეიქმნას დეკლამატორთა და ხმამაღლა მკითხველთა ჯგუფი;

- ამორჩეულ იქნეს კლასების მიხედვით ბიბლიოთეკის ინფორმატორი, რომელსაც მუდმივი კონტაქტი ექნება ბიბლიოთეკასთან და აქ მომხდარ სიახლეებზე, საყურადღებო მოვლენებზე ინფორმაციას მიაწვდის თანაკლასელებს;

- გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკასთან შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა კლუბები (წრეები), როგორცაა ნორჩ შემოქმედთა გაერთიანება, წიგნით მოგზაურთა კლუბი, კროსვორდისტთა ჯგუფი, ინფორმატორთა აქტივი, სხვადასხვა ინტერესთა წარმომადგენლების კლუბები და გაერთიანებები. ცხადია, ამოდენა მოცულობის საქმეს მხოლოდ ბიბლიოთეკარი ვერ მოერევს, თუ პედაგოგთა მხარდაჭერა არ ექნა და თვით მოსწავლეებმა არ გამოიჩინეს ინიციატივა. ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რას მიმართოს ბიბლიოთეკარმა, რა გააკეთოს, რა მეთოდები და ფორმები შეარჩიოს, რა იქნება უფრო ხელსაყრელი და განსახორციელებლად მოსახერხებელი ამა თუ იმ სკოლისათვის, რამდენად შეეფერება ის სკოლის სპეციფიკას, შესაძლებლობებსა და პროფილს.

ჩვენს ვითარებაში სკოლების ბიბლიოთეკების უმრავლესობა პროფესიონალი კადრების სიმცირეს განიცდის, დაბალია მათი მეთოდოლოგიური მზაობა, სუსტია კონტაქტები მოსწავლეებთან და მათი გამოყენების შესაძლებლობები არ მიიღება მხედველობაში.

მიზანშეწონილია, სკოლის ბიბლიოთეკარმა თავის თავზე მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსწავლეებთან ურთიერთობის საქმის შესწავლასა და ეცადოს, დაეუფლოს ამ მიმართულებით საჭირო მეთოდებს. მკითხველთა ფართო ფენებთან პროფესიული ურთიერთობა საწინდარია მთლიანად ბიბლიოთეკის წარმატებულად მუშაობისა. ამიტომაც საჭიროა ამ თვალსაზრისით გაძლიერდეს სასწავლო-მეთოდოლოგიური მუშაობა და გამოცდილების გაზიარების ნაცადი პრაქტიკა.

## ბიბლიოთეკათმცოდნეობა

ალექსანდრე ლორია

# საბიბლიოთეკო ტიპების სისტემა

(გამოკვლევა)

ბიბლიოთეკების ტიპებად დაყოფას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს პროცესი საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვაგვარი ბიბლიოთეკების გაჩენასთან ერთად, მაგრამ მისი თეორიული გააზრება და ბიბლიოთეკების კლასიფიცირება გვიან იკიდებს ფეხს, როდესაც ბიბლიოთეკათმცოდნეობა ყალიბდება როგორც მეცნიერება.

ბიბლიოთეკების ტიპიზაციას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამიტომაც მიაქციეს მას ყურადღება სპეციალისტებმა.

ისტორიულად ბიბლიოთეკები სავსებით დამოუკიდებლად არსებობდა და სრულებითაც არ იყო საინტერესო, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნებოდა ის. ამით დაინტერესება ჩნდება მას შემდეგ, რაც იქმნება საბიბლიოთეკო სისტემები, ჩნდება სხვადასხვა სახისა და კუთვნილების ბიბლიოთეკების ერთობლიობა.

საბიბლიოთეკო ტიპი იმის მიხედვით დგინდება, თუ რითი გამოირჩევა ის სხვა ბიბლიოთეკებისაგან. ამისათვის გამოიყენებენ სხვადასხვა განმასხვავებელ ნიშნებს, რასაც უდებენ საფუძვლად ტიპიზაციას. ეს ნიშნები უმეტესად არაერთგვაროვნად გამოიყენება და ამის გამოც ტიპებად დაყოფის სქემებიც არაერთგვაროვანია.

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია საბიბლიოთეკო საქმის ისტორიული ეპოქების განხილვისას ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რა ტიპის ბიბლიოთეკები იქმნებოდა ამა თუ იმ ეტაპზე, როგორადაც ამას აკეთებენ თანამედროვე მკვლევარები<sup>1</sup>.

ტიპიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია საბიბლიოთეკო სისტემის შექმნისათვის. რამ-

დენადაც უფრო სრულყოფილი და რაციონალურია ტიპიზაცია, იმდენად უფრო მოსახერხებელია საბიბლიოთეკო სისტემის აგება, მისი სრულყოფა და მიზანსწრაფულად წარმართვა.

ტიპების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა რაიმე ნიშანი, რომელიც დაედება საფუძვლად ტიპიზაციას. ეს ნიშანი ჯგუფში შემავალი ყველა ბიბლიოთეკისათვის საერთო უნდა იყოს, ე.ი. ტიპიური.

მრავალი თეორიული მოსაზრებაა გამოთქმული საბიბლიოთეკო ტიპიზაციის შესახებ. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები სხვადასხვაგვარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ და თავისებურად აყალიბებდნენ საბიბლიოთეკო ტიპებს, რაც არაა გასაკვირი, რადგანაც სხვადასხვა ქვეყანაში საბიბლიოთეკო ტიპების ჩამოყალიბების ტრადიციები სავსებით განსხვავებულია. ასეთ ვითარებაში აბსოლუტურად ერთნაირი, ყველასათვის მისაღები ტიპების საკლასიფიკაციო სქემის შედგენა შეუძლებელია. ტიპებად დაყოფა ხდება კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში ადგილობრივი პირობების შესაბამისად, და უმთავრესად სახელმწიფოებრივი ორგანოების შეხედულებებით და არა მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დამუშავების გზით.

ჯერ კიდევ არ არის ზუსტად განსაზღვრული და მეცნიერულად დასაბუთებული ტიპოლოგიური სქემები. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ თვით ცნება „ტიპი“, დეფინიციის თვალსაზრისით, საკმაოდ ბლანტეა და ვერაა სრულყოფილად მორგებული საბიბლიოთეკო ტიპიზაციის გაგებაზე. ბიბლიოთეკათმცოდნეობაში აქამდე ვერაა მკვეთრად ჩამოყალიბებული, თუ რას უნდა ეწოდოს „ბიბლიოთეკის ტიპი“. ისტორიულად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა სპეცი-

1 მაგალითად იხ.: Володин Б. Ф. Всемирная история библиотек. - СПб, 2002.



ალისტების მიერ არაერთგვაროვანი შეხედულებები გამოითქმოდა.

ზოგი მიჩნევს, რომ ტიპებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ბიბლიოთეკების დანიშნულება, მიზნები და ფუნქციები; არის მოსაზრება, რომ საფუძვლად უნდა იქნეს ადებული ფონდების შინაარსი (უნივერსალური, დარგობრივი), აგრეთვე მოითხოვენ, რომ ტიპები ფონდების მოცულობამ განაპირობოს; ზოგიც ტიპიზაციის სქემას ბიბლიოთეკის კუთვნილებით ნიშანს უდებს საფუძვლად, ანუ ვინ ითვლება მის დამფუძნებლად; ზოგიც, საერთოდ, სქემის შედგენისას სხვადასხვა ნიშანს ერთდროულად იყენებს, რასაც ეკლექტიკამდე მივყავართ და არალოგიკურია.

თვით ცხოვრებისეული აუცილებლობა გვკარნახობს, ტიპიზაციას საფუძვლად მეცნიერულად შესწავლილი, დასაბუთებული, არგუმენტირებული მოსაზრებები დაედოს, რაც საყოველთაოდ მისაღები იქნება, და, ცხადია, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებასაც მიიღებს მხედველობაში.

საბჭოთა კავშირში, და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ამ საქმისადმი ასევე განსხვავებული შეხედულებები გამოითქმოდა. არაერთი ცდა იყო, რომ როგორმე სსრ კავშირში სწორად ჩამოყალიბებულიყო საბიბლიოთეკო ტიპები. ამ მიმართულებით (სხვადასხვა დროს) მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერებიც (მ. პოტაპოვი, ი. ფრუმინი, ო. ჩუბარია-ნი, ი. სტოლიაროვი, მ. აკილინა, ი. ჟადკო, ნ. კარტაშოვი და სხვ.). ხელისუფლების დაკვეთით 1934 წელს საკავშირო აღწერისათვის პირველად იქნა ოფიციალურად შემოღებული ბიბლიოთეკების ტიპოლოგიური სქემა; 1956 წელს საკავშირო სტატისტიკურმა სამმართველომ თავისი სქემა გამოაქვეყნა; 1963 წ. გამოქვეყნდა „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კლასიფიკაცია“. ამასთან დაკავშირებით საქართველოშიც გამოითქვა მოსაზრებები (ნ. ლორთქიფანიძე, ფ. ყურაშვილი და სხვ.). 1996 წ. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საბიბლიოთეკო კანონში მკაფიოდ არის მოცემული საბიბლიოთეკო ტიპების ჩამონათვალი, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია და შეესატყვისება ადგილობრივ პირობებს.

სხვადასხვა შეხედულებები იქნა გამოხატული სპეციალური უმაღლესი სასწავლებ-

ლების სახელმძვანელოებსა და სხვადასხვა ტიპის ცნობარებში<sup>2</sup>. საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში საბიბლიოთეკო სტანდარტების შემოღება, რაც დიდად უწყობდა ხელს ტიპიზაციის სტანდარტულობის დამკვიდრებას<sup>3</sup>.

ტიპიზაციის საკითხებს ყველა ქვეყანაში ექვეყნა ყურადღება. განსაკუთრებით მრავლად განიხილება ისინი საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის ამსახველ ლიტერატურასა და ცნობარებში, მაგრამ ყველაზე საგულისხმოა იფლას რეკომენდაციები, თუმცა არც მისი მიხედვით არ მომხდარა ტიპიზაციის სქემის უნიფიცირება, რაც ესოდენ საჭიროა თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობისათვის.

განსაკუთრებულ უხერხულობას ქმნის ის გარემოება, რომ არ არსებობს ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ საბიბლიოთეკო ტიპს, ანუ ტიპიზაციას რა უნდა დაედოს საფუძვლად, რა ნიშნის მიხედვით მოხდეს ბიბლიოთეკების დაჯგუფება, რა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს, რამდენად შეეფერება ჭეშმარიტებას ტიპიზაციის სქემა, რომლის მიხედვითაც ხდება ტიპების შექმნა.

ეს რომ მოხდეს, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვროს, თუ რამდენად აუცილებელია ამის გაკეთება და რა უნდა იქნეს გათვალისწინებული ტიპიზაციისას, რა მოთხოვნები წაეყენება მას.

ტიპიზაციის აუცილებლობის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს. ყველა აღიარებს, რომ მას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ამ საქმის ღირებულებაზე საკმაოდ ლაკონურად და განზოგადებულად აქვთ ჩამოყალიბებული ფ. ყურაშვილსა და ნ. გურგენიძეს თავიანთ ნიგნში<sup>4</sup>.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის, თუ რა უნდა იქნეს გათვალისწინებული ტიპიზაციის დროს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება პრინციპები (იგივე კრიტერიუმები), რომლებიც საფუძვლად დაედება ტიპოლოგიურ სქემას და საყოველთაოდ მიღებული

2 მაგალითად ნახ.: Библиотечное дело: Терминологический словарь. – М., 1986; Чубарьян О. Общее библиотековедение. – М., 1976; Справочник библиотекаря. – М., 2002 და სხვ.

3 იხ. Стандарты по библиотечному делу и библиография. – М., 1985.

4 ყურაშვილი ფ., გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები. – თბ., 1996.

იქნება. ეს პრინციპები სავსებით მისაღებად აქვს განზოგადებული ო. ჩუბარიანს თავის სახელმძღვანელოში<sup>5</sup>. ჩვენი აზრით, ეს პრინციპები ყოველმხრივ ამართლებს მოთხოვნას ტიპიზაციის ერთიანობაზე. ყველა სპეციალისტისათვის ის მხედველობაში მისაღები უნდა იყოს, ტიპიზაციის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

1. ტიპების ჩამოყალიბებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა (თავისთავად იგულისხმება ადგილობრივი პირობების გათვალისწინება) 2. ერთ და იმავე ტიპურ ჯგუფებში შემავალი ბიბლიოთეკები, სპეციფიკური თვალსაზრისით, უნდა ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, დაახლოებით მოცემული ნიშნის მიხედვით იდენტური უნდა იყვნენ, ძირითადი ფუნქციებით ერთგვაროვნობა ახასიათებდეს (ამოცანები, დანიშნულება, მიზნები, მომსახურების სპეციფიკა და ა.შ.); 3. სხვადასხვა ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ ბიბლიოთეკებს შორის მიჯნის გავლება ბუნებრივად უნდა ხდებოდეს, თვალნათლივ ჩანდეს განსხვავებები.

ჩვენი მხრივ დაუშვებელია მეოთხე პრინციპს: ტიპებად დაჯგუფება ყველა ბიბლიოთეკის მიმართ ერთი და იმავე ნიშნით უნდა ხდებოდეს და მხოლოდ ეს ერთადერთი ნიშანი გამოიყენებოდეს და არა რამდენიმე ერთად ერთ და იმავე დროს.

სხვათა შორის, ამჟამად არსებული სქემები ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს რომელიმე პუნქტის მიმართ მაინც, რის გამოც ასეთი სქემა თავისთავად ხარვეზიანია. თუნდაც ავიღოთ იუნესკოს დაყოფა: 1. ნაციონალური; 2. უმაღლესი სასწავლებლების; 3. უნივერსალური; 4. სპეციალური; 5. სასკოლო; 6. საჯარო. როგორც ვხედავთ, აქ გამოყენებულია როგორც დანიშნულების ნიშანი, (ნაციონალური, სასკოლო, საჯარო), ისე ფონდის შინაარსის გამომხატველი ნიშანი (უნივერსალური, სპეციალური) და კუთვნილებითი (უმაღლესი სასწავლებლის), ამიტომაც ეს სქემაც არალოგიკურია. განა უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკა იმავე დროს არ იქნება უნივერსალურიც ან სპეციალურიც? ანალოგიურად ითქმის სხვა ბიბლიოთეკებზეც. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სტანდარტიზაციით გამოყოფილ ტიპებზე: 1. ნაციონალური; 2. უმაღლე-

სი სასწავლებლის; 3. სპეციალური; 4. საჯარო; 5. სასკოლო; 6. მოძრავი; 7. საცნობარო; 8. საპატენტო<sup>6</sup>.

ასევე ლოგიკურობით მოიკოჭლებს ბევრი სქემა. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, აქ უფრო დიდი შეცდომაა დაშვებული: ტიპებად დაყოფის ნიშნად მიღებულია ბიბლიოთეკის განკუთვნილება მისი დამფუძნებლების მიხედვით, თუმცა ის მისაღებია, რომ მხოლოდ ერთი ნიშნით ხდება ყველას დაჯგუფება და არა შერეულად., ეს სქემა მოცემულია რუსეთის ფედერაციულ კანონში ბიბლიოთეკების შესახებ; 1. ფედერალური ბიბლიოთეკები; 2. მუნიციპალური; რუსეთის აკადემიის (РАН) და სხვა აკადემიების; 3. საწარმოო დანესებულებების; 5. საზოგადოებრივი გაერთიანებების; 6. კერძო; 7. უცხოეთის იურიდიული და ფიზიკური პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების. ფაქტობრივად, ეს ტიპებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ქსელობრივ განჯგუფებას.

ყოველად დაუშვებელია ერთდროულად ტიპიზაციის დროს მთავარ დამყოფ ნიშნად რამდენიმე ავილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სქემა არალოგიკური გამოვა. მაგალითად, თუ ერთ და იმავე რიგში ვაყენებთ, დაჯუშვავთ, ორ ტიპს - ეროვნულსა და უნივერსალურს, რა გამოგვდის? ეროვნული ხომ ამავე დროს შეიძლება უნივერსიტეტიც იყოს და სპეციალურიც, ამ შემთხვევაში რა განსხვავებაა მათ შორის? ამის გამო არც შეიძლება ისინი განსხვავებული ტიპის ბიბლიოთეკებად ვაღიაროთ. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ბიბლიოთეკის კლასიფიკაცია შეიძლება იყოს მხოლოდ კომპინატიური ანუ მრავალნახნაგური (მ. აკილინა). ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთ და იმავე დროს ერთი და იმავე ნიშნის გამოყენება სრულეზბითაც არ არღვევს ამ თეზას. მაგალითად, ბიბლიოთეკების ტიპიზაციის ნიშნად ბიბლიოთეკის დანიშნულებას თუ მივიღებთ საფუძვლად., დანიშნულება თავისთავად მრავალფაქტორს შეიცავს, ის მრავალნახნაგოვანია და ერთგვარად, კომპინატიური.

თუ ჩვენ მიერ აქ მოყვანილი პრინციპები საყოველთაოდ იქნება მიღებული, როგორც ჯგუფებად დაყოფის კრიტერიუმები, გაცილებით გაადვილდება ტიპიზაცია და არაერთგვაროვნება მინიმუმამდე იქნება დაყვანი-

5 Чубарьян О. С. Общее библиотечное ведение - М., 1976.

6 დოკუმენტაცია და ინფორმაცია: ტერმინები და განსაზღვრებები / ИСО 5/27/1.

ლი, თუმცა სრულ იდენტიფიკაციას ვერ მივაღწევთ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გამო.

ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, თუ რა უნდა დასდებოდეს საფუძვლად კლასიფიკაციას, რა ნიშნით უნდა მომხდარიყო ტიპიზაცია: ფონდების შინაარსი, მოცულობა, ბიბლიოთეკის დანიშნულება და ფუნქციები, უწყებრივი კუთვნილება, ტერიტორიალური განსხვავება თუ სხვ. ჩვეულებრივ, პრაქტიკაში ყველა ამ ნიშანს იყენებენ ბიბლიოთეკების განსხვავებისათვის, საკითხია მხოლოდ, რამდენად იცავენ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ 4 ძირითად პრინციპს. უმეტეს შემთხვევაში, ეს არაა გათვალისწინებული, რის გამოც ერთ და იმავე ჯგუფში რადიკალურად განსხვავებული ბიბლიოთეკებია თავმოყრილი.

ამ საკითხების ირგვლივ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში დიდხანს გრძელდებოდა კამათი, და ბოლოს ორი ნიშანი შემორჩა: 1. ტიპებად დაყოფა ფონდების შინაარსის მიხედვით, 2. ტიპებად ბიბლიოთეკის დანიშნულებისა და ამოცანების მიხედვით დაჯგუფება, რაც შეეხება ერთ და იმავე დროს რამდენიმე ნიშნის აღრეულად დაყოფას, მართალია, ზოგი ახლაც მიმართავს მას\*, მაგრამ ეს ანაქრონიზმად გვეჩვენება, თუ სულაც ნონსენსად არაა.

როცა დაყოფის ნიშნად (საფუძვლად) ფონდის შინაარსია აღიარებული, მიიღება ორი ჯგუფი: უნივერსალური და სპეციალური (დარგობრივი). ასეთ შემთხვევაში ერთ და იმავე ტიპად მიიჩნევა უზარმაზარი ეროვნული ბიბლიოთეკა და სოფლის სკოლის პანაწუნა ბიბლიოთეკა, რაკი მათი ფონდები ორივესი უნივერსალურია. მათთვის დაყოფის ნიშანი ერთია - უნივერსალური ფონდი, მაგრამ საერთო სხვა არაფერი აქვთ და, როგორც ვხედავთ, თითქმის მთლად ენიანაღმდეგება ჩვენს მიერ აღიარებულ პრინციპებს. მისი მიღება არამც თუ არაპრაქტიკულია, სრული უაზრობაა, სწორედ ამის გამო, უმეტეს შემთხვევაში, დაყოფის ეს ნიშანი უგულვებელყოფილია და უპირატესობა ბიბლიოთეკების დანიშნულებისა და ამოცანების მიხედვით დაყოფას ენიჭება.

შეიმჩნევა ერთი გარემოებაც: ზოგ შემთხვევაში ტიპიზაციის სქემების შედგენისას ძირითად ტიპებს, მართალია, ბიბლი-

ოთეკების დანიშნულებისა და ამოცანების ნიშნის მიხედვით ახდენენ, მაგრამ ეს ტიპები შემდგომში სხვა ნიშნების მიხედვითაც იშლება, რაც მეტი კონკრეტულობისათვის კეთდება. ეს, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთმანეთში ირევა ბიბლიოთეკის სახეები, პროფილი, ქსელი და ამდენად, ტიპიზაციას ხარვეზები აქვს. ამიტომაც ამგვარ დაყოფას მეცნიერულ ტიპიზაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუმცა ამგვარად შედგენილი სქემა პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

ტიპოლოგიური საკითხების კვლევისას ცნებების სხვადასხვაგვარ გაგებასთანაც გვაქვს საქმე, როგორცაა, მაგალითად, „სამეცნიერო-ტექნიკური“, „ტექნიკური სამეცნიერო“, „სპეციალური“, „სპეციალიზირებული“. ეს ტერმინები ყველა სქემაში ერთგვაროვნად არ არის გააზრებული. ზოგ შემთხვევაში „სპეციალური“ გაიგება როგორც დარგობრივი (გერმანია, აშშ, რფრ), ზოგ შემთხვევაში - ამავეს ნიშნავს „სპეციალიზირებული“, ასევე არ გაიგება ერთგვაროვნად „სამეცნიერო-ტექნიკური“, „ტექნიკური სამეცნიერო“, „სამეცნიერო დარგობრივი“ და სხვ. „სპეციალიზირებული“ ზოგ შემთხვევაში დარგობრივს ნიშნავს, ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებული კატეგორიის მკითხველებისათვის განკუთვნილს.

საკლასიფიკაციო სქემები არც ცნებებით და არც რაოდენობრივად ერთნაირი არ არის<sup>7</sup>, მაგრამ რამდენი ტიპიც არ უნდა იყოს დასახელებული სქემებში, შეიძლება ითქვას, რომ მთელი სისტემა ბიბლიოთეკებისა ორ ძირითად კომპლექსად იყოფა: 1) სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკები, 2. საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკები. ამდენად მოულოდნელი არაა, რომ ზოგი მეცნიერი მიდრეკილია სულ 2 საბიბლიოთეკო ტიპი აღიაროს და არ მოახდინოს მათი კონკრეტიზირება<sup>8</sup>. ეს ერთგვარად ტიპებად დაჯგუფების პრინციპებსაც არღვევს. ამგვარი ტიპიზაციისას, მართალია, დაყოფის ნიშნად ბიბლიოთეკის დანიშნულება და ამოცანებია მიღებული, მაგრამ ირღვევა ზოგი პუნქტი

7 Библиотечное дело: Терминологический словарь. - М., 1986.

8 ასეთ სქემას იძლევა, მაგალითად, ო. ჩუბარიანი აქ დასახელებულ თავის სახელმძღვანელოში, თუმცა ეს რუსეთში ამგვარად აღიარებული არ არის.

პრინციპებისა. მაგალითად, სამეცნიერო ეროვნული ბიბლიოთეკაც და უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკაც, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკები და ა.შ., რომელთაც ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო და დამახასიათებელი, ამკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ცოტა რამ აქვთ საერთო. იგივე ითქმის საჯარო ბიბლიოთეკებზეც. მაგალითად, ეროვნული ბიბლიოთეკები სამეცნიერონიც არიან და საჯარონიც. ამდენად უპრიანია ისინი ცალკე ტიპებად გამოცხადდნენ და არა მხოლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებად.

საბიბლიოთეკო ტიპების ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ წყაროს იფლას რეკომენდაციები წარმოადგენს. რომ უფრო ნათლად დავინახოთ რამდენად უახლოვდება საქართველოს საბიბლიოთეკო ტიპების სქემა მას, მოვიყვანოთ ჩვენში დადგენილი ტიპები და მოვახდინოთ მათი შედარებები<sup>9</sup>.

#### იუნესკოს მიერ რეკომენდირებული ტიპები

1. ნაციონალური ბიბლიოთეკები
2. უმაღლესი სკოლების ბიბლიოთეკები
3. სხვა მნიშვნელოვანი არასპეციალიზირებული ბიბლიოთეკები [უნივერსალური]
4. სასკოლო ბიბლიოთეკები
5. სპეციალური ბიბლიოთეკები
6. საჯარო ბიბლიოთეკები (საბავშვოს ჩათვლით)

#### საქართველოში შემოღებული ტიპები

1. ნაციონალური ბიბლიოთეკები
2. სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკები [ყველა ტიპის უმაღლ, სასწავლებლის]
3. სამეცნიერო (უნივერსალური, დარგობრივი) ბიბლიოთეკები.
4. სასკოლო ბიბლიოთეკები.
5. სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები
6. სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები
7. საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკები
8. დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები

როგორც ვხედავთ, საქართველოს საბიბლიოთეკო ტიპები საკმაოდ ემთხვევა იფლას

მიერ რეკომენდირებულ ტიპებს. ეს საინტერესო ფაქტია, რამდენადაც, ჩვენში ტიპების ამგვარი სქემა გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე იფლას რეკომენდაციები გამოცხადდებოდა. განსხვავებულია ის, რაც ადგილობრივი პირობებითაა გათვალისწინებული, კერძოდ, მრავალი ქვეყნის პრაქტიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით იფლა ცალკე არ გამოყოფს საბავშვო ბიბლიოთეკებს და მათ საჯარო ბიბლიოთეკების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, ჩვენთან კი აქამდე არსებობს საბავშვო ბიბლიოთეკები, თუმც არის ტენდენცია მათი საჯარო ბიბლიოთეკებთან შეერთებისა. ერთგვარი განსხვავებაა „სპეციალიზირებულის“ გაგებაში. იუნესკოს სქემაში „არასპეციალიზირებული“ უნივერსალურს გულისხმობს და ის, ამგვარად, ფონდის შინაარსის გაგებასთანაა დაკავშირებული, საქართველოს სქემაში კი ის სამომსახურეო კონტინგენტს უკავშირდება - ვის, რომელი კატეგორიის მკითხველებისათვის არის დანიშნული; აქ იგულისხმება განსაკუთრებული კატეგორიის მკითხველები - ჯანმრთელობანაკლული ადამიანები, რაც უფრო სამართლიანად მიგვაჩნია.

საქართველოს სქემაში გათვალისწინებული არ არის ამ ბოლო ხანს მომხდარი სასოფლო (საჯარო) ბიბლიოთეკების სკოლებთან შეერთება, ჯერჯერობით გაურკვეველია ამგვარი ბიბლიოთეკის ტიპიზაციის თავისებურებანი, ისე, როგორც ამგვარი დაწესებულების მეთოდოლოგიაც.

თუ დავუკვირდებით სხვა ქვეყნების სქემებს, ნათლად დავინახავთ, რაოდენ უფრო სრულყოფილია ჩვენი სქემა და რამდენად ახლოსაა ის იფლას რეკომენდაციებთან. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემდეგ ტიპებს ანსხვავებენ: ნაციონალური, სამეცნიერო ფუნდამენტური, საჯარო, სასკოლო, სპეციალური; გერმანიაში - სახელმწიფო უნივერსალური, ცენტრალური, სამეცნიერო, სამეცნიერო სპეციალური, სპეციალიზირებული (!), საჯარო, სასკოლო.

საქართველოს საბიბლიოთეკო ტიპები დამტკიცებულია საქართველოს კანონით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, რაც კანონიზირებულია და ამიტომაც მათი გამოყენებაც ამგვარადაა საჭირო პრაქტიკული თუ თეორიული მოღვაწეობის დროს.

<sup>9</sup> შედარების მოხერხებულობისათვის საქართველოს სქემაში ჩამოთვლა არ არის იმ რიგით, როგორც ეს კანონშია მოცემული.

**ლიტერატურა**

საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა. - 2000, № 1.

ყურაშვილი ფ., გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები: ბიბლიოთეკის მუშაკებისა და მკითხველთა დასახმარებლად. - თბ., 1996.

Библиотеки и библиотечное дело США: Комплексный подход; Изд. 2-ое, испр, - М., 1993.

Библиотековедение: Научно-практический журнал; № 3, 1996. - М., 1996.

Библиотековедение: Общий курс; учебн. - М., 1989.  
Библиотечное дело: Терминологический словарь. - М., 1986.

Володин Б.Ф. Всемирная история библиотек, - СПб., 2002.

Справочник библиотекаря. - М., 2002.

Стандарты по библиотечному делу и библиографии. - М., 1985.

Терминологический словарь по библиотечному делу и смежным отраслям знания. - М., 1995.

Чубарьян О.С. Общее библиотековедение: Учебн. 3-е изд. - М., 1976.

**წიგნის ისტორია**

**ფრიდონ თპიზარი  
სულითა და სორსით განათლებასათვის**

**„ღირს შპგ განათლებად სულითა და სორსით ააზრონი ავაჭაპუკი“**



ქართველთა წინაპრები უძველეს ხანაში დაწინაურდნენ კაცობრიობის აკვნად აღიარებულ სამყაროს ნაწილში.

კაცობრიობის დიდ გამოგონებათა შორის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია სემიოტიკურ ნიშანთა სისტემის ჩამოყალიბება.

ხსოვნის მემკვიდრეობით გადაცემით შთაგონებულმა ჩვენმა წინაპრებმა ადრიდანვე გამოიჩინეს ინტერესი და სიყვარული დამწერლობისადმი.

ყველა მონაპროვარი უნდა განიხილებოდეს მსოფლიოს კულტურის საგანძურში შეტანილი იმ წვლილით, რომელიც ამა თუ იმ ხალხს ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული წარმართული ცივილიზაცია.

დიდი გარჯა, ენერგია, ძიება გამოავლინეს ქართველებმა მსოფლიოში უნიკალური ანბანის დამკვიდრებისათვის.

ქართული დამწერლობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ასოები, ბგერის გამოსახვასთან ერთად, ქმნიან რიცხვ-ნიშანთა სისტემას. უეჭველია, ქართული დამწერლობის

ზოგი ნიშნის არქაულობა.

ანი შუაზე გაყოფილი დონის ნაწილია; თვით დონიც საინტერესოა. ასევე ითქმის ი-ნში, ქარაგმაში ჩაქსოვილი აზრზე. ჯ-ანი გულისხმობს კაცობრიობის ერთ-ერთ უძველეს ფრიად მოხერხებულ იარაღს, რაც ძლიერების, შეუდრეკელობის სიმბოლოდ, იმედად იქცა.

ასეთი მონაცემები თუ შორეულ წარმართობის ხანას არა, გვიანდელს მაინც უნდა მიეკუთვნებოდეს.

ქართველთა ადრინდელი აზროვნებით წერაში გაიგივებულია ხატვა, ხაზვა და სხვა მოვლენები.

უთვალავი ომებისა და ნგრევა-აოხრებათა გამო ბევრი რამ ნანგრევებად შემოგვრჩა. მრავალ ასეთ ნამუსრევში ნათლად მოჩანს უბადლო ორნამენტებით დამშვენებული ძეგლები, წყლის საგუბარი ნაგებობები, მტკიცე თავდაცვითი სისტემების ნაშთები, ბურჯები, კოშკები, კამარიანი ხიდები, ციხეები, მოწასტრები, საყდრები და სხვა ყოველივე, მშენებლობის წესებზეც მეტყველებს, მაგრამ მათ შორის გამორჩეულია იდეურობით განმტკი-



ცებული ქართული ხელნაწერი წიგნი. მისი ორიგინალობა, კალიგრაფიული გაფორმების ნაირგვარობა, ფერთა ელვარება, სიუხვე, ეროვნულობა, გავრცელების ფართო არეალი ნამდვილად დიდი საოცრებაა.

ჩვენი წინაპრები ადრე წიგნს უწოდებდნენ დოკუმენტურად გაფორმებულ ამოჭრილ, ამოტვიფრულ ნაწერს, რომლის შექმნა-მოკაზმვაში კალიგრაფთან ერთად სხვებიც მონაწილეობდნენ. ესენი თავისი საოსტატო მიმართულებით მუშაობდნენ: ჩაურთავდნენ ჯვარს, ადებდნენ საკუთარ ბეჭედს, ხშირად თანამედებობის პირთა ბეჭედებსაც, იშვიათ გამოსახულებებითაც ამკობდნენ (ფრინველი, ცხოველი).

საგანგებოდ ადგენდნენ წიგნებს მოგზაურობისათვისაც (ავგაროზი). გარდა ამისა, იყო სხვაგვარი (ანგარიშის, აღწერის წიგნები). წიგნი ეწოდებოდა ბარათს, ეპისტოლეს, პირობას, ნაირგვარ ხელშეკრულებას, სამიჯნურო ჩანაწერს, უსტარს, წერილობით ნაბოძებ წყალობებს (დიდების, ქონების, ფულის და ა. შ.).

ველებზე, გორაკებზე, მთებზე, ზღვებისა და მდინარეების, ტბების პირას განფენილი ქართველთა მოდგმა ნაყოფიერად თანამშრომლობდა უდიდეს სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა კვანძებში. ბევრი რამის მნახველმა ჩვენმა წინაპრებმა უამრავი რამ შექმნეს, რაც საკაცობრიო საგანძურს განეკუთვნება.

წლების მანძილზე საქართველოში განეულ არქეოლოგიურ, საისტორიო-საგეოგრაფიო გათხრების, დაზვერვების შედეგად წარმოჩენილ ძეგლებიდან დასამოწმებელია არამეულ ენაზე შესრულებული ნაწერები.

ქრისტიანობის წარმატებათა შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი. ახალმა მოძღვრებამ თანდათან გაიკაფა გზა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში.

ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში მისმა მესვეურებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს იმდროინდელ წიგნს ყველა მისი შემადგენელი ნაწილით. მათვე მოიმარჯვეს მოღვაწეთა სახის ანაბეჭდი (მომავალში ხატად-ქცეული) წმიდა წიგნით, საუნჯე, ხელი შეუწყვეს მრავალ ენაზე ახალი სარწმუნოების გავ-

რცელებასა და დამწერლობის განვითარებას. ახალი მოძღვრების თანამედროვე საქართველოში დამკვიდრების გზების ძიებისას ყურადღება უნდა მიექცეს წმიდა მინად აღიარებულ ვრცელ რეგიონში ქართველთა ოდინდელ ღვანლს, ქრისტეს მიმდევარ პირველ ქრისტიან ქართველებს.

ახალმა სარწმუნოებამ „მცირე წიგნებით“ ძირითად აზრთა გავრცელების არეალი გააფართოვა. გააძლიერა ინტერესი კულტურული სიახლეებისადმი.

აგრაფები, გადმოცემები დაედო საფუძვლად სამყაროს უამრავი ფერისცვალების, საზოგადოების თანდათან ამაღლების პროცესის ბრძნულად, მემკვიდრეობის გათვალისწინებით გააზრებულ გამომხატველ ტერმინებსა და ლაკონურ

გამოთქმებს.

ქრისტიანული სარწმუნოება თავდაპირველად საზოგადოებაში ტრადიციული ზეპირი გზით (ქადაგებით) იკაფავდა გზას. შემდეგ თანდათან ჩამოყალიბებულ მოქალაქეთა გამონათქვამების ჩანაწერი ძეგლების დახმარებით.

ცხადია, ასევე გავრცელდა ეს ახალი სარწმუნოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოჩენილ მოციქულთა და მქადაგებელთა მეოხებით.


სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანობის ეს მნიშვნელოვანი ფაქტები საქართველოში გამოუქვეყნებელია გამოუქვეყნებელია.

ამასთან ერთად, ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე საღვთო (საყდრებში სამღვდელმსახურო) წიგნები თანდათან ყალიბდებოდა. მოწესენი და მრევლი ასეთ ხელნაწერებს გულმოდგინედ ამრავლებდნენ.

აღნიშნული პროცესი ხანგრძლივი გამოდგა. ქართველი საზოგადოების მოწინავე და განათლებული ნაწილი ოცნებობდა და იღვწოდა გამოსადეგი უნივერსალური წიგნის შესაქმნელად.

ასეთი მისია არაერთ მაღალი და დაბალი ფენიდან გამოსულ ქართველს შეუსრულებია.

ერთ-ერთი დიდი, გონიერი, მრავალმხრივი შემოქმედი სიამაყით ლექსად გვაცნობს, ლექსით გვესაუბრება აზრთა ჭიდილში მისგან ყველას ძღვევაზე:



„ნიგნი დავწერე ისეთი ამ ქვეყანაზე არ იყო!“ აქ თანამედროვე ნიგნი არ უნდა იგულისხმებოდეს. ავტორ-მთქმელი ერთი თხზულების (რა თქმა უნდა ლექსად დანერილზე) უნდა მიგვანიშნებდეს.

ქართველობა შინ და უცხოეთში მუდამ ფიქრობდა უკვდავ ძეგლზე და სიყვარულით ელოლიავენებოდა კაცობრიობის გონების ბრძნულ მიღწევებს; სხვადასხვა მდგომარეობაში, მძიმე განსაცდელის ჟამს, აღფრთოვანება-ზეიმისას იგი ეძებდა და ჰპოვებდა კიდევ „ყოვლის შემძლე“ გონების ამ სალაროს:

„ამისი ცოდნა უენოს ენასა აადგმევინებს, გონებას მიჰნავს, სიბრძნეს დასთეს, ფესვს გაადგმევინებს, ფილოსოფოსობს, მეტყუელებს, ზეცას ტახტს დაადგმევინებს და ფრთას შეასხამს, აღაფრენს სულს ნათლად ჩაადგმევინებს!“

ეს შესანიშნავი ქმნილება მრავალ კითხვას ბადებს, რომელთაგან ერთს მაინც არ შეიძლება არ ვუპასუხოთ.

აზრთა გამომთქმელნი ჩვენში საჯაროდაც შემთხვევით როდი საუბრობდნენ ლექსით.

ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ლექსი მეტად ტევადია აზრით, მეზრძოლია, პაექრობაში გონიერის, უპირველესად ავტორ-მთქმელის

შემნეა, ხშირად ადვილადაც ვრცელდება არცთუ ისე გრძლად ნათქვამი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე თამაზ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. - თბ., 1989.

ინგოროყვა პავლე. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. // „მნათობი“. - 1939, №1. - გვ. 163-188.

კარიჭაშვილი დავით. ხუცური ანბანი. - ტფ., 1914.

კეკელიძე კორნელი. ქართული კულტურის ორი დღესასწაული // „მნათობი“. - 1929, №5-6. - გვ. 151-167.

მაჭავარიანი ელენე. ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები. - თბ., 1982.

პატარიძე რამაზ. ქართული ასომთავრული. - თბ., 1980.

სილოგავა ვალერი. სვანეთის წერილობითი ძეგლები: II; ეპიგრაფიკული ძეგლები. - თბ., 1988.

ქაჯაია ლამარა. ხანმეტი ტექსტები: ნაკვ. I. - თბ., 1984.

## დალი მაჩაძე

ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

# პირველი ქართული სტამბის გამოცემა იროვნული ბიბლიოთეკის საბანკურიდან

სამი საუკუნის წინ, 1709 წელს თბილისში, მეფის სასახლის ახლოს, საგანგებოდ აგებულ შენობაში ამოქმედდა ქართული სტამბა. იმუჟამად საქართველოს არ ჰყავდა სტამბის საქმეთა მცოდნე. მეფე ვახტანგ მეექვსემ ევროპიდან მოიწვია მესტამბე. თბილისში ჩამოვიდა მიხეილ იმტვანოვიჩი, „სტამბისა ამის უცონელად გამმართველი“. იგი იყო უახლოესი თანაშემწე და რჩეული მონაფე ნიგნთა მრავალ ენაზე გამომცემლის, წარმოშობით ქართველი ანთიმოზ ივერიელისა. ამ ცნობილი სასულიერო პირისა და რუმინეთის განმანათლებლის გარდა, ერთმორწმუნე ქართლის განმგებელს სტამბის დაარსებაში შემწეობა აღმოუჩინეს იერუსალიმის პატრიარქმა და ვლახეთის მმართველმა. ბუქარესტის ნიგნსაცავში გ. ლეონიძემ მიაკვლია ქართული

სტამბის პირველივე გამოცემის — „სახარების“ ერთ ეგზემპლარს. იგი ანთიმოზ ივერიელისათვის გაუგზავნიათ საქართველოდან. აღნიშნული ნიგნი, მადლიერების გამომხატველი წარწერითა და ჩართული ბეჭდური ლექსით, ანთიმოზს ვლახეთის მმართველის, კონსტანტინე ბრინკოვიანესათვის მიუერთმევი. ლექსში ასახულია საქართველოში სტამბის ამოქმედების ფაქტი და დასახელებულ პირთა წვლილი ამ საქმეში.

„ღმრთისმოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო... ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებთან: ასონა, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო მონა თქვენნი, მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“

გვამცნობს უცხოელი მესტამბე და გვთხოვს: „უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყნისა ამის და უსმენელ სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მონაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მონაფენი სტამბისა“. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ პირველი ქართული სტამბის პროდუქცია, როგორც შინაარსის მრავალფეროვნებით, ასევე ტექნიკური სრულყოფის თვალსაზრისით, აშკარად გამორჩეულია ძველნაბეჭდ ქართულ წიგნთა შორის.

წიგნების წინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობები და მკითხველებისადმი მიმართვის ტექსტები მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან მესტამბეთა, გამომცემელთა, რედაქტორთა და მთარგმნელთა საქმიანობაზეც. ვიგებთ, რომ ბერძნული ტექსტებისათვის შეუდარებიათ ქართული ხელნაწერები, ზოგი რამ ჩაუსწორებიათ, ზოგი ხელახლა უთარგმნიათ. არ უკუუგდიათ ქრისტიანობის ადრეული ხანიდანვე საქართველოში დამკვიდრებული ღვთისმსახურების წესები და საგალობლები, ბრმად არ მიჰყოლიან უცხოურ დედანს.

ვახტანგის სტამბის მუშაკნი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდნენ გამოსაცემი წიგნის შერჩევას. გაითვალისწინეს რა ეკლესიის მოთხოვნა და საჭიროება, გამოცემათა უმრავლესობა წარმოადგენს ნუსხა-ხუცური შრიფტით დაბეჭდილ საეკლესიო წიგნს. უფრო მეტიც, რამდენჯერმე გამოაქვეყნეს: „ლოცვანი“, „ჟამნი“, „დავითნი“. გამოსცეს ასევე „კურთხევანი“, „პარაკლიტონი“, „კურთხევა ეკლესიისა“. 1710 წლის „კონდაკის“ ფურცლებიდან კი გვაუწყებენ, რომ „გულისხმაყო პატრონმა და განმგებელმან ქართველთამან, ბატონიშვილმან ვახტანგ, ვითარმედ დიდად სახმარ არს დაკლებულთა მღვდელთაგან წიგნი ესე, წმიდისა მსხვერპლისა შეწირვისა, ამისთვის დაშვრა ამას ზედაცა, ვითარცა სხვათა წიგნთა ზედა, რომელიცა დავბეჭდეთ ჩვენ, ქართველთა ენასა ზედა, რათა ამისსაცა დაბეჭდვასა ხელვყოთ და დავსდგათ სანთელი სასანთლესა ზედაცა საჩინოდ მნთებარედ“. ძველი და ახალი აღქმის ცალკეულ წიგნთა გამოცემის შემდეგ ვახტანგის სტამბაში დაიწყეს, მაგრამ ვერ დაასრულეს, ბიბლიის დაბეჭდვა.

ვახტანგ VI-ის საქმიანობის არსებითი მხარე იყო ქართველთა ეროვნული ღირსების საფუძვლიანი ამაღლებისათვის ზრუნვა და განათლებისათვის ხელშეწყობა. ამ მიზნით მის დაარსებულ სტამბაში იბეჭდებოდა საერო წიგნებიც. უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის განხორციელებას 1712 წელს. ეს იყო პირველნაბეჭდი ორიგინალური თხზულება ქართულ ენაზე და პირველი მეცნიერული გამოცემაც, რადგან ტექსტს დაურთეს რუსთველოლოგიური ნაშრომი — ვახტანგისეული კომენტარი — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“. ცალკეულ სტროფთა და სიტყვათა ახსნა-განმარტებასთან ერთად, აქ მოცემულია პოემის ძირითადი ღირებულებისა და დანიშნულების გარკვევა. ზოგნი „უცოდინრობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერის კეთილად ნამუშაკევსა“. მათ პასუხად დაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება ქართლის განსწავლულ განმგებელს. „ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამაღ დაგვერ“ — აცხადებს იგი. „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, მხედრული შრიფტითაა დაბეჭდილი გერმანე მღვდელმონაზონის საღვთისმეტყველო, მართლმადიდებლური სახელმძღვანელო. მასში, სწავლის გაადვილების მიზნით, მარტივი, ხალხური ენითა და დიალოგის ფორმითაა გადმოცემული მართლმადიდებლობის ძირითადი დებულებები. წიგნი შეიქმნა ქართველი ყმანვილებისათვის, რათა ისინი „არ იყვნენ ჩვენთაგან განშორებულ მწვალებელთ შვილებისაგან დაწუნებულნი და სიტყვაგაუგებელნი“. მეფე ვახტანგმა, როგორც თვითონ გვამცნობს, თარგმნა „ესე სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი“. მანვე იზრუნა მის გამოცემაზეც, რადგან „საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფთა და სხვათა ენათა კაცნი ქართველთ ეკიცხოდნ“. როგორც დავით გურამიშვილმა თქვა: „წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკულმა იწყო ტრიალი“ — ვახტანგ მეფეს რუსეთში გადახვეწა მოუხდა, წიგნი კი მისეული სტამბის ბოლო გამოცემა აღმოჩნდა.

თავისი არსებობის მანძილზე, 1709-1722



ნლებში, პირველმა ქართულმა სტამბამ დაბეჭდა ჩვენთვის ცნობილი 20 გამოცემა. 5 მათგანი არ მოიპოვება ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ესენია: „ჟამნი“ 1710 წლის (385 გვერდიანი, მხედრული შრიფტით); „დავითნი“ 1716 წლის; „ლოცვანი“ 1717 წლის; „კურთხევა ეკლესიისა“ 1719-1720 წწ. და „ჟამნი“ 1722 წლის. დანარჩენი 15 გამოცემა მეტ-ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი, სულ 74 ერთეული. მათი უმრავლესობა — 42 წიგნი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკიდანაა. ისინი 1937 წელს გადმოეცა ეროვნულ ბიბლიოთეკას. ამ წიგნთა შორის, გამოცემის იშვიათობის თვალსაზრისით, საუკეთესო ყდებითა და შენახვის ხარისხით გამოირჩევა დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექციის ეგზემპლარები.

ბიბლიოთეკაში 1985 წლიდან მოიპოვება ვახტანგის სტამბის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული „დავითნი“, მიჩნეული 1709 წლის გამოცემად, დაბეჭდილი გამოცემის ფორმატთან შეუსაბამო, მსხვილი მხედრული შრიფტით. ამ გამოცემის მანამდე ცნობილი ერთადერთი ცალი ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს აღმოაჩინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ორივე ეგზემპლარი უთავფურცლოა და ძალზე ხარვეზიანი.

ვახტანგის სტამბის ბიბლია — „წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება“ სულ 3 ცალადაა აღრიცხული. გამოცემა უთავფურცლოა, დაუმთავრებელი, სავარაუდოდ, იბეჭდებოდა 1709-1711 წწ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამ უიშვიათესი წიგნის ერთადერთი ცალი შემოვიდა 1937 წელს, ქმნკგს-ის ფონდთან ერთად. წიგნი დავით ჩუბინაშვილის კოლექციისაა. ამ ეგზემპლარს ერთვის „იოანეს გამოცხადება“ 1809 წლის „სამოციქულოდან“.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ 1712 წლის გამოცემა ქართული საერო ლიტერატურის პირველნაბეჭდი ძეგლი 20-იოდე ეგზემპლარადაა შემორჩენილი. ეროვნული ბიბლიოთეკის 5-ვე ეგზემპლარი ქმნკგს-ის ფონდიდანაა. მათ შორისაა ილია ჭავჭავაძის კუთვნილი წიგნიც. განსაკუთრებით გამოირჩევა დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის) ავტოგრაფიანი ცალი. მშვენიერი კალიგრაფიით აღდგენილი თავფურცელი, ტექსტის მნიშვნელოვანი ნა-

წილი და მხატვრობაც, ბაგრატიონთა გერბითურთ, მხატვარ-კალიგრაფთა ცნობილი გვარის — მესხიშვილების ერთ-ერთი წარმომადგენლის ნახელავი უნდა იყოს. წიგნს ქვედა არშიებზე, სათანადო ადგილის მინიშნებით, მიწერილი აქვს გამოცემაში გათვალისწინებული, მაგრამ ბეჭდვისას გამორჩენილი 4 სტროფიც.

ვახტანგის სტამბაში, „უწინარეს ყოველთა“, დაბეჭდილი „სახარება“, ქრისტიანთათვის უპირველესი წიგნი, ბიბლიოთეკაში 11 ცალადაა. ერთი მათგანი ჯვართამაღლების მინიატურული ხატის წარწერების განსხვავებულ ვარიანტს გვიჩვენებს. ერთი ეგზემპლარი კი სამეფო ოჯახიდანაა. იგი ეკუთვნოდა მეფის რძალს, ელენეს, საქართველოს ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის მეუღლეს.

პირველი ქართული სტამბის საუკეთესო გამოცემადაა აღიარებული 1710 წლის „კონდაკი“. ჩანს, რომ ეკლესიის საჭიროების გათვალისწინებით, ეს საღვთისმსახურო წიგნი შედარებით დიდი ტირაჟით გამოსცეს. იგი ბიბლიოთეკაში ყველაზე მეტი ოდენობითაა — 12 ეგზემპლარი. „კონდაკის“ ცალები ხასიათდება მინანქრთა გამორჩეული სიუხვით. ერთ მათგანში წერილიც იყო, რომელიც რუსეთიდან საქართველოში გასაგზავნად დაუწერია მეფის ძის, ირაკლის აღმზრდელს — თინათინს, რუსეთში გადასახლებულ და ბელგოროდის მონასტერში გამწესებულ საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის მხლებელს. აქვეა დაცული საეკლესიო ლიტერატურის რუსულიდან ქართულად მთარგმნელებისა და ცნობილი სასულიერო პირების — დავით ინანიშვილისა და გრიგოლ ცამციშვილის „კონდაკებიც“. ერთ განსაკუთრებულ ეგზემპლარს ერთვის უმშვენიერესი ხელნაწერი: საშუალო და წვრილი ნუსხურით, შავი და წითელი მელნით შესრულებული საეკლესიო დანიშნულების ტექსტები. წიგნი ოდესღაც ეკუთვნოდა მოსკოვის დონის მონასტრის საყდარს — გადასახლებული ქართული სამეფო ოჯახის არაერთი წარმომადგენლის ძვალთშესალაგს. ამ წიგნიდან მათთვის აღავლენდა ქართველი მღვდელი „მშვიდობის პანაშვიდის“, „სულთა თანას“, „შენდობის წიგნის მიცემის“ საკითხავებს.

ისეთი იშვიათი გამოცემები, როგორცაა 1710 წლის პირველნაბეჭდი „ლოცვანი“ და 1712 წლის „დავითნი“ ბიბლიოთეკაში 2-2 ცა-

ლადაა. ორმაგად ფასეულია შანშე ქსნის ერისთავის მეუღლის, ელენე ორბელიანის „ლოცვანი“. ამ წიგნის ფორზაცზე შესრულებული მიწანწერები, ხშირ შემთხვევაში, საგულისხმოა, ისინი სათანადო ლიტერატურაში დაფიქსირებულთან განსხვავებულ და უფრო დაკონკრეტებულ ცნობებს გვანვდიან. ეს ეხება 1832 წლის შეთქმულების აქტიური ხელმძღვანელის, ელიზბარ ერისთავის დაბადების თარიღსაც.

3 ეგზემპლარადაა დაცული იშვიათობად ქცეული 1713 წლის „კურთხევანი“. ნაკრები ფურცლების აგებისა და შედგენილობის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკის ერთი უნიკალური ცალი არსებითად განსხვავებულია სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილთან შედარებით. მასში არის ბიბლიოგრაფთათვის უცნობი გერბის სიმბოლიკის ამხსნელი 2-სტროფიანი ლექსი. განსხვავებულია ბიბლიური დავითისადმი მიძღვნილ ლექსის ადგილიც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არსებობს 1709 წლის „სამოციქულოს“ ორი ვარიანტი, განსხვავებული მოცულობითა და გერბის სიმბოლიკის ამხსნელ ლექსში დაფიქსირებულ მეფეთა სახელებით: გამოცემის ნაწილი დაბეჭდილია მეფე გიორგის გარდაცვალებამდე, ნაწილი — ქაიხოსროს დროს, ეროვნული ბიბლიოთეკის 3 ხარვეზიანი ეგზემპლარიდან ერთი, რომელიც ამ ლექსიან გვერდს შეიცავს, დაბეჭდილია ხოსრო მეფის ზეობაში.

ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი „ქმნულეზის ცოდნის წიგნი — აიათი“ 1721 წელს დაიბეჭდა მისსავე სტამბაში. ამ წიგნის 4 ცალიდან სამში ვხვდებით ხელით შესრულებულ წარწერიან ნახაზებს. გამორჩეულია ერთი, მასში ისევ ცარიელია ბეჭდვისას დატოვებული სუფთა ადგილები. ბიბლიოთეკისეული „აიათის“ ერთ-ერთი ცალი გრიგოლ წერეთლისა ყოფილა, იმერეთის სახლთუხუცესისა და სტამბის მფლობელის, ზურაბის უფროსი ვაჟის. მას გამორჩეულად მდიდარი, საუკეთესო საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქონია იმ დროისათვის. დასახელებული წიგნი მღვიმის წინამძღვარს, იოანე არქიმანდრიტს უჩუქებია მისთვის.

ასევე ძალზე ცოტა რაოდენობითაა შემორჩენილი გერმანე მღვდელ-მონაზონის მიერ შედგენილი და 1711 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელო „სწავლა, თუ ვითარ მარ-

თებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“. ამ წიგნზე დიდი მოთხოვნა ყოფილა და დაბეჭდვისთანავე ძნელი საშოვნელი გამხდარა. კვლავ ხდებოდა მისი გავრცელება ხელნაწერის სახით. ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს 4 ეგზემპლარი, მათგან 3 ქმნკვს-ის ფონდიდანაა. თვით ამ საზოგადოების ბიბლიოთეკასაც არ ჰქონია ეს იშვიათი გამოცემა 1905 წლამდე.

1710 წლის ნუსხური „ჟამნი“; 1711 წლის მხედრული „დავითნი“ და 1720 წლის „პარაკლიტონი“ ბიბლიოთეკაში 6-6 ეგზემპლარადაა. მათ შორის 1710 წლის ერთი „ჟამნი“ შეიცავს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ისეთი წიგნების ფურცლებს, როგორცაა მოსკოვში დაბეჭდილი 1737 წლის „დავითნი“ და 1743 წლის „ჟამნი“. ეს გამოცემები სრული სახით მხოლოდ სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაშია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნსაცავში კი მათი თითო ხარვეზიანი ცალი ინახება. მე-18 საუკუნის მხედრული ხელნაწერით შეუვსიათ 1711 წლის უმშვენიერესი მხედრული „დავითნის“ ერთი ეგზემპლარის ფორზაცები. აქ ჩანერილია სასულიერო პოეზიის ნიმუშები, მათ შორის დავით გურამიშვილის ლექსის „სიტყვა ესე ღვთისა (ეო, მეოს ხმაზედ)“ ვარიანტი. 1717 წლის „ჟამნის“ 7 ეგზემპლარია. ვახტანგის სტამბის გამოცემათა შორის პირველად აქაა დაფიქსირებული სრული საგამომცემლო თარიღი (წელი, თვე და რიცხვი). გამეორებულია 1710 წლის გამოცემა რუთ (199) გვერდამდე (განსხვავდება მხოლოდ ტექსტის გამყოფი ორნამენტები), აქ ემატება ინდიქტონის ახსნა, თითქმის ერთი ფურცელი. II გამოცემა მნიშვნელოვნადაა შევსებული ულგ (433) გვერდიდან, ირევა გვერდების აღნუსხვაც.

საუკუნეთა მანძილზე აქტიური მოხმარებისა თუ სასულიერო ლიტერატურისადმი კომუნისტების ვანდალური დამოკიდებულების გამო, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენის დროსაც — გასული საუკუნის შუა წლებშიც ვერ მოხერხებულა წიგნმცოდნეობით წყაროებში დასახელებული ისეთი გამოცემების მოძიება, როგორცაა: „კვერქესი“, 1709, 1710 თუ 1712 წელს დაბეჭდილი „დაუჯდომელი“ და სადავოდ მიჩნეული „ლოცვანი ანბანითურთ“. მაშინ პირველად აღმოაჩინეს და აღნუსხეს: 1709 წ. „დავითნი“; 1710 წ. მხედრული „ჟამნი“; 1716 წ. „დავითნი“ და 1709-1720 წწ. „კურთხევა ეკ-

ლესისა“. ამიტომ გასაგებია, რომ თვით ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ნიგნსაცავს, არ გააჩნია პირველი ქართული სტამბის ყველა გამოცემა. არსებული ნაწილიც მეტწილად დაზიანებულია და არასრული, საჭიროებს რესტავრაციასა და განსაკუთრებულ დაცვას. სიძველის გარდა, ნიგნებს გამორჩეულად იშვიათსა და ღირებულს ხდის ინდივიდუალური ნიშნებიც: ვარიანტულობა; მფლობელთა ვინაობა; საყურადღებო დანართ-ჩანართები და მინაწერები; განსაკუთრებულად ძვირფასია, მოტივირებული თუ მოჭედილი ტყავის ყდები და სხვა. ცხადია, რომ ძველნაბეჭდი გამოცემები წარმოადგენს ეროვნული კულტურის უნიკალურ ძეგლებს. საშური საქმეა ყოველი ასეთი გადარჩენილი ეგზემპლარის მოძიება და საფუძვლიანი შესწავლა; ქართული ნიგნების შეერთებული კატალოგის შექმნა. ეს სამუშაო წლების მანძილზე მიმდინარეობდა ეროვნულ ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში. დასაბეჭდად მომზადდა ორტომეული: „საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ძველნაბეჭდი ქართული ნიგნების აღწერა“ (1629-1817 წლები. საქართველოში და საზღვარგარეთ გამოცემული ნიგნები). პირველი ქართული სტამბის საიუბილეო წელთან დაკავშირებით, მალე გა-

მოიცემა მისი ერთ-ერთი ნაწილი — „ვახტანგ VI-ის სტამბის ეგზემპლართა აღწერა“. მისასალმებელი ფაქტია, რომ ძველნაბეჭდი ნიგნების შესწავლა მიმდინარეობს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ვახტანგის სტამბის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული ეგზემპლარები. (გამოსაცემად გამზადებული ეგზემპლარი).

ქართული ნიგნი. ბიბლიოგრაფია: ტ. 1. — თბ., 1941 — 560 გვ.

შარაშიძე ქრისტინე. პირველი სტამბა საქართველოში, (1709-1722) — თბ., 1955 — 214 გვ.

გუგუშვილი პაატა. ქართული ნიგნი: 1629-1929. — ტფ., 1929. — 386 გვ.

გუგუშვილი პაატა. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში; ტ. 7; ქართული სტამბის ნიგნი; 1629-1979. — თბ., 1984. — 894 გვ.

კვასხვაძე შ. ქართული ნიგნის გრაფიკული ხელოვნება: ვახტანგ VI-ის სტამბის ნიგნი; 1709-1722. — თბ., 1952. — 275 გვ.

ბერძენიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართველი საზოგადოების ისტორიისათვის: ნიგნი II. — თბ., 1983. — 278 გვ.

## მანანა დეკანოსიძე

საქ. ეროვნული სამეცნ. ბიბლ. უფროსი ბიბლიოთეკარი


# ქართული ნიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის პოპულარული ნარკვევი

ქართული ნიგნის ბეჭდვის ისტორია XVII ს. იწყება, იგი სათავეს რომში იღებს, მოგვიანებით ქართული ნიგნის ბეჭდვამ რომიდან რუსეთში გადაინაცვლა, ხოლო თავად საქართველოში ნიგნის ბეჭდვა XVII ს. პირველ ათწლეულში იწყება. ეს იყო ჩვენი ქვეყნისათვის რთული და მძიმე საშინაო და საგარეო პერიოდი. გარეშე მტრისაგან და ქვეყნის შიგნით დიდგვაროვანი ფეოდალებით პოლიტიკურად შევიწროებულ და ეკონომიურად დაძაბუნებულ ქართველ ხალხს ძალა არ შესწევდა, სამშობლო ქვეყნის კულტურულ აღორძინებაზე ეზრუნა. შექმნილი ვითარების გამო

ნიგნების ბეჭდვა-გამოცემაც ნაკლებად მიმდინარეობდა.

ძველ ქართულ სტამბებსა და ნაბეჭდ ნიგნებზე პირველ ცნობებს ჯერ კიდევ ადრინდელი გამოცემების თავფურცლებში, წინასიტყვაობებსა და ბოლოსიტყვაობებში, ანდერძებში, ცალკეულ დანართებში ვხვდებით, რომლებშიც აღნიშნულია, სად, როდის, ვისი მეფობის დროს, ვისი ხარჯით, ვისი რედაქტორობით დაიბეჭდა ესა თუ ის ნიგნი.

პირველი ქართული ნიგნი დაიბეჭდა რომში 1629 წელს. საქართველოს მეფე თეიმურაზ პირველმა 1622 წელს დასახმარებლად მი-



მართა ევროპას. ამ მიზნით მან რომში ელჩად გაგზავნა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, ბერობაში ნიკიფორე ირბახი. მისი ელჩობის მთავარი მიზანი იყო, მიეღო დახმარება რომის პაპ ურბან VII-საგან ირანის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, კახეთის მეფის ელჩი ხელცარიელი დაბრუნდა. ნ. ჩოლოყაშვილის პოლიტიკური თვალსაზრისით უშედეგოდ დამთავრებულმა ელჩობამ უკვალოდ მაინც არ ჩაიარა. რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა ისარგებლეს ნ. ჩოლოყაშვილის ჩასვლით და მისი უშუალო მონაწილეობით დაამზადეს შრიფტი. სწორედ ამ შრიფტით დაბეჭდეს პირველი ქართული წიგნი.

რომში სულ იმ დროს ხუთი წიგნი დაიბეჭდა. 1629 წელს „ქართულ-იტალიური“ ლექსიკონი და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, 1643 წელს „ღვთისმშობლის სავედრებელი“ (საცდელი ანაბეჭდი), 1670 წელს მაჯიო ფრანცისკო-მარიას „ქართული ენის გრამატიკა“ და 1881 წ. „საქრისტიანო მოძღვრება“ ბელარმინოსი. ეს წიგნები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ხუთივე წიგნი უცხოეთშია დაბეჭდილი და მათი შემდგენელ-გამომცემლებიც უცხოელები არიან, მეორე თავისებურება ის არის, რომ „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული ენის გრამატიკა“ მთლიანი სტრიქონების სახით უძრავი შრიფტითაა დაბეჭდილი.

ყურადღებას იპყრობს მესამე თავისებურებაც. აღსანიშნავია, რომ „ქართულ-იტალიური“ ლექსიკონი თავისი პროფილით საცნობარო ლიტერატურას მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი ორი „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული ენის გრამატიკა“ სასწავლო სახელმძღვანელოებს წარმოადგენს. ამრიგად, სამივე წიგნი საერო შინაარსისაა.

იტალიაში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს და მათ შორს გამიზნული რელიგიური სარჩული ედო საფუძვლად. XVI ს. 30-70-იან წლებში რომის ეკლესია ცდილობდა გაეფრცვლებინა კათოლიკობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. პირველ რიგში საქართველოში, რისთვისაც იგი სისტემატურად აგზავნიდა


იქ კაპუცინ-მისიონერებს მოძღვრების საქადაგებლად. ბუნებრივია, ენის უცოდინარობა ხელს შეუშლიდა რომაელ პატრებს ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებაში, აი, სწორედ მათ დასახმარებლად იუო გამიზნული ეს წიგნები.

იტალიაში გამოცემულ სახელმძღვანელოებს ობიექტურად გარკვეული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი საშუალებით გაეცნო პირველად ევროპა ქართულ კულტრას, ქართულ ენას.

XVIII ს. ქართული წიგნის ბეჭდვამ რომიდან მოსკოვში გადაინაცვლა. XVII ს. 80-იან წლებში უცხოელი დამპყრობლებისაგან დევნილ არჩილ II-ს მოსკოვში ყოფნისას საშუალება მიეცა შეესრულებინა სამშობლოდან ჩამოყოლილი ოცნება - ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. პეტრე I-ის ხელშეწყობით საგამომცემლო საქმის რუსეთის ისტორიაში მანამდე არნახულმა განვითარებამ და მისმა შედეგებმა კვლავ გააღვივა არჩილში კარგა ხნის წინათ მიტოვებული ქართული წიგნების ბეჭდვის სურვილი. სხვადასხვა გავლენიან პირთა დახმარებით არჩილმა ქართული შრიფტი შეუკვეთა ამსტერდამში და 1705 წ. მოსკოვის სახაზინო სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“, ამის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვა ქრონოლოგიურად გრძელდება თბილისში, სადაც დაარსდა ქართული სტამბა. იგი 1724 წლამდე არსებობდა.

XVII-XVIII სს. მიჯნაზე წარმოშობილმა ქვეყნის დამანგრეველმა პოლიტიკურმა მოვლენებმა თავისი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზეც. მოსახლეობის უფართოეს მასას - მწარმოებელ გლეხობას მუდმივი სკოლების ნაკლებობის გამო, საშუალება არ ჰქონდა უკიდურესი უცოდინარობისათვის თავი დაეღწია. სიძვირის და სიმჭირის გამო ხალხს წიგნებზე ხშირად ოცნებაც კი არ შეეძლო. აქედან, შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რაოდენ დიდი სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის ვახტანგ VI-ის სტამბის დაარსებას.

1709 წ. ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“ „სახერება“ და „სამოციქულო“. აღსანიშნავია, რომ „სამოციქულო“ პირველი ქართული წიგნია, რომელიც ორი ფერით წითლით და შავით არის დაბეჭდი-



ლი. ამით მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ვახტანგ VI-ის დროინდელ, არამედ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

1709-1723 წწ. ვახტანგ VI-ის სტამბაში იბეჭდება კიდევ ერთი წიგნი „ბიბლია“, 1710 წ. კი „კონდაკი“. იგი წარმოადგენს ღვთისმსახურთა სახელმძღვანელო წიგნს.

1712 წ. მნიშვნელოვანი თარიღია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში, ამ დროს დაიბეჭდა პირველი საერო შინაარსის წიგნი საქართველოში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მეორე მხრივ, ეს იყო სტამბურად გამოცემული პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები.

ვახტანგ VI-ის სტამბის ბოლო პერიოდი 1721-1722 წწ, მოიცავს; ამ დროისათვის წიგნის გამოცემა კვლავ აღმავლობის გზაზე დგება. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი სიახლით ხასიათდება. 1721 წ. ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა ირანულიდან თარგმნილი „აიათი“. იგი პირველი ქართული ნაბეჭდი მეცნიერული წიგნია. თავისი შინაარსით მას სახელმძღვანელოს დანიშნულება აქვს.

1723 წ. თურქები თავს დაესხნენ ქართლს. ვახტანგ VI-მ რუსეთს შეაფარა თავი, ხოლო 1724 წ. მისი სტამბაც დაიხურა.

XVIII ს. 50-იან წლებიდან ახალი აღმავალი ხანა იწყება აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დაარსდა ოფიციალური სახელმწიფო სასწავლებლები თელავსა და თბილისში სასულიერო სემინარიების სახით, საფუძველი ეყრება ახალ წიგნსაცავ-ბიბლიოთეკებს და სხვა. ამავე პერიოდში იწყება ზრუნვა უცხოელთა გამუდმებული შემოსევების გამო მივიწყებული ვახტანგ VI-ისეული სტამბის აღდგენისათვის.

1749 წ. ერეკლე II-მ ანტონ I კათალიკოსის ხელმძღვანელობით მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა ყიზილბაშთაგან წარყვნილ-წაწყმედილ ქრისტიანულ წესჩვეულებათა გასაწმენდად, აქვე გადაწყდა განადგურებული ვახტანგ VI-ის სტამბის აღდგენა, რომლის გარეშეც კრების მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

1749 წ. მნიშვნელოვანი თარიღია ქართული კულტურის ისტორიაში. ამ წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი ერეკლე II-ს სტამბაში - „დავითნი“, 1751 წელს კი დაიბეჭდა ორი წიგნი: „ქადაგება“ და „კოდაკი“, 1783-1784 წლებში დაიბეჭდა ლიტურგიული წიგნები: „დაუჯდომელი“, „კურთხევანი“ და „ლოცვანი“, ხოლო 1788 წ. „ზატიკი“.

1795 წ. საქართველოს შემოესია ირანელთა ლაშქარი ალა-მაჰმად ხანის სარდლობით. მთლიანად დაანგრეს თბილისი, მათ შორის ცეცხლს მისცეს ერეკლე II-ის მიერ აღდგენილი სტამბაც, ეს სტამბა მოგვიანებით აღადგინა ქ.კეყერაშვილმა, რომელმაც 1800 წ. დაბეჭდა დ. ბაგრატიონის „ნარუკუევი“. ეს წიგნი მრავალმხრივად საყურადღებო, - რაც მთავარია, იგი ერეკლეს სტამბაში გამოცემული ისტორიულ-მეცნიერული ხასიათის პირველი ორიგინალური წიგნია.

როგორც ცნობილია, საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავალი ქართველი მოღვაწეობდა. ასეთი იყო ათანასე ამილახვარი, რომელმაც 1762 წ. მიწურულში მოსკოვში დააარსა ჯვართამაღლების მონასტრის სტამბა. პირველი წიგნი 1763 წ. დაიბეჭდა. ეს არის „დაუჯდომელი“, ხოლო 1762-1763 წწ. დაიბეჭდა „თუენი“, შემდეგ „სამოციქულო“ 1765 წ. და ბოლოს, 1768 წ. - „ლოცვანი“ და „ჟამნი“.

ჯვართამაღლების მონასტრის სტამბამ იარსება XVIII ს. 70-იან წლებამდე. სტამბის დახურვის მიზეზი ათანასე ამილახვრის გარდაცვალება იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზდოკის, ქუთაისის, წესის და საჩხერის სტამბების საქმიანობა, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

იოსელიანი ა. ქართული მნიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები. - თბ.: მეცნიერება, 1990.

კასრაძე ო. ქართული წიგნის ბეჭდვის კვრები. - თბ.: საბჭოთა საქართველო, 1980.

გუგუშვილი პ. ქართული წიგნი 1629-1929 წწ. - თბ.: სახელგამი, 1929.

## ბიბლიოთეკის ისტორია



დარეჯან კოტეტიშვილი  
**კავთისხევის საზოგადო-საეკლესიო  
 წიგნსაცავი**



კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება ძველთაგანვე ძალზე რთული იყო; ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე უმკლავდებოდა შინაურ თუ გარეშე მტრებს, რომლებიც ჩვენი კულტურისა და ერის მრწამსის მოსპობას ცდილობდნენ.

მიუხედავად ასეთი მძიმე ისტორიული ვითარებისა, ჩვენმა ქვეყანამ შეძლო დაეცვა ის საუნჯე, რაც საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია, თაობიდან თაობისათვის გადაუცია, რის წყალობითაც მსოფლიო კულტურულ ქვეყნებს შორის დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

ამ საშვილიშვილო საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც იმ პერიოდში მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდნენ, სადაც თავს იყრიდნენ მწიგნობრები, მეცნიერები, მთარგმნელები, კალიგრაფები, ეტრატის დამამზადებელნი, ილუსტრატორები; იქმნებოდა შედევრები, იწერებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, სრულდებოდა თარგმანები, ძველი ხელნაწერების აღდგენა, აკინძვა და ა.შ.

ეკლესია-მონასტრებში არსებობდა წიგნსაცავები - უძველესი ბიბლიოთეკები; ასეთი მონასტრები კი მრავლად იყო საქართველოში.

საქართველოს წიგნსაცავებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მათი არსებობა საქართველოში დამწერლობის წარმოშობის დროიდან უნდა ვივარაუდოთ.

საუკუნეთა მანძილზე საქართველოში მრავალი სახის წიგნსაცავი იყო: „სამეფო“, „მონასტრო“, „საეკლესიო“, „საოჯახო“ ანუ „საშინაო“. ეს უკანასკნელნი ყოველ დროში არსებობდა საქართველოში. მათგან ბევრმა

ჩვენამდეც მოაღწია. ამათგან განთქმული ყოფილა წინანდალში - ალ. ჭავჭავაძის, ზუგდიდში - დადიანების, საჩხერეში - გ. წერეთლისა და სხვათა პირადი ბიბლიოთეკები.

ხელნაწერები და წიგნები იყოფოდა ორ დიდ ჯგუფად - „სალვთო“ და „საერო“.

წიგნების უკეთ სარგებლობის მიზნით, წიგნსაცავებს სათანადო სათავსოები ეჭირა, კლასიფიცირებული ხელნაწერები და წიგნები საგანგებო განყოფილებებად ელაგა თაროებზე, რომელთაც „საწიგნე“ ეწოდებოდა.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ბიბლიოთეკა-წიგნსაცავებს.

ბიბლიოთეკები საჭირო ლიტერატურით ამარაგებდა არა მარტო ადგილობრივ მკითხველებს, არამედ სხვადასხვა ქალაქების, სოფლების მოსახლეობასაც.

შემოსული მტერი წიგნსაცავებსაც აზიანებდა და ანადგურებდა. სხვა ნადავლთან ერთად საქართველოდან წიგნებსაც ეზიდებოდა, მათი აღდგენა ერთ-ერთი პირველი საზრუნავი იყო ეკლესია-მონასტრის მკვიდრთათვის.

საქართველოს თვითოეულ კუთხეს, ყოველ სოფელს თავისი ისტორია აქვს.

საქართველოს ისტორიულ მინა-წყალზე დღესაც უტყუარი, ცოცხალ მოწმეებად დგანან: ნაციხარ-ნაქალაქარები, ნასოფლარები, კოშკები, ეკლესია-მონასტრები, რომლებიც წარსულის ამსახველი ძეგლებია. ერთ-ერთ ამგვარ უძველეს დასახლებას წარმოადგენს კასპის რაიონის უძველესი ისტორიული, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა - სოფელი კავთისხევი.

ამ სოფლის ეკლესიებში მოღვაწეობდნენ

გამორჩენილი სასულიერო პირები: ანტონ I კათოლიკოსი-ბაგრატიონი, პანტელეიმონ (იოანე) გედევანიშვილი, ზებედე ცხვედაძე (ნიკო ცხვედაძის მამა), დავით ონოფრიშვილი, ალექსანდრე კოტეტიშვილი, დავით ბარნაბიშვილი (ბარნაბოვი) და სხვანი.

მათ დიდი დამსახურება მიუძღვით ქრისტიანული სარწმუნოების გაღვიძებასა და სახალხო-სამონასტრო-საეკლესიო წიგნსაცავების დაარსებაში. ისინი იმისთვისაც იღვწოდნენ, რომ სოფლის მოსახლეობა გაენათლებინათ ეროვნული თუ სასულიერო თვალსაზრისით.

1889 წელს სოფელ კავთისხევში ბლალოჩინ-მღვდელს დავით ბარნაბიშვილს (ბარნაბოვს) მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის - საქართველოს ეზსარქოსის პალატის ლოცვა-კურთხევითა და ნება-დართვით, კავთისხევის საბლალოჩინო ეკლესიების კრებულთა დახმარებით გაუხსნია საზოგადო-სამონასტრო-საეკლესიო წიგნსაცავი.

წიგნსაცავისთვის ფულის შეკრება 1888 წლის 1 იანვარს დაწყებულა. ამასთან, გადაწყვეტილა, თითოეულ საეკლესიო კრებულის წევრს ბიბლიოთეკის მონყობილობის შესაძენად, აგრეთვე ახალი წიგნებისა და პერიოდიკის გამოსაწერად წელიწადში ორ-ორი მანეთი შეეტანა.

საეკლესიო წიგნსაცავის ხელმძღვანელობას სავსებით ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი მიზანი და ამოცანები: წიგნსაცავი უნდა მომსახურობდა კავთისხევის საბლალოჩინო ოლქის მცხოვრებლებსა და საეკლესიო კრებულის წარმომადგენლებს. ყველას, „ვისაც შეეძლო წაკითხვა და წაკითხვით სარგებლობა“. სოფლის მცხოვრებთა შორის უნდა გაეგრძელებინა სასულიერო შინაარსის ლიტერატურა, დახმარებოდა ნასწავლ მღვდლებს სახელმძღვანელო წიგნების მიწოდებით, რათა მათ „თავისუფალ დროს იკითხონ ეს წიგნები და მით აღიმაღლონ თავიანთი ზნეობა“.

წიგნსაცავში ძირითადად თავს უყრიდნენ ქართულ წიგნებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა არსებულ წეს-წყობილებას, რჯულსა და ქრისტიანულ ზნეობას. ბიბლიოთეკა ამგვარი ხასიათის რუსულ წიგნებსაც

აგროვებდა, მათი გამოყენება ხდებოდა როგორც ადგილზე, ისე შინ წაღებთაც. წიგნის შინ სარგებლობისათვის საჭირო იყო დადგენილი გირაოს დატოვება.

წიგნსაცავის გამგე ყოფილა ბლალოჩინ-მღვდლის დავით ბარნაბიშვილის შვილი მიხეილი, რომელსაც შეუდგენია ამ ბიბლიოთეკის წიგნით სარგებლობის წესები. იგი 5 პუნქტისგან შედგება.

„წესი წიგნების ხმარებისა

1. ყოველი ეკლესიის კრებულთა კავთისხევის საბლალოჩინო მარხისა, მოვალე არის ხსენებულის წიგნთ-საცავიდან წაიღოს ის წიგნი, რომელსაც ისურვებს მისი სამწყსოს რომელიმე წევრი.

2. ყოველსა ეკლესიაში, მედავითნის წინ - ანალოგიაზედ იქნება ხსენებულის წიგნთსაცავის წიგნის სია, საიდგანაც მსურველს შეუძლია ამოირჩიოს წიგნი.

3. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ წიგნები თავისი ეკლესიის კრებულისაგან და კრებულთა მოვალე არის მიუტანოს მსურველს ნათხოვნი წიგნი.

4. მსურველს შეუძლია პირდაპირ მიიღოს წიგნი ამ წიგნთსაცავისაგან, თუკი მას იცნობენ და მასთან, თუ იგი არის სანდო პირი, ანუ თუ მსურველი დასტოვებდა წიგნთსაცავში ჯეროვან გირაოსა, ანუ ფულსა, რომელსაც პატრონი მიიღებს მისგან წაღებული წიგნის დაბრუნების შემდეგ.

5. ვინც დაჰკარგავს წაღებულსა წიგნს მან უნდა გადაიხადოს წიგნის ფასი და ისიც რაც წიგნის მოპოებაზე დახარჯულა.

წიგნთსაცავის გამგე - მ.დ. ბარნაბიშვილი“  
ამ წესების მიხედვით გათვალისწინებული იყო, როგორ უნდა გამოყენებულიყო წიგნები, როგორ მომხდარიყო დაკარგვის შემთხვევაში მათი ანაზღაურება და სხვა.

წიგნსაცავის თხოვნით, საბლალოჩინოს ყველა ეკლესიის საკრებულოში უნდა ყოფილიყო სია წიგნებისა, რომლებიც კავთისხევის წიგნსაცავს გააჩნდა.

როგორც ირკვევა, კავთისხევის საბლალოჩინო წიგნსაცავი კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, რაზეც მეტყველებს მისი ორგანიზაციული საქმიანობის ანალიზი.

## ქართული ქრონიკონი

გიორგი სარაჯიშვილი

**ქართული „ქვარონიკონი“, რამაც ილია  
აღაფროვანა - ენციკლოპედიაში  
შეხანილი არ არის**



წელთაღრიცხვის ძველი სისტემა - ქრონოლოგია, მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ტერმინი ბერძნულია და შედგება ორი სიტყვისაგან - დროისა (chronos) და მოძღვრებისაგან (logos). ქრონოლოგია დამხმარე ისტორიული დისციპლინაა, რომელიც აღწესსავს დიდი პიროვნებების, მოვლენების და დოკუმენტების თარიღებს.

ქართული წელთაღრიცხვის შესახებ იონა მეუნარგია ამბობს: „პერიოდს, რომელზედაც იყო დაყოფილი ქორონიკონი, ერქვა: ხუთასეული, მოქცევი, კვიკლოსი, ან როგორც რომისა და საბერძნეთის სწავლულები ეძახდნენ ინდიქტიონი“. (1)

სწავლულებმა იცოდნენ, რომ მნათობები გარკვეული დროის შემდეგ - მთვარე 19 წლის, ხოლო მზე - 28 წლის განმავლობაში მიდიან იმავე წერტილში, საიდანაც დაიწყეს მოძრაობა. ციკლი ანუ მოქცევი შეიცავს 19-ისა და 28-ის ნამრავლს, რაც იძლევა 532-ს.

ჩვენმა წინაპრებმა ქართული წელთაღრიცხვის საფუძვლად ანუ ერად 5604 წელი მიიჩნიეს - დასაბამიდან სოფლისა ქრისტესობამდე. მთელი დრო დაიყო 532 წლიან ციკლად, რომლებსაც ეწოდათ: პირველი მოქცევი, მეორე მოქცევი, მესამე მოქცევი და ა. შ. მეთოთხმეტე მოქცევი დასრულდა 1844 წელს.

მოქცევის წელიწადი იწოდება ქორონიკონად. როცა წერია: „გარდაიცვალა დავით კურაპალატი ქორონიკონსა სკა (221)“, ნიშნავს, რომ მოქცევის წელიწადი ყოფილა 221 და თუ ვიცით, რომელ მოქცევაში მოხდა დავითის გარდაცვალება, მაშინ ადვილად ვიპოვით, რომელ წელს უდრის ქორონიკონით. სამწუხაროდ, ხშირად მემამტიანენი არ წერდნენ, თუ რომელი მოქცევისა იყო ქორონიკონი,

ამიტომ იძულებული ვართ, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მივიჩნიოთ მოქცევი, „ეს კია, რომ ჩვენ მწერლობაში მხოლოდ მეცამეტე და მეთოთხმეტე მოქცევის წლებია აღნიშნული და ყოველი ქორონიკონი ან ერთი მოქცევისა არის, ან მეორესი“. (2) აღებული შემთხვევა ეჭუთვნის მეცამეტე მოქცევას, რომელიც დაიწყო 781 წელს, ამიტომ 780 წელს რომ მივუმატოთ 221 წელი, მივიღებთ 1001 წელს. ამ წელს მიიცვალა დავით კურაპალატი.

ან კიდევ, ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ მესამის (975-1014) მეფობაში აშენებული ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის წარწერის თანახმად: „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“. აქაც არ არის მინიშნება, თუ რომელ ხუთასეულში მოხდა მშენებლობის დასრულება. მაგრამ ისტორიისათვის ცნობილია ბაგრატ მეფის მეფობის დრო, ამიტომ შესაძლებელია აშენების თარიღის დადგენა. რადგან მეფე მოღვაწეობდა მეთორმეტე მოქცევაში, 780-ს უნდა დავმატოთ 223 წელი ქორონიკონით, მიიღება 1003 წელი. ე. ი. ბაგრატის ტაძარი აშენებულია 1003 წელს.

ქორონიკონისა და ქვარონიკონის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ქართულის ქორონიკონისა თვითეული მოქცევი ნიშნავს 532 წელსა, რომელსა მოქცევსა ეწოდების დიდი მზის მოქცევი... მოუთხრობენ, რომელ იგი არის აღრიცხულ მრავლით წლითგან უწინარეს ქრისტეს მოსვლისა, რიცხვი წელთა აღრიცხვისა ქვათაგან წელიწდეულთა აღრიცხულ, ვინაიდგან დასაბამსა შინა პირველ დაწყებისა ივერიისა, ესე იგი საქართველოსა შინა დამკვიდრებისა ერისასა უწყისთ აღნიშვნა წელთა, დიდ-დიდითა ქვებითა აღურიცხავთ დასაბამითგანნი წელნი და



ეგოდეინთა ქვითა აღუგესთ პირამიდნი და ყოველთა წლის მოქცევთა თითოეულსა დიდსა გათლილსა ქვასა დასდებდიან პირამიდისა მას ზედა მოსახსენებლად წელიწადის მოქცევისა და ოდეს სრულ იქმნებოდა თვითოეული მზის მოქცევი განსრულდებოდაცა პირამიდი ერთი, ვინაიდგან თვითოეული პირამიდი იყო აღშენებული 532 ქვათაგან; და ესე არა თუ ზღაპარი არს არამედ ჭეშმარიტი, ვინაიდგან საქართველოსა მრავალთა ადგილთა, ზემოსაცა შინა ივერიასა და ქვემოსაც შინა ივერიასა კოლხიდიისა მამულსა შინა და სხვათა ადგილთა იპოებიან და მათათა შინა კავკასიისათა. პირამიდი ქრონიკონისანი, რომელსა ქვარონიკონადცა სახელდების და ვისცა ნებაგს და სურის ხილვად ანცა ძალიდების, რათა იხილონ თვთ თვალითა თვისითა“. (3)

ქვარონიკონზე, რომელზეც თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს: „ესე არა თუ ზღაპარი არს, არამედ ჭეშმარიტი“, ქართველ ენათმეცნიერთ ყურადღება არ მიუქცევიათ და ლექსიკონებში და ენციკლოპედიაში არ შეუტანიათ.

იონა მეუნარგია გვიყვება ილიას შესახებ: „როდესაც „კაცია-ადამიანის“ ავტორმა ამოიკითხა ადგილი ქვარონიკონის შესახებ თეიმურაზის თხზულებიდან, აღტაცებული წამოხტა ზეზე, დაჰკრა ხელი თავის სენაკის სტოლზე და სთქვა: ხუთას ოცდათორმეტ მანეთს დაუთვლი იმას, ვინც მაჩვენებს მე ამ პირამიდის ქვებსო! და სანამ აღტაცება განქრებოდა, ამბობს გადმოცემა, იმან გაგზავნა ბიჭები მთა-ბარში ამ პირამიდის საძებნელად. ამბობენ, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულანო ესენი; ერთი რაღაც ძველი ნაშენი უნახავთ და დღემდინ ვერ გადაუწყვეტიათ - ხუთასეულის პირამიდაა ის, თუ ძველი რომელიმე ეკლესიის ტრაპეზიო“. ქვარონიკონით თავად დაინტერესებული მეუნარგია წერს: „არ ვიცი რა წყაროდან ამტკიცებს, მაგრამ თეიმურაზი ამ საგანზე გადაწყვეტით ამბობსო“, ხოლო ქორონიკონი, „როდის შემოიღეს პირველად საქართველოში ეს წელთ-რიცხვა ნამდვილათ არ ვიციო“, მაგრამ ეყრდნობა ილიაძის კალენდარს, სადაც წერია: „ქრისტეს აქეთ 780 წელშიო“, მეუნარგიას მიაჩნია, „აზრი უსაფუძვლოაო“.

კალენდრის და ქრონოლოგიის ისტორიის ლიტერატურაში „ქვარონიკონის“ მაგვარ შემთხვევას ადამიანი ვერ მოიძიებს, იგი ქარ-

თველი კაცის ნიჭიერების ნაყოფია. თუ იმ დროს ილიას სურვილი არ შესრულდა და ფულის შოვნით დაინტერესებულებმა ერთი შემთხვევაც, ეპოვათ პირნამიდის მაგვარი 532 ცალი გათლილი ქვა, „დიდ-დიდითა ქვებითა აღრიცხული“, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ვერ ეპოვათ, რადგანაც 1880 წლისათვის საკმარისად დიდი დრო იყო გასული წელთაღრიცხვის ხუთასეულებით აღრიცხვიდან და „დაყრილი“ გათლილი ქვებით ისარგებლებდა მპოვნელი, ვინ სახლის, ვინ გალავნის, ვინ კიბის აშენებისათვის. და კიდევ: თუ ვინ რაში გამოიყენებდა მზამზარეულ სამშენებლო მასალას, ერთად შეგროვებულს, ძნელი სათქმელი არ არის. ვფიქრობთ, ამაში გასაკვირი არაფერია და ლეგენდისაგან შორს უნდა იყოს.

„ქვარონიკონი“ მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული და მასზე ყურადღების არმიქცევა უპატივცემულობაა ქართველებისადმი. ვცადოთ, მოუწყვეთ ქვარონიკონის შესახებ განათლებულ ევროპას და თუ გამოიწვევს დაინტერესებას, მერე ავუგოთ ძეგლი, ერთ რომელიმე ადგილას „ქვარონიკონის“ შემქნელთა მოსაგონებლად. ქართველი ამბობს: „ილიამ ყველაფერი იცოდაო... ყველაფერზე ამახვილებდა ყურადღებასო“... ქვარონიკონზე ჩვენეული მიდგომა ილიასეულია, რამაც გვაფიქრებინა ზემოთ ნათქვამი.

მეუნარგიას მოსაზრებით: „ქართული წელთ-რიცხვის საფუძველი ისტორიული მოვლენა არ არის, ზეციურია“-ო, ხოლო ხუთასიანის წელთაღრიცხვაზე ამბობს: „ერთი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მაშინ როდესაც ეხლანდელ წელ-რიცხვებში წელი წელს ემატება, რამდენი საუკუნეებიც უნდა გავიდეს იმ გვარ წელთ-რიცხვებში, რომლებზედაც გვინდა ვილაპარაკოთ, წლების ერთი ერთზედ მითვლა დაუღვეველი როდია. აქ წელთ-რიცხვა დაიწყება, მერე ის მატულობს წლითი-წლად და როდესაც მიაღწევს ერთს რომელსამე წლამდის, ისევ თავიდან მოყვება, ისევ დასაწყისიდან, როგორც ჩვენი დღეები, ან თვენი, რომლებიც ორშაბათიდან და იანვრიდან იწყებიან და ისევ ორშაბათს და იანვარს უბრუნდებიან“.

ილიას ბიოგრაფებს, „მასზე“ ლიტერატურის შესწავლისას გამორჩენილი აქვთ, მეუნარგიას პუბლიკაცია. რაც ჩანს იქიდან, რომ

ილიას გაკვირვება ქვარონიკონის შესახებ, დიდი მნიშვნელობის ფაქტი, მის ბიოგრაფიაში შეტანილი არ არის.

ილია თავის მრავალრიცხოვან პოლემიკურ-პუბლიცისტურ ნაშრომებში („სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“, „აი ისტორია“...) ქართველთა ცხოვრების ისტორიის ფალსიფიკატორებს პასუხს სცემს და ფაქტობრივ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ქრონოლოგიის ზუსტი დაცვით და ანალიზის შედეგებით ებრძვის ვაი მეცნიერებს, რომლებიც ცდილობდნენ სინამდვილე გაეყალბებინათ, რისთვისაც არ იშურებდნენ ბინძურ ხერხებს.

1909 წელს წიგნად გამოცემულ „აი ისტორიაში“ ლურსმული ნარწერების განხილვის დროს, ილია წერს: „... ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმული ნაწერისასო“ - ერთ-ერთი ნიმუშია ილიასეული ანალიზისა, მისი დიდი განსწავლულობისა, ქრონოლოგიის და ლურსმული დამწერლობის ცოდნისა, იმ მასალებისა, რაც იმ დროისათვის იყო ცნობილი მეცნიერებაში.

### გამოყენებითი ლიტერატურა:

1. დროება. 1880. IX, 4, №186.
2. ლიაძე ი. საქართველოს კალენდარი 1879 წლის ქართულის ქრონიკონით 35 წლისა.
3. თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა. - პეტერბურგი, 1848. - გვ. 41-42.
4. ჭავჭავაძე ილია. აი ისტორია. - ტფ., 1909.
5. ჭავჭავაძე ილია. სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი. /პროფ. თ. სანიკიძის რედაქციით. - თბ., 1994.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ტ. VII. - თბ., 1962. - გვ. 350.
7. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. - პეტერბურგი, 1877. - გვ. 1348-50.
8. კარიჭაშვილი დ. ხუცური ანბანი. - ტფ., 1914. - გვ. - 27-28.

## ბავშვთა კითხვა

გურამ თაყნიაშვილი

# სიკეთის სახით განფენილი სოდნა და გამოცდილება

„ჩუმთა გუშაგთა ღვანლი უჩინარი“...  
ილია

თბილისში, ვარკეთილის ზედა პლატოს ერთ-ერთ უბანში ფუნქციონირებს 61-ე საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში ხუთი ქალბატონი იღვწის. ისინი მთელი დღის განმალფობაში შემოქმედებითი, ინტელექტუალური ხასიათის შრომით არიან დაკავებულნი; ერთნი წინასწარ არჩევენ იმ წიგნებს, რომლებიც დღეს უნდა გაიცეს ბავშვ მკითხველებზე; ამონებენ შერჩეული მასალების სისწორეს, იციან, ვინ, რომელი მკითხველი მოდის დღეს, რომელი წიგნი უნდა დააბრუნოს; თანამშრო-

მელთა მეორე ნაწილი ბიბლიოთეკის გამგის, ქალბატონ ლილი ფანჩულიძის მცირე სამუშაო ოთახში ჩასატარებელი ღონისძიების გეგმას განიხილავს. ღონისძიების სცენარი, გამომსვლელთა დასახელება, ტესტები, დიალოგის პროგრამა თვითონ ლ. ფანჩულიძის მიერაა შემუშავებული. ის არის ყოველი ღონისძიების თავი და თავი, ორგანიზატორიც, შემსრულებელიც, მუსიკის ავტორიც; მაგრამ ერთი რამ შესამჩნევი და თვალშისაცემია: თითოეული ასეთი ღონისძიება წინასწარ იგეგმება მკითხველთა,

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი დაკვეთით.

ბიბლიოთეკის სამუშაო დღე იწყება მკითხველთა ხალისიანი, მაგრამ ჩუმი მოძრაობით თაროებს შორის, საგამოფენო სტენდებთან, თემატურ ალბომებთან; მკითხველთა ერთი ნაწილი ახლადმიღებულ წიგნებს ათვალისწინებს; მეორენი ქალბატონ ლილისთან დონისძიებაში მონაწილეობის დეტალებს აჯერებენ. ასეთი საქმიანი, ღრმად შინაარსიანი და ხალისიანია ბიბლიოთეკის ყოველდღიური ცხოვრება. ყოველდღიურად ბიბლიოთეკაში ერთიმეორეს ენაცვლება საუბარი, კამათი, მუსიკალური გამოსვლები, შთაბეჭდილებათა გაზიარება, წარჩინებულ მკითხველთა წახალისება და ყველა ეს შთამბეჭდავი ეპიზოდი, რომელიც აღსავსეა მკითხველთა მოულოდნელი კითხვებითა და პასუხებით, პრობლემათა წარმოჩენითა და ძიების გზებით. და ყველაფერი ეს მიმდინარეობს წიგნიერ გარემოში.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბავშვთა კითხვადობა, მათი წიგნიერების დონე ბევრწილად განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის კითხვადობის დონეს. ბავშვთა კითხვადობა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა თანამედროვე კაცობრიობისათვის. სწორედ მომავალი თაობის ინტელექტუალური ზრდის დონესა და განათლებულობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი, მისი მომავალი.

ამ საბავშვო ბიბლიოთეკაში კარგად იგრძნობა ამ პრობლემათა სიმწვავე, და რაოდენ კმაყოფილნი არიან ბიბლიოთეკარები, რომელთაც, ემსახურებიან რა ბავშვებს, თავიანთი მცირე წვლილი შეაქვთ ერის მომავალი თაობის აღზრდა-განათლების ეროვნულ საქმეში. ბიბლიოთეკარების ცოდნა და გამოცდილება, მათი პროფესიონალიზმი და ენთუზიაზმი სიკეთის სახითაა გამჟღავნებული და განფენილი მკითხველთა სულიერ სამყაროში. ბიბლიოთეკარებმა კარგად იციან, რომ წიგნიდან გამოსული სინათლე, უპირველეს ყოვლისა, სულს ანათებს, გონებას აცისკროვნებს და ასაზრდოებს. ეს სინათლე ბავშვების სულში, მათ სამყაროში ნათელ სვეტად ამომზევდება მომავალში და ისევ მათივე გონებით ნამოქმედარს გააკეთილშობილებს; ყველაფერი ეს მყარ საფუძველს უქმნის მოზარდებს, ისწავლონ ქვეყნის

სიყვარული, მამულიშვილობა და გააჩნდეთ ქვეყნის სამსახურში ჩადგომის ნადილი.

ბიბლიოთეკარები სისტემატურად აკვირდებიან ბავშვთა კითხვის პროცესს; ბავშვი მკითხველი მათ თვალწინ იზრდება სულიერად, ყალიბდება მოქალაქედ, და, რაც მთავარია, აქტიურია სკოლაში, დამჯერება ოჯახში; კითხვის პროცესის დინამიურობა პროფესიონალის თვალთ დანახული



და გაანალიზებული, ცხადყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ისწრაფის უსასრულო ჰარმონიისაკენ; ფიზიკურ ზრდასთან ერთად, მოსწავლის გონება მდიდრდება რეალობის შემეცნების დაუოკებელი წყურვილით. ამ გზაზე სწორედ წიგნია გზის მანათობელი. სწორი პედაგოგიური ტაქტით შერჩეული წიგნი ასრულებს ამგვარ როლს. ასეთი შერჩეული წიგნის კითხვით აღზრდილი ბავშვი გონიერი, თავმდაბალი და შრომისმყოფარეა. ბიბლიოთეკის გარემოში შემოსული ბავშვი თავისუფლად გრძნობს თავს, თავისუფალია წიგნის არჩევაშიც; ეს პროცესი მიმდინარეობს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ ბიბლიოთეკაში მკითხველს მკითხველი მოყავს. ბიბლიოთეკას საქმიანი ურთიერთობა აქვს 117-ე, 152-ე, 182-ე და 145-ე საჯარო სკოლებთან; ასეთი კოორდინაციული მუშაობით მკვეთრად მაღლდება ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარების ავტორიტეტი, შესამჩნევია აკადემიური მოსწრების ზრდა. საერთოდ, წიგნიერი გარემოა შექმნილი ბიბლიოთეკასა და საჯარო სკოლებშიც. ბიბლიოთეკის აქტიური წარჩინებული მკითხველებიდან შეიძლება დავასახელოთ: სოფო ახსიაშვილი, ია კინბაბაშვილი, ნათია ესიაშვილი, ლარისა თარდავა, ანა მელიქიშ-

ვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად სტუმრობენ ბიბლიოთეკას.

აღნიშნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი უფროსკლასელი მკითხველი ერთობ გაუშინაურდა ბიბლიოთეკარებს, შეიყვარა წიგნების ეს კერა და თვითონ დაიწყო ბიბლიოთეკარის როლის შესრულება. ბიბლიოთეკიდან ერთდროულად გაიტანა 10-15 საბავშვო წიგნი, და საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში დაიწყო წიგნების გაცემა თანატოლებზე. ნაკითხულები უკან დააბრუნა და შეცვალა ახა-



ლით. ასეთმა „ბიბლიოთეკარობის თამაშმა“ ბევრი ახალი მკითხველი შემატა სახელმწიფო ბიბლიოთეკას.

საბავშვო ბიბლიოთეკაში პირველად შემოსული ბავშვი, მშობელი თუ პედაგოგი ადვილად რწმუნდება იმაში, რომ ბიბლიოთეკა არის სიჩუმის, სიწყნარის, გონების დამშვიდებისა და გამდიდრების, ფიქრის, განსჯისა და სხვადასხვა ავტორთან დიალოგის სამყარო.

61-ე ბიბლიოთეკაში კარგად არის ორგანიზებული შრომის კულტურა. ბიბლიოთეკარები: მაკა ბარათაშვილი, ნატო გალუსტაშვილი, მარინა გოცაძემ და სოფიკო გორგაძე ხალისითა და სიყვარულით ეგებებიან ბავშვებს, იცნობენ თითოეულ მათგანს; მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ბავშვებთან დიფერენცირებული მუშაობის საწინდარია. ის ფაქტი, რომ დღევანდელი ბავშვი მოქცეულია ჭარბი ინფორმაციის სამყაროში, დიდ სირთულეებს უქმნის ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკარებს. მათი მიზანია, ინფორმაციის ზღვა ნაკადიდან ბავშვებს მიანოდონ აუცილებელი, ცოდნასთან, წიგნთან დაკავშირებული ინფორმაცია, რათა ბავშვი, მოსწავლე არ მოწყდეს წიგნს, მიეჩვიოს ტექსტზე მუშაობას. ერთი ჭეშმარიტება კარგად აქვთ შეგნებული აქ მომუშავე ბიბლიოთეკა-

რებს - ინფორმირებული მოსწავლე სულაც არ ნიშნავს ამ მოსწავლის განათლებულობას. განათლება, მეცნიერული საფუძვლების დაუფლების ყველაზე უტყუარი საშუალება და წყარო სწორედ წიგნია.

მკითხველთა მომსახურების ინტენსივობას ბევრწილად განაპირობებს ფონდების შეუქცევადი განახლება. მოსწავლეები რიგრიგობით კითხულობენ ისეთ გამოცემებს, როგორცაა „მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის“, „ქართული ზღაპრების ხალხური კიდობანი“, „ქართული ისტორიული მოთხრობა“ და სხვა. ბევრი ასეთი გამოცემა ხელიდან ხელში გადადის. საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას. რომანტიკა, როგორც ახალგაზრდობის თანამდევარი და სულიერი განწყობის გამახალისებელი, ყოველ ნაბიჯზე ატყვია ახალგაზრდა თაობის შინაგან სამყაროს. ეს ტენდენცია შეიმჩნევა მის ქცევასა და მეტყველებაში, მის არჩევანში, მთლიანად კითხვის პროცესში.

ბავშვთა კითხვადობის დონეს ბევრწილად განაპირობებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების სწორად ორგანიზება. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი მიდის მისი ასაკისათვის განკუთვნილ თაროსთან, სადაც ანბანურ რიგზეა წარმოდგენილი ძველი თუ ახალი გამოცემები; წიგნის რეკომენდაცია, შთაბეჭდილებათა ჩანერა, აზრთა გაზიარება ისეთი უშუალო და ხალისიანი ფორმით მიმდინარეობს, რომ ბიბლიოთეკარები ამ პროცესის ეფექტურობით ბევრ საჭირო დასკვნას აკეთებენ, სწავლობენ, აკვირდებიან; ეს გარემოება მკითხველის შეცნობის ისეთი ფორმაა, რომელიც ბიბლიოთეკარს საშუალებას აძლევს ღრმად ჩანვდეს მკითხველი ბავშვის ფსიქოლოგიას, მის შინაგან სამყაროს, რათა იგი უფრო გააძლიეროს და გაახალისოს.

ბიბლიოთეკის პატარა, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალებისაგან შედგენილ სპეციალისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ქალაბტონი ლილი ფანჩულიძე, პიროვნება ღრმად ერუდირებული, განსწავლული, მრავალი ლექსისა და მუსიკის ავტორი, წიგნმცოდნე და ბავშვების მოყვარული. სანიმუშო და მისაბაძია ამ ბიბლიოთეკის შემოქმედებითი საქმიანობა და ღვაწლი მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

## გვმსაშობება პროფესიონალი

ლილი გორდელაძე-მიმინო შვილი

თბილისის მთავარი ბიბლ. საკვალიფიკაციო ცენტრის ხელმძღვანელი

## თბილისის საჯარო ბიბლიოთეკები ბარდაქმნის ეტაპზე

1994-1995 წწ. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გარკვეულ სპეციალისტთა ჯგუფმა პირველად შექმნა დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, რომელიც 1996 წ. ივნისში სათანადო განხილვის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა. კანონმა უზრუნველყო და განსაზღვრა სახელმწიფო ორგანოების, ბიბლიოთეკებისა და მკითხველთა უფლება-მოვალეობანი. კანონმა ბიბლიოთეკებს ამოცანად დაუსახა თანამედროვე პირობებში მაქსიმალურად მოახერხონ მკითხველთა მაღალ დონეზე მომსახურება და ინფორმაციული მასალის დიდ მოზღვაებაში მათი დაკმაყოფილება. ბიბლიოთეკა, როგორც ცოდნის დიდი კერა, ვალდებულია უზრუნველყოს როგორც მკითხველი, ისე თავისი თითოეული მუშაკი.

თანამედროვე პირობებში დიდი როლი ენიჭება ბიბლიოთეკებს, მათი საქმიანობის გააქტიურებას, რეფორმებს, ძიებას, ახლისა და ძველის განმტკიცებას. ბიბლიოთეკებს, დროის დიდი ზეგავლენის მიუხედავად, ჯერჯერობით არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. იმისათვის, რომ მკითხველთა მოთხოვნები წარმატებულად დაგვირგვინდეს, დღევანდელ პირობებში, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მთავარი პირობა-მოთხოვნა, რაც წითელ ზოლად უნდა მიყვებოდეს ბიბლიოთეკის მუშაობას - ეს გახლავთ ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, თავისი საქმის ერთგული და თავისი საქმით კმაყოფილი ბიბლიოთეკარები. ამ ამოცანას რომ თავი გაართვას ბიბლიოთეკამ, აი, რას გვასწავლის და რას გვიზიარებს თავისი დაკვირვების შედეგად გერმანიის ქ. ვიუც-ბურგის საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი ფ. ჰანელოგორი:

ა. ბიბლიოთეკები ისეთივე მნიშვნელოვანი არიან, როგორც მკითხველები.

ბ. შექმენით სერვისის კულტურა: ყოველ ბიბლიოთეკარს უნდა ესმოდეს, რომ მისი მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მას თავისი წვლილი შეაქვს.

გ. აამოქმედეთ ყველა თანამშრომელი: ამ ფილოსოფიით იხელმძღვანელოს ყველამ, დანყებული მენეჯერიდან - დამთავრებული ბიბლიოთეკარებით.

დ. ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება: გაითვალისწინეთ თქვენი პერსონალის განვითარების პერსპექტივები.

აი თავი და თავი, რაც ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკარებს მოეთხოვება.

სწორედ ამ მიზნით გადაწყდა ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში შექმნილიყო საკვალიფიკაციო ცენტრი, რომელიც იქნება განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და გადამზადების სამჭედლო. მის სათავეში ჩადგებიან ისეთი გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით ხელი შეუწებყონ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. დღევანდელ პირობებში აქტუალური თემაა და ამიტომ ითხოვს ჩვენი ბიბლიოთეკები რეფორმებს. მიუხედავად განუვლი უზარმაზარი სამუშაოს, ბიბლიოთეკარები მაინც ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რაც დღეს მათ წინაშეა: მომსახურებისა, როგორ ფორმას ირჩევს მკითხველი.

რა ელის ბიბლიოთეკარის პროფესიას, როგორი იქნება მისი მომავალი? აი, კითხვები, რომლებიც უნდა ანუხებდეს დღეს ბიბლიოთეკარებს. დღევანდელი რეალობა გვკარნახობს, რომ ბიბლიოთეკარებმა ფეხი უნდა აუწყონ ყოველივე ახალს, რომ არ ჩამორჩნენ და მაღალი პროფესიონალები იყვნენ. დიდი საშუალებები იხსნება ბიბლიოთეკე-

ბის წინაშე თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. კერძოდ, კომპიუტერის სახით, მაგრამ ერთი რამ უნდა ახსოვდეს ბიბლიოთეკარებს: კომპიუტერი წიგნს ვერ შეცვლის, კომპიუტერიც ერთგვარი წიგნია, იგი წიგნის გვერდითაა და ბიბლიოთეკებს ხელს უწყობს მკითხველთა მოზიდვაში. ორივეს თავისი გზა აქვს მკითხველთან მისასვლელი. მათი სწორი გამოყენებით მივიღებთ იმ პროდუქტს, რასაც წიგნიერი საზოგადოება ჰქვია. სწორედ ორივე ერთად ქმნის საზოგადოების, განათლებული ადამიანების კერას. ბიბლიოთეკარი კარგად უნდა ერკვეოდეს ამ ორი გიგანტის არსშიც, რომ ჩააყენოს ისინი მკითხველი საზოგადოების სამსახურში. ამგვარი მოქმედება საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკარებს, რაც შეიძლება უფრო დაუახლოვონ მკითხველი წიგნს და მეტი დრო ატარონ ბიბლიოთეკებში წიგნთან. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდი ადგილი აქვს დათმობილი დღევანდელ ცხოვრებაში ბიბლიოთეკას, წიგნს, რათა არ განეღდეს წიგნისადმი ლტოლვა. დღეს, ისე როგორც არასოდეს, ბიბლიოთეკების საზრუნავია საზოგადოების გონივრული მართვა, კითხვის სწორი ხელმძღვანელობა, მკითხველის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნით კი დღეს ბიბლიოთეკარები

დიდ ძიებაში არიან. წიგნის პოპულარიზაცია, მისი მკითხველთან მისასვლელი გზები, აი ის პრიორიტეტული მიმართულებები, რასაც მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრები გადანყვეტენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მიზნით გაიხსნა სწორედ 2009 წლის 4 მარტს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკართა გადამზადების საკვალიფიკაციო ცენტრი. შეიქმნა ცენტრის დებულება, სასწავლო გეგმა. განაწილდა ბიბლიოთეკართა საქმიანობა, მობილიზებულ იქნა განყოფილების გამგეები, რათა თავიანთი გამოცდილება განაზოგადონ და წვლილი შეიტანონ დამწყები კადრების გადამზადებაში. გარდა ადგილობრივი მუშაკებისა, ბიბლიოთეკის საკვალიფიკაციო ცენტრს მხარში ამოუდგნენ ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის პროფესორები: ალექსანდრე ლორია და ინგა ფილაური საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების ხელმძღვანელი გურამ თაყნიაშვილი.

საკვალიფიკაციო კურსებმა თავისი მოკრძალებული სიტყვა უკვე თქვა და პირველი გამოშვებაც სახეზეა. იგი ნელ-ნელა დაფრთიანდება და გაიზრდება. ჩვენ გვჯერა მისი წინსვლისა.

## საინფორმაციო ტექნოლოგიები

ნანა ქავთარაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი

### ელექტრონული ბიბლიოთეკა გლობალურ საინფორმაციო ქსელში

ბიბლიოთეკა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ყოველთვის წარმოადგენდა ერთადერთ დაწესებულებას, რომელიც აწარმოებდა ინფორმაციის პროფესიონალურად შეგროვებას, სისტემატიზაციას, შენახვას და მკითხველებამდე მიტანას. ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქცია გარანტიას აძლევდა ტრადიციულ ბიბლიოთეკებს, კომუნიკაციის სისტემაში მტკიცე ადგილი დაეკავებინა, მაგრამ, ეპოქა, როდესაც კაცობრიობის მთელი ცოდნა მხოლოდ ბეჭდური

სახით ინახებოდა, მთავრდება. ეს აიხსნება ბეჭდური პროდუქციის ისეთი ნაკლოვანებებით, როგორცაა მონაცემთა სხვადასხვა სახეების შემცველობის შეუძლებლობა, ანიმაციის, ხმისა და ვიდეოგამოსახულების ჩათვლით.

ელექტრონული რესურსები ბეჭდურ გამოცემებს თანდათან დევნიან, მაგრამ ის არ არის ტრადიციული ბიბლიოთეკის კონკურენტი. ეს ახალი მოვლენაა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომ-

სახურების სფეროში, რომელმაც მსოფლიო-ში ფართო აღიარება მოიპოვა. სპეციალისტების აზრით, ელექტრონული ბიბლიოთეკა უნდა განიხილებოდეს როგორც თანამედროვე პირობებში ტრადიციული ბიბლიოთეკის ფუნქციების რეალიზაციის ფორმა.

სრულყოფილ ელექტრონულ ბიბლიოთეკას, ტრადიციულისაგან განსხვავებით, არსებითი უპირატესობანი გააჩნია. მთავარი უპირატესობა მდგომარეობს მის პოტენციურ შესაძლებლობებში, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ინფორმაციით ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებელი, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ამის გარდა, ელექტრონული ბიბლიოთეკა საშუალებას იძლევა გააფართოოს საერთო ხელმისაწვდომობის პრინციპი: მსოფლიო ინფორმაციის უნივერსალური ხელმისაწვდომობა მსოფლიოს მომხმარებლებისათვის. სხვა უპირატესობებში შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხის ამაღლება, ბიბლიოთეკების სადღეღამისო მუშაობა, მომსახურების მაღალი ოპერატიულობა, საგანმანათლებლო სისტემაზე დადებითი გავლენა, ბიბლიოთეკის თანამშრომლების მუშაობის პირობებისა და ხასიათის შეცვლა და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკა XXI საუკუნეში ბიბლიოთეკების საინფორმაციო გარემოში დაფუძნების ახალ, პერსპექტიულ ფორმას წარმოადგენს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფა და მსოფლიო საბიბლიოთეკო საქმის განვითარება.

მიუხედავად ელექტრონული ბიბლიოთეკის უპირატესობებისა, მისი ათვისების საქმე საბიბლიოთეკო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში, ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია და ა.შ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ამის მიზეზად უნდა დასახელდეს ის, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებითი თვისებები, მისი თანაფარდობა ტრადიციულ ბიბლიოთეკებთან, საინფორმაციო რესურსები, საინფორმაციო პოტენციალის გამოყენების მეთოდები და როლი საბიბლიოთეკო მომსახურებაში, ჰუმანიტარული, იურიდიული და სხვ. მნიშვნელოვანი ასპექტები. მეცნიერები

ამ ფენომენის საბოლოო სახელწოდებაზეც ვერ შეთანხმდნენ. სპეციალისტების ერთი ნაწილი მას უწოდებს "ელექტრონულ ბიბლიოთეკას", სხვები: "ციფრულს", "დიגיტალურს", "ვირტუალურს" ან "ჰიბრიდურს".

პირველი ექსპერიმენტები დოკუმენტების ელექტრონული გზით ხელმისაწვდომობაზე 1967 წ. კალიფორნიის უნივერსიტეტში დაიწყო (ფაქსების საშუალებით). ერობაში ანალოგიური ექსპერიმენტების განხორციელება 1978 წლიდან დაიწყო.

ციფრული ინფორმაციის შესანახი ერთ-ერთი პირველი დიდი მოცულობის ექსპერიმენტული სისტემა 1982 წელს აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში იყო დადგმული. ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო მნიშვნელოვანი დოკუმენტების ციფრული ასლების შენახვა, ალტერნატიული ტექნოლოგიის გამოცდა და მომხმარებელთა რეაქციის შეფასება.

ტელეკომუნიკაციების სფეროში დიდი პროგრესი 1992-1993 წლებში დაიწყო. განვითარდა მთლიანი ტექსტების გადაცემის ტექნოლოგია, რამაც განაპირობა ინტერნეტის ქსელის ფართო გავრცელება, მთელი მისი შესაძლებლობებით და მისი ჩართვა საერთაშორისო მოხმარების ქსელში.

შემდგომში სკანირების მოწყობილობის შექმნით შესაძლებელი გახდა ელექტრონული სახით შენახულიყო არა მხოლოდ ახალი მასალები, არამედ საარქივო საბიბლიოთეკო კოლექციები.

გაჩნდა სხვა ტექნიკური საშუალებებიც, როგორცაა ოპტიკური კომპაქტდისკები და DVD (დივიდი). შესაძლებელი გახდა ჩაინეროს და დიდი ხნით იქნეს შენახული 100 ათასობით გვერდის შემცველი ტექსტები, გაჩნდა CD-ROM-ზე განთავსებული ელექტრონული წიგნები და ჟურნალები.

კომპიუტერული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების განვითარებამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საბიბლიოთეკო საქმე შეცვალა. გაჩნდა შესაძლებლობა არა მარტო ტრადიციული საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზირების, არამედ ბიბლიოთეკების ფონდებთან მომხმარებლების ფართო დაშვებისა. შეიქმნა ბიბლიოთეკების ლოკალური ქსელები და მონაცემთა ბაზები (კატალოგებისა და კარტოთეკების). თანამედროვე ბიბლიოთეკები ინტერნეტის საშუალებით ამყარებენ კავშირს ერთმანეთთან, ქმნიან

საკუთარ ელექტრონულ სრულტექსტოვან საინფორმაციო რესურსებს, მომხმარებლებს სამამულო და მსოფლიო საინფორმაციო რესურსებით უზრუნველყოფენ.

დღეისათვის დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მომხმარებლებისა და მკითხველების ერთ-ერთ ძირითად ოპერატიულ საშუალებას იმ საინფორმაციო მასალების მისაღებად, რომლებიც საბიბლიოთეკო საცავებშია მოთავსებული. დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობის ძირითადი ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ემსახუროს იმ საინფორმაციო რესურსებს, რომლებიც სხვადასხვა გარემოში "ბინადრობს". მომხმარებლებს ახლა შესაძლებლობა აქვთ არა თუ მიიღონ საჭირო ინფორმაცია, რაც არ უნდა დაშორებულ საცავში იყოს მოთავსებული, არამედ ერთიან ელექტრონულ გარემოში ამ ინფორმაციაზე იმუშაონ.

საბიბლიოთეკო ფონდებთან დაშორებული ხელმისაწვდომობის განვითარება აიძულებს ბიბლიოთეკებს ერთმანეთთან მჭიდრო საინფორმაციო და ტექნოლოგიური კონტაქტი დაამყარონ. არც ერთი საბიბლიოთეკო ფონდი არ შეიძლება იყოს სრული. ეს კი აიძულებს ბიბლიოთეკებს, თავისი მკითხველებისა და მომხმარებლების მაღალ დონეზე მომსახურებისათვის ძალები გააერთიანონ. ამიტომ დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ასლების შეთავაზებისათვის, არამედ როგორც ბიბლიოთეკათმორისი ელექტრონული კონტაქტების დამყარების მეთოდი.

ამგვარად, დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობა, როგორც ხელმისაწვდომობის მოდელი, თანამედროვე ბიბლიოთეკის ძირითადი პერსპექტიული მახასიათებელი და ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის რეალური საშუალებაა. მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად, ინფორმაციის დიდი ნაწილი, გაციფრული სახით, ელექტრონულ ასლებზე აღმოჩნდება. ასე, თანდათან, მოხდება შედარებით ძვირფასი საინფორმაციო წყაროების "ბუნებრივი შერჩევა", საბიბლიოთეკო ფონდის "აქტიური" ნაწილის გამორჩევა და მათზე ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა. ამ გზით მოხდება ერთი საინფორმაციო კულტურიდან მეორეზე გადასვლა, ეს კი ბიბლიოთეკების კიდევ ერთი

სოციალური ამოცანაა, რომელიც დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობის ბაზაზე გადაწყდება.

ბეჭდური პროდუქციის ციფრული საცავის შექმნაში დიდ როლს ასრულებენ ტრადიციული ბიბლიოთეკები. განსხვავება ნებისმიერ ელექტრონულ ბიბლიოთეკას, სრულტექსტოვან მონაცემთა ბაზებსა და ტრადიციულ ბიბლიოთეკებს შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება: საინფორმაციო მასალებით დაკომპლექტების ტექნოლოგიურ პროცესებში და საშუალებებში, რომლებიც მისი შენახვისა და მომხმარებლამდე მიტანისათვის გამოიყენება; საინფორმაციო მასალების მატარებლების სახეებში; ელექტრონული ბიბლიოთეკების ფონდები კომპლექტდება მხოლოდ ციფრული რესურსებით, ხოლო ტრადიციული შეიცავს სხვა მატარებლებზე განთავსებულ ბეჭდურ გამოცემებს და რესურსებს; შექმნისა და ფუნქციონირების საორგანიზაციო ფორმებში: ტრადიციული ბიბლიოთეკები წარმოადგენენ იურიდიულ სუბიექტებს. მათ გააჩნიათ თანამშრომელთა პროფესიონალური შტატი და გათვალისწინებულია განსაზღვრული კონტინგენტის მკითხველთა მომსახურებისათვის. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში მომხმარებელთა დოკუმენტებთან მუშაობის ყველა ეტაპი ავტომატიზირებულია: გამოქვეყნება, ძებნა, მიწოდება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა ანუ ციფრული ბიბლიოთეკა არის საინფორმაციო სისტემის სახე, რომელშიც დოკუმენტები ინახება და გამოიყენება ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზა შეიძლება ელექტრონული დოკუმენტების სხვადასხვა სახეს შეიცავდეს. ელექტრონული გამოცემები ოპტიკურ კომპაქტ-დისკებზე ჩართვება ელექტრონულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკა მას ლოკალურ ან გლობალურ ქსელში გამოფენს და უზრუნველყოფს იმავე ხელმისაწვდომობასა და ძებნის სისტემას, როგორც ელექტრონული ბიბლიოთეკის დანარჩენ დოკუმენტებზე.

გარდა ამისა, ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა უზრუნველყოფს იმ დოკუმენტებზე (იშვიათი და ხელნაწერი წიგნები, ფოტოალბომები, დისერტაციები, საარქივო მასალები) ხელმისაწვდომობას, რომლებიც მკითხველთა ფართო მასებს შეზღუდვით მიეწოდება. ელექტრონული ბიბლიოთეკა ორიენტი-



რებულია მომხმარებელთა ფართო მასებზე. მისი შესაძლებლობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო პროცესებისათვის. იმიტომ, რომ ხელმისაწვდომობა, აქტუალობა და საინფორმაციო რესურსების სისრულე უზრუნველყოფს სპეციალისტების მაღალ დონეზე მომზადებას.

ელექტრონული ბიბლიოთეკა უნივერსალურია შინაარსით, შეიცავს დოკუმენტების ყველა სახეს. მისი ფორმირება ხდება როგორც უკვე შექმნილი გამოცემების კოლექციებით (რუკები, ნოტები, წიგნები), ისე ახალი ელექტრონული კოლექციებით. მასში ჩაირთვება ელექტრონული კოლექციები, რომლებიც შექმნილია დიდი კომპლექსური პროგრამებისა და პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის (განსაკუთრებით სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის), საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის, კონკრეტული კვლევების მხარდასაჭერად და დასამუშავებლად.

ელექტრონული ბიბლიოთეკის ფორმირების ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ელექტრონული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაცია და წარმოება, ბიბლიოთეკის ფონდის შევსება ელექტრონული სახით წარმოდგენილი გამოცემებით, ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენება. მთავარ საძიებო ელემენტს წარმოადგენს ელექტრონული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. მისი სტრუქტურა შეიცავს: ელექტრონულ კატალოგს და კარტოთეკას, რომლებიც ბიბლიოთეკის ფონდს ასახავს და გამოიყენება ინფორმაციისა და დოკუმენტების ძიებისათვის, რომელიმე თემაზე ლიტერატურის შერჩევისათვის, ბიბლიოგრაფიული ცნობების შესასრულებლად. ისინი თავისი ფუნქციებით ტრადიციული ბიბლიოთეკის კატალოგების (ანბანური, სისტემატური, საგნობრივი) ფუნქციების იდენტურია.

მომხმარებლებისა და მკითხველების მიერ ელექტრონული კატალოგებისა და კარტოთეკების გამოყენების სტატისტიკა მის პოპულარობაზე მეტყველებს, რაც განაპირობა ძიების ოპერატიულობამ, მოხერხებულობამ და უბრალოებამ. ამასთანავე, მოსწავლეები და სტუდენტები სწავლობენ კომპიუტერზე მუშაობას და ხშირ შემთხვევაში ტრადიციუ-

ლი ბარათული კატალოგების ნაცვლად ძიების კომპიუტერულ სისტემას იყენებენ.

ელექტრონული რესურსების გამოყენების სფეროში გამოიყოფა რამდენიმე აქტუალური საკითხი:

ტექნიკური - დიდი მოცულობის ინფორმაციის დასამუშავებლად თანამედროვე ავტომატიზირებული სისტემებითა და სპეციალიზირებული პროგრამებით უზრუნველყოფა;

ტექნოლოგიური - ციფრულ ბიბლიოთეკაზე მუშაობის საშუალებების ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს ბუნებრივ ლოგიკას და ითვალისწინებს ტრადიციულ ბიბლიოთეკაში კითხვის გამოცდილებას.

საორგანიზაციო - ვინ შეავსებს საინფორმაციო რესურსებს და ვინ აგებს პასუხს გლობალურ საინფორმაციო სივრცეში გზავნილების სისრულეზე.

იურიდიული - ელექტრონულ პუბლიკაციებში საავტორო უფლებების დაცვა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა 1980 წლიდან დაიწყო. 1999 წლამდე ბიბლიოთეკას მხოლოდ 15 მოძველებული კომპიუტერი გააჩნდა. 1999 წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გრანტი, რომლითაც შეძენილ იქნა 80-მდე კომპიუტერი.

2009 წლისათვის ბიბლიოთეკის თითქმის ყველა განყოფილება აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, რომელთა უმეტესობა ჩართულია ინტერნეტში. შექმნილია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტი ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)), რომელიც საშუალებას იძლევა ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე განთავსებულ რესურსებს შეადგენს:

ელექტრონული კატალოგები: საარქივო დოკუმენტები, ქართული წიგნები, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, უცხოენოვანი ლიტერატურა (1996-...); საქართველოს გაზეთების მათიანე; კარტოგრაფიული გამოცემები; მიკროფორმები; სანოტო გამოცემები; დისერტაციების ავტორეფერატები; პლაკატი, ესტამპი, ფურცლოვანი გამოცემები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგებით შესაძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ესა თუ ის გამოცემა და თუ არის, რა შენახვის შიფრითაა ფონდში დაცული.

ვებ-საიტზე განთავსებული "E რესურსები" შეიცავს როგორც ელექტრონულ საცნობარო ლიტერატურას, კატალოგებს, ლექსიკონებს, ცნობარებს, ისე ელექტრონულ ბიბლიოთეკას - ელექტრონულ ტექსტებს. ციფრული ბიბლიოთეკა მომხმარებელს საშუალებას აძლევს კომპიუტერით წაიკითხოს ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი გამოცემების სრული ტექსტები, ციფრული ბიბლიოთეკა შეიცავს: ქართული ლიტერატურის ციფრულ კოლექციას, რომელშიც შესულია ქართული კლასიკური ლიტერატურის ყველა ცნობილი წარმომადგენლის ნაწარმოებების ტექსტები და მოკლე ბიოგრაფიები; ბეჭდურ არქივის და დისერტაციების ციფრულ კოლექციას - ნიგნების და დისერტაციების სრულ ტექსტებს.

ცნობარში "ქართველი ავტორები" წარმოდგენილია თანამედროვე ქართველი ავტორების ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ავტორობით გამოცემული ნიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები.

ელექტრონულ ლექსიკონებში იხილავთ სხვადასხვა თემის ლექსიკონებს: ფსევდონიმები, უცხო სიტყვათა განმარტებითი, ადამიანის უფლებათა, სამოქალაქო განათლების, ინგლისურ-ქართული, საკანონმდებლო ტერმინები, კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინები, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული და სხვ.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია და სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი ნიგნებისა და მათი ავტორების შესახებ. აქვე შეგიძლიათ იხილოთ არჩევნების ისტორია - მასალები და პუბლიკაციები საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნებზე.

საიტზე ფუნქციონირებს ძებნის რამდენიმე სისტემა; სასურველი ლიტერატურის ძიება ხორციელდება ანბანური, თემატური და საკვანძო სიტყვის დახმარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილება ქართული ნიგნების ელექ-

ტრონულ კატალოგ CDS/ISIS-იანად უფასოდ აწვდის ნებისმიერ ბიბლიოთეკას და ეხმარება მას ქართული ნიგნების საკუთარი ელექტრონული კატალოგის შექმნაში.

ელექტრონული რესურსები მომხმარებელთა მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს ინფორმაციის მიღება ცოდნის ყველა დარგიდან, ყველა საინტერესო საკითხზე. არსებობს ელექტრონული რესურსების მრავალგვარი სახეები და ტიპები.

ელექტრონული ენციკლოპედიები სწამი ტიპისაა: უნივერსალური, დარგობრივი, სპეციალური. ისინი წარმოადგენენ მულტიმედიურ ჰიპერტექსტურ გამოცემებს, რომელთაც ტექსტთან ერთად გააჩნიათ ხმა, ვიდეოგამოსახულება და გრაფიკა.

ბიოგრაფიული და ელექტრონული ცნობარების სახეებია: უნივერსალური, პერსონალური და კომპლექსური. ბიოგრაფიული ცნობარები ოპტიკურ კომპაქტდისკებზე საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა მოიძიოს საჭირო ინფორმაცია რომელიმე პირზე ღწ კოლექტივზე.

მულტიმედიური სასწავლო პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან შეიძლება რამდენიმე ჯგუფი გამოიყოს: სხვადასხვა დონის უცხო ენების შემსწავლელი კურსები; პრაქტიკული ჩვევების შემსწავლელი კურსები (მანქანის ტარება, ქსოვა, საბუღალტრო საქმე) და სხვ.

საკანონმდებლო მონაცემთა ბაზები წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტების კრებულებს, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს ტერიტორიული, ქრონოლოგიური და თემატური შემცველობით.

ელექტრონული ლექსიკონები და მთარგმნელები გამოიყენება უცხო ენაზე წარმოდგენილ ტექსტებთან სამუშაოდ, რომლის საშუალებითაც ტექსტი ავტომატურად ითარგმნება.

მულტიმედიურ პროგრამებში წარმოდგენილი ქალაქების, ისტორიული ადგილების, მუზეუმების გზამკვლევები და მხატვრული ალბომები საშუალებას იძლევა, ობიექტზე საკმაოდ ყოველმხრივი წარმოდგენა მივიღოთ.

სრულტექსტოვან გამოცემებში იგულისხმება სამამულო და საზღვარგარეთის მწერლების ნაწარმოებთა კრებულების სკანირებული ბეჭდური ვარიანტები.

არსებობს ვარაუდი, რომ მსოფლიოში ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ ბიბლიოთეკების არსებობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას. მაგრამ არის მიზეზები, რომელთა გამოც ტრადიციული ბიბლიოთეკები შეუცვლელნი არიან. ინტერნეტში და ციფრულ ბიბლიოთეკებში შეიძლება დიდი როლდენობით განთავსდეს ინფორმაცია, მაგრამ ყველაფრის მოთავსება შეუძლებელია. ინტერნეტში მუშაობა ავსებს ბიბლიოთეკებს, მაგრამ არ ცვლის მას, რადგან კაცობრიობის მთელი ცოდნის მასში განთავსება შეუძლებელია.

### ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ლ., ჩხენკელი, თ. ავტორმატიზაცია და ინტერნეტი ეროვნულ ბიბლიოთეკაში // საქართველოს ბიბლიოთეკა. - 2003. - № 1. - გვ. 7;
2. შერმანი ვ., რამდენად მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკების როლი ციფრულ ეპოქაში? // საქართველოს ბიბლიოთეკა. - 2007. - № 3. - გვ. 48;
3. Глухов В. А., Лаврик О. Л. Электронная доставка документов. – М. 1999. – 132 с.;
4. Тлеукеева, Традиционные и электронные ресурсы; состояние, проблемы, эффективность // Библиотека. – 2008. - № 1. – стр. 15-20.

## კორესპონდენციები

მზია ჭელიძე

# რას მოგვლის იმედით გვახსნებს

თანამედროვე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას მხოლოდ ღრმად და ყოველმხრივ განათლებული თაობა აშენებს. ამას მას დიდად უწყობს ხელს ეპოქის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ამდენა, ფრიად სასიხარულოა, რომ თბილისის მერიის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ამას, რაზედაც ნათლად მეტყველებს მის მიერ ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკისადმი დამოკიდებულება.

როგორც ცნობილია, ეს ბიბლიოთეკა ათეული წლების განმავლობაში უმძიმეს მდგომარეობაში იყო. უამრავი უნიკალური წიგნი ნადგურდებოდა, არ იყო არავითარი შესაძლებლობა მკითხველთა ნორმალურად მომსახურებისათვის, გართულებული იყო შრომითი საქმიანობა, სრულყოფილად ვერ ტარდებოდა საბიბლიოთეკო პროცესები, მერიამ ყოველივე ეს გაითვალისწინა და ყველაფერი გააკეთა, რომ ბიბლიოთეკისათვის შეექმნა თანამედროვეობისათვის შესაფერისი პირო-

ბები - უმაღლეს დონეზე გარემონტებული ორსართულიანი შენობა ქალაქის ცენტრში, უახლესი ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, ყოველივე ამან და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მაღალმა პროფესიონალიზმმა განაპირობა, დროის უმცირეს მონაკვეთში მოგვარებულიყო საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების საქმე. ყველა მომხმარებელს შეუძლია შეუფერხებლად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი. დღითიდღე მრავლდება ბიბლიოთეკაში მკითხველთა რაოდენობა.

ჩვენ მოწმე ვართ იმისა, თუ რა ბრძოლების გადატანა უხდებოდა ამ ბიბლიოთეკას, რომ როგორმე თავი დაემკვიდრებინა, შეენარჩუნებინა ფართობი და ფონდები, დაზღვეული ყოფილიყო ყოველგვარი შევიწროებისაგან, მიეღწია შესაფერისი ავეჯისა და რემონტისათვის. ქალაქის ადგილობრივი მთავრობის ხელმძღვანელები ყოველთვის პირდებოდნენ საქმის მოგვარებას, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ სიტყვიერი დაპირებებით მთავრდებოდა.

დღეს გვაქვს მორალური უფლება, ახლანდელი ქალაქის ხელმძღვანელების მიმართ გამოთქმულ სამართლიან კრიტიკასთან ერთად, დადებითიც აღვნიშნოთ და ჩვენი მადლიერების გრძნობაც გამოვხატოთ. ბევრ კარგ რამეს აკეთებს მერია ქალაქისათვის და მათ შორის, შეიძლება ითქვას, გამორჩეულად დგას თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის აღორძინება.

დარწმუნებული ვარ, საქმის ამგვარად გადწყვეტას ხელი შეუწყო თვით ქალაქის მერის ორიენტაციამ. შეუძლებელი იყო, ბატონ გიგი უგულავას, კაცს, რომელსაც დამთავრებული აქვს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, სასულიერო სემინარია და გარკვეული წლები ჟურნალისტად მოღვაწეობდა, დიდი დარწმუნება დაჭირებოდა საყვარელი ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკისათვის მიეხედა. იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის შეეცდება ეს ღონისძიება კიდევ უფრო განავრცოს.

ამჟამად ამ ბიბლიოთეკას მერიის მთავარი ბიბლიოთეკა ეწოდება. ეს ბევრს აკისრებს მერიის კულტურულ-საგანმანათლებლო სამსახურს. ეს ბიბლიოთეკა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ვრწმუნდებით, ბიბლიოთეკა ელექტრონული „ნიგნის“ ეპოქაშიც საჭიროა, მაგრამ მან უნდა მოახერხოს, ფეხი აუწყოს თანამედროვეობას ისე, რომ არ დაკარგოს

ტრადიციული, რაც განუყოფელია ნოვაციებისაგან.

საქართველო ხომ ძველთაგანვე ნიგნიერი ქვეყანა იყო, სადაც „ტრფიალი ნიგნისა“, „კითხვაი ნიგნისაი“, „ძებნაი ნიგნისაი“, „გადანუსხვაი ნიგნისა“ ერის ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენა იყო. ნიგნისადმი თავყვანისცემა ერის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. იმდენად დიდი იყო ნიგნის ზნეობრივი ფასეულობა, რომ მისი მზითვებში გატანება დიდ ღირსებად ითვლებოდა. კარგი ბიბლიოთეკა ოჯახის მშვენიერად ითვლებოდა, ხოლო მეფის კარი ხომ უნიგნისაცავოდ წარმოუდგენელი იყო. ამ მხრივ ყველაზე ნათელ მაგალითს დიდი დავით აღმაშენებელი წარმოადგენდა, რომელსაც ომშიც კი დაჰქონდა ნიგნების დიდი ნაწილი. ბუნებრივია, ასეთი ერისათვის ბიბლიოთეკა იყო, არის და მუდამ იქნება სულიერი არსებობის დაუმრეტელი წყარო.

დღეს ის სასიხარულო მოვლენა, რომ ჩვენს დედაქალაქს ეღირსა ერთი შესანიშნავი, თანამედროვე ტიპის საჯარო ბიბლიოთეკა, იმედით გვავესებს. გვჯერა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მერია და მისი ხელმძღვანელები, დარწმუნებული ვართ, კვლავ დაულალავად იზრუნებენ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკების პირობების გაუმჯობესებისათვის.

## მანანა ყაბანაშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარე

# „ამ ღონისძიებამ ბევრი მიაჯაჭვა ჩამსავით წიგნს“

დღევანდელმა კომპიუტერულმა სამყარომ ვერ დააშორა წიგნს მკითხველი, იგი უფრო ხშირად იხედება ბიბლიოთეკაში, საჭირო ლიტერატურას ეძებს და გარკვეულ ცოდნას იძენს.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მცირე დარბაზში ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე ღონისძიება ტარდება. ღონისძიებები კი მრავლადაა - მკითხველებთან შეხვედრები თუ წიგნების განხილვა, ლექციები თუ ტესტური გამო-

კითხვები და ა.შ.

ამჟამად მთავარი ბიბლიოთეკის ერთკვირიანი სამოქმედო გეგმა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიეძღვნა. ტესტურმა მომხმარებლები წიგნზე აამუშავა, დაუახლოვა „ქართლის ცხოვრებას“, რ. მეტრეველის „დავით აღმაშენებელს“, ენციკლოპედიას, ი. შავთელის „აბდულმესიას“ და სხვა საჭირო ლიტერატურას.

მომხმარებელს ოცი კითხვისთვის უნდა გაცვა პასუხი და ამით სრულყოფდა ცოდნას

დიდი მამულიშვილის ცხოვრების შესახებ. ბევრმა ტესტურ გამოკითხვას კარგად გაართვა თავი და მთავარი ბიბლიოთეკის საპატიო სიგელიც დაიმსახურა, ბევრმა კი - ვერა, მაგრამ გული არ დანყვეტიათ, პირიქით, საერთო შეკრებაზე მათ გაიგეს, რა არ იცოდნენ და გადაწყვიტეს ცოდნის გასაღრმავებლად კიდევ ერთხელ გადაეშალათ ისტორიის ფურცლები.

ერთკვირიანი სამოქმედო გეგმა დასრულდა 10 თებერვალს, მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში მომხმარებლისათვის ჩატარდა ლექცია „დიდი დავით აღმაშენებელი“. პედაგოგმა გიორგი ბუდალაშვილმა მსმენელებს წარუდგინა დავითი, როგორც დიდი რეფორმატორი, აღმაშენებელი და მწერალი. პედაგოგმა მსმენელების: გ. ჩადუნელის, ლ. მენაბდიშვილის, ნ. მერებაშვილის, ლ. ნიპარიშვილის, ე. კიტრიაშვილის კითხვებსაც გასცა პასუხი.

დარბაზში გამოფენილი ლიტერატურა მომხმარებელს აძლევდა საშუალებას, გადაეშალა წიგნები და მიეღო ცოდნა არა მარტო დავითის, არამედ არსენ ბერის, იყალთოელის,



თუ გიორგი ჭყონდიდელის შესახებ.

გამოკითხვაში მონაწილე ერთ-ერთმა პიროვნებამ დ. მენაბდიშვილმა ტესტს მინაწერიც გაუკეთა: „ამ ღონისძიებამ ბევრი მიაჯაჭვა ჩემსავით წიგნს, მადლობა ამ პროექტის იდეის სულისჩამდგმელსა და განმახორციელებელს!“

ტესტზე მადლიერების გამომხატველი მინაწერი ბევრი იყო, რაც ბიბლიოთეკის დირექტორისთვის, ქალბატონ ეთერ ჩადუნელისა და მისი თანამშრომლებისათვის დიდი ჯილდო იყო - ყველაზე ძვირფასი და სასიხარულო.

## მოსაზრება

სალომე მირზაშვილი  
პედაგოგი

# „სილაჟვარდე, ანუ პარდი სილაჟი“

(კიდევ ერთხელ და სულ მუდამ - გალაკტიონი)

„ოცნების მდიდარ ბაღში შეველი, ვარდები დამხვდა დაულეველი, ვიყავ ამაყი და უძლეველი, მილიონებში ხელის მრეველი“. - ასე შეალო ცხოვრების კარი გალაკტიონ ტაბიძემ. ოცნებებითა და მომავალი გეგმებით სავსე იყო მისი სამყარო. სწამდა, რომ „ტურფა საბაღნარო“ მშვენიერ ვარდთა ბრწყინვალე ნიადაგი იყო, „მაგრამ დღეს ყველაფერი ერთია! ოცნებებისა და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი არ გამახარებს, თვით ტკბილი სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე“, - წერს პოეტი.

დრომ თავისი ჰქნა. ოცნებები გაცუდდა. შეილახა პოეტის ვარდი. ნაზად დაეშვა ცის ლაჟვარდიდან და სილაჟი ჩავარდა. თუმცა ამავე დროს მთელი დიდებულებით გამობრწყინდა მისი პოეტური გენია. ამას თვითონაც გრძნობდა: „უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა, იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა“.

„მე ქვეყანაზე ვერ ვგრძნობ მოყვარეს“. გაემიჯნა გალაკტიონი სამყაროს, სამყარო - გალაკტიონს.

არავისთვის არ გამოუთქვამს თავისი დარდი, არავინ არ შეუწუხებია: „მე ვიცი ადამიან-



ნები, რომლებიც იტანჯებიან ჩუმად, უსიტყვოდ. არავის არ ესმის მათი მწუხარება. სიტყვით ნათქვამი, ყველასთვის გასაგები მწუხარება - ყალბიცაა და დამახინჯებულიც“.

წლების განმავლობაში პოეტს მხოლოდ დედა ღვთისას იმედი ასულდგმულვდა, აძლევდა იმედს უკეთესი მომავლისა, ამქვეყნიური ცხოვრება კი მაინც თავისას შვრებოდა, სულ სხვა დინებით მიდიოდა და ლექსებსაც, ნელ-ნელა, სხვა ტონალობა ეძლეოდა.

„იქუხე - გასწყრი! არ ავტირდები, არც შებრალებას ვითხოვ არასდროს“.

ეს ცხოვრებისადმი გამოხატული აშკარა ამბოხი იყო, მაგრამ უკმაყოფილება და საყვედური გროვდებოდა ასევე ღვთისმშობლის მიმართაც. „დაჭრილი გედი“ რაღაცას ელოდა მისგან, მაგრამ ეს რაღაც არ ჩანდა. თვალზე მა დაკარგეს ცვრებითა და იებით სავსე გამოსხედავა, ყმანვილური ოცნება ჯოჯოხებით

დაიფარა, ოცნების ვარდი კი - ცხოვრების ჭუჭყით შეილახა. პოეტი ხვდებოდა, რომ ის სულ მარტო იყო. მას სურდა, რომ ცხოვრებისგან „ღამენათევი და ნამთვრალევი“ დამდგარიყო სიონის ტაძარში ღვთისმშობლის ხატის წინ და ეთქვა სასტიკი საყვედური:

„დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?“

შენს მოლოდინში ასეა ყველა?“

სული ვედრებით განაოცები,

შენს ფერხქვეშ კვდება, როგორც პეპელა.“

ლექსში გაისმის უსაზღვრო წყენა, პოეტს მტკიცედ სწამდა, რომ ღვთისმშობელს შეეძლო მისი ცხოვრების გამოსწორება, მაგრამ არ ინება, სწორედ ამიტომ უნდა მასთან კავშირის განყვეტა, მაშინაც კი:

„როცა ბედით დანყველილ გზაზე

სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,

განსასვენებელ ზიარებაზე

ჩემთან არ მოვა შენი ხსნება.“

პოეტს სჯეროდა, რომ „ხელებდაკრეფილს“ გრიგალივით გააქანებდნენ სწრაფი, ლურჯა ცხენები, ცივ სამარეში ჩასვენებულს კი არაფრად აღარ დასჭირდებოდა ვინმეს დახმარება.

მაგრამ ერთში ცდებოდა გალაკტიონი: მისი გენია ხომ სწორედ ღვთიური მადლით იყო კურთხეული და გაბრწყინებული, მას ზეცამ უკვდავება და გენია მიუძღვნა, სამაგიეროდ კი - ნაჰგვარა სულიერი სიმშვიდე და პირადი ცხოვრება. სულიერ სიმშვიდეს ის ისედაც ვერ იპოვიდა, რადგან პოეზიის მუზა თავისთავად ვერ იქნება მშვიდი, მით უფრო, როცა ის გრიგალივით ძლიერია:

„დგომა ერთ ადგილს-კვდომაა,

ეს შემბოჭველი თოკია,

თუ წინ ნაგიყვანს-მხოლოდ ეს:

გალაქტიონოლოგია.“

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.“ - მართლაც დრო მიდის, თაობები იცვლებიან, გალაკტიონი კი უკვდავია, დროზე აღმატებული. მისი პოეზია ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ გრიგალივით მოვარდნილი და იმედიანი, სიყვარულით, გრძნობებით, ამბოხითა და ტკივილითაა სავსე, როგორიც თვითონ ცხოვრება.

„ამ საშინელი მარტოობის გზას,

სამარისაკენ მიმავალ გზამდე,

გავყვები დაფნით და ყვავილებით,

მაგრამ როდემდის, მაგრამ სადამდე?“

## მოზონებები

იოსებ ბრიშაშვილი - 120

ოთარ ოსაძე

# კასი, რომელსაც თბილისი და წიგნი უყვარდა

გასაუბრება იოსებ გრიშაშვილთან

ვესაუბრები კაცს, რომელსაც ნათქვამი აქვს: „მე მიყვარს თბილისი... მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი არსებობისა“ და „იცით რაზე მწყდება გული, სიცოცხლესა და წიგნს რომ ერთდროულად უნდა გავეცალო. ძნელია ორი მეგობრის ერთად დაკარგვა“.

ვის არ უყვარს თბილისი, მით უმეტეს, თბილისში დაბადებულ და გაზრდილ კაცს, მაგრამ თბილისი და წიგნი რომ ერთნაირად, თანაბრად უყვარდეს, ასეთი კაცი იშვიათად თუ გამოჩნდება, მით უმეტეს, დღეს, როცა წიგნის მკითხველი ასე შემცირდა, ტელევიზიასა და კომპიუტერიზაციის ეპოქაში და სხვა მრავალ გარემოებათა გამოც. სამაგიეროდ, მომრავლდნენ ადამიანები, რომლებსაც წიგნის კითხვა არ უყვართ, მაგრამ თვითონ გვევლინებიან წიგნების ავტორებად. ნუ იღიმებით, დღეს ასეთი რამ ნამდვილად ხდება. ამისწინ ერთმა ნაცნობმა, რომელთან საუბარში ჩანდა, რომ ილიას, აკაკის, ვაჟას, ბარათაშვილის შესახებ რაღაც ყურმოკვრით თუ გაეგონა, ვასილ ბარნოვზე მითხრა, ვიცი, რუსი მწერალი რომ არისო. ბოლოს საუბარში ისიც აღიარა, რომ იმდენი საქმე მაქვს, წიგნების კითხვისთვის ვერ ვიცლი, ახლა მე თვითონ ვწერ რომანსო. უნიგნურმა კაცმა რა რომანი ან რა ლექსი უნდა დაწეროს?! იოსებ გრიშაშვილს სწორედ წიგნისა და კითხვის სიყვარულმა ათქმევინა:

„წიგნს შევწირე მე ოჯახი,  
გამიჩინა გულს იარა...  
მთხოვე რაც გსურს,  
მთხოვე რაც გსურს,  
პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა“.

„მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსახავდი  
მე თვალისჩინად,  
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ  
გადამარჩინა“.

ი. გრიშაშვილის თანამედროვე, იმ დროისათვის მთელ საქართველოში ცნობილი მკურნალი, ლიტერატურის მკვლევარი და კრიტიკოსი ივანე გომართელი წერდა:

„გრიშაშვილი ძველი თბილისის რომანტიკოსია, ერეკლეს თბილისისა... გრიშაშვილი თბილისის რაინდია, თბილისზე შეყვარებული“.

ი. გრიშაშვილის პოეტურ ქმნილებებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც იგი თბილისს უმღერის, მარტო მისი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ რად ღირს, ისიც კი საკმარისი იქნებოდა გრიშაშვილის გომართლისეზური ლაკონური დახასიათებისათვის. როცა ამ ვრცელ და ღრმა შინაარსის შემცველ ლიტერატურულ გამოკვლევას ვისხენებ, მასთან ერთად მახსენდება მის საფუძველზე ვასო გოძიაშვილის მიერ მომზადებული საესტრადო პროგრამა, ჩემი თაობის ადამიანებს, ვისაც კი ამ დიდებული მსახიობის მონოლოგი მოუსმენია, შეუძლებელია დღემდე ყურთასმენას არ შემორჩენოდა ვასოს ომახიანი ხმა და სიტყვის განსაკუთრებული ინტონაცია, მის მიერ წარმოთქმული თბილისური ლეგენდა... კინტო... ყარაჩოღელი... და სიმღერები.

თავად გრიშაშვილი ხომ საკუთარი ლექსების კითხვის დიდოსტატი იყო. ვის არ მოუსმენია მისი ხმა თუნდაც რადიოთი. მე კი, ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის ბავშვმა (ეს გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იყო) პირველი ლექსი, რომელიც ზეპირად ვისწავლე, გრამფირფიტაზე ჩანერილი გრიშაშვილის მიერ წაკითხული ძველი თბილისისადმი მიძღვნილი ლექსი იყო. ეს კი ერთმა განსაკუთრებულმა გარემოებამ განაპირობა: ოჯახში გვექონდა ძველებური გრამაფონი უამრავი გრამფირფიტებით. იმ დროს სხვა მუსიკალური საშუალებები არ გავაჩნდა და გასართობად გრამაფონს ვატრიალებდი, გამორჩეულად კი გრიშაშვილის ლექსის ჩანაწერი მომწონდა და ამიტომაც ხშირად ვისმენდი ხოლმე.

მაშინ ბავშვური ოცნებითაც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ცოცხალ პოეტს ვნახავდი, შევხვდებოდი ან დაველაპარაკებოდი. გავიდა წლები და ცხოვრებამ თუ ბედისწერამ ბატონ სოსოს არა მხოლოდ შემახვედრა, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობითაც დამაკავშირა.

ყველა წიგნიერმა ადამიანმა იცის და საყოველთაოდ ცნობილია, რომ იოსებ გრიშაშვილს ჰქონდა უნიკალური ფონდების შემცველი ბიბლიოთეკა. იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში რუდუნებით ეძიებდა და აგროვებდა წიგნებს თავისი ბიბლიოთეკისათვის. ბოლოს, ხანდაზმულობის ჟამს, მან გადაწყვიტა თავისი ბიბლიოთეკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გადაეცა. ამ პერიოდში ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი და სწორედ ამან განაპირობა ჩვენი საქმიანი შეხვედრები, მანამდე კი, გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ბატონი სოსო სულ სხვა გარემოებაში გავიცანი. ამბავი, რომლის დავინწყებაც არ შეიძლება, გვინდა, რაც შეიძლება მოკლედ ისე გიამბოთ, რაც სინამდვილეში მოხდა.

ჩემი ბავშვობისა და სკოლის მეგობარმა ილია გორგაძემ, რომელიც მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და, ცხადია, ხელმოკლედ ცხოვრობდა, მითხრა, ჟურნალ „ჯეჯილის“ რამდენიმე ნომერი მაქვს, მოდი, ეს ჟურნალები გრიშაშვილს მივუტანოთ და რასაც დავეუფასებთ, მოგვცემსო; ჩვენი აზრით, იგი რატომღაც დიდძალი ფულის პატრონი გვეგონა. თქმა და ქმნა ერთი იყო, ავიღეთ ეს ჟურნალები და ბატონ სოსოს ბინაზე ვესტუმრეთ. მაგრამ იგი არც თუ ისე ხელგაშლილი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. მან თითოეული ნომერი ჟურნალისა გულდასმით ათვალიერა, ზოგზე თქვა მაქვსო, ზოგი გაცვეთილობის გამო დაიწუნა. მხოლოდ რამდენიმეზე თქვა, შევიძინო; კაპიკაპიკი გვიანგარიშა, გროშები ჩამოგვითვალა და გამოგვისტუმრა. ცხადია, ნაწყენი დავრჩით და თანაც გაგვაოცა მისმა ასეთმა ხელმომჭირნობამ. მეც და ჩემი მეგობარი ილიაც (რომელიც შემდგომში დიდხანს მუშაობდა საქართველოს წიგნის პალატაში და დიდი წვლილი შეიტანა „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ მეოთხე ტომის შედგენაში) გვიან მივხვდით, რომ ბატონ სოსოს მიერ ჩვენი „განაწყენება“ გამოწვეული იყო არა მისი სიძუნწით, არამედ ყაიროთიანობით, რომ არც ისე მდიდარ კაცს, შეექმნა

და შთამომავლობისათვის დაეტოვებინა ისეთი უძვირფასესი ფონდების მქონე ბიბლიოთეკა, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაა.

ახლა მინდა თბილისსა და თბილისელებზე შეყვარებული იოსებ გრიშაშვილის უკვდავი სული შევანუხო და გავესაუბრო.

- ბატონო სოსო! არა მხოლოდ თქვენმა თანაუბნელმა ხარფუხელებმა, ორთაჭალელებმა, ვერისუბნელებმა, სოლოლაკელებმა და, საერთოდ, ყველა ნაღმა თბილისელმა, არამედ მთელმა საქართველომ ზეპირად იცის თქვენი ლექსები:

„საქართველო ბეჭედიანა ბაჯაღლო,  
და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში.  
გავსცქერ არეს უხინჯოს და უნაკლოს,  
წერეთლის დინჯ შუბლივით გადაშლილს“.

„თბილისო, ჩემო თბილისო,  
მითხარი, როგორ არ გაქო,  
სამშობლოს ნატვრის თვალი ხარ,  
გმირების დედაქალაქო!“

გთხოვთ, როგორც პოეტმა და ძირძველმა თბილისელმა, გვიპასუხოთ, თუ რა არის თქვენთვის თბილისი.

- თბილისი პოეტისათვის მომხიბლავი თემა... თბილისის შესაქებად საჭიროა მახვილი ინტუიცია და კრიტიკოსის დოსტაქრული სკალპერი, რომ პოეტმა „ჩვენი მხარე“ სწორი ფერებით გააშუქოს... შეკითხვაზე გულწრფელად ვუპასუხებ: მე თბილისი მიყვარს! თბილისა!.

უცნაურია აფერადებული სისრულე ძველი თბილისისა!.. დროთა მსვლელობამ გული გადაუშალა ამ საიდუმლოებას. აქ, ძველი თბილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა ბუნებრივი ანკარა წყარო - ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს.

მე არ ვიტყვი: „ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“, მე მხოლოდ სიყვარულით დავიგემოვნე ქალაქის ხალხური პოეზიის სინოყვირე, „მეცნიერულის სამართებით ვპარსე ყველა ფაქტი“ და გამოვამზევე ის უცნობი კუთხე, რომელიც წელიწადი დავინწყებას ეძლევა და რომელმაც არა ერთი პოეტის შთაგონება აამღელვარა.

მე თბილისი მიყვარს...

მაგრამ მე არ ვარ ბარამი - გულამდამის მოტრფივალე, არც მეჯუნხი - ლეილასათვის გაგიჟებული და არც რამინივით ვისის გზაზე მოსი-



არულე, - მე თანამედროვე ადამიანი ვარ, ძველი თბილისის სადღეგრძელოებზე გაზრდილი, ქედმაღალი და სილამაზის მაძიებელი. და მე ვამბობ: მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დაუთმობთ თბილისს არქეოლოგებს. უშუალოდ შევიმეცნოთ ის, ვისუნთქოთ მისი ჰაერით, ქუჩაბანდებით, ნანგრევებით და შევიყვაროთ ისე, როგორც ჩვენი პირველი ლექსი.



მე თბილისი მიყვარს...

თბილისის ყოველი ფოლორცი, თბილისის ყოველი შუკა სავსეა ლეგენდარული სახეებით. შეიძლება უცხოელისათვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდეხავით მიკრული სახლები, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით, არც ჰიგიენური იყოს და არც მხატვრულად გამწყაზრული, მაგრამ ჩემთვის - არამც თუ მარტო ჩემთვის, არამედ ყველა მათთვის, ვისი სულის ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში, - თბილისის ყოველი კენჭი, თბილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი.

მე თბილისი მიყვარს...

როგორც ცხოვრებაში შეიჭრა ახალი ტექნიკა, ახალი სული, ახალი აზროვნება, ერთი სიტყვით, ახალი ადამიანი ფსიქიკის ახალი კონსტრუქციით, - ისეც ლიტერატურაში მოისპორომანტიული სულის თვისება და ინდივიდუალიზმი. ვისა სცალიან „ლოპიანას დარდებისათვის“ და ქამანჩის წყნარი მელოდიისათვის?! ვის ეჭირვება „აბანოში ლხინები“ და ქუჩებში ანთებული წმინდა სანთლებით სიარული?!

მაგრამ...

მე თბილისი მიყვარს...

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთროლო-

ვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი არსებობისა,

- ბატონო იოსებ, თქვენს ნაწერებში ქართველთა მოჭირნახულე და თბილისის მოტრფიალე ბრძენკაცის, ილია ჭავჭავაძის შესახებ გამონათქვამებში ამოვიკითხე: „ილია ჭავჭავაძე პოეტი, მჭერმეტყველი და სიტყვის ჯადოქარი... ილია - ხალხის ღირსების დამცველი, თავისუფალი საქართველოსთვის მეოცნებე“ არისო. დარწმუნებული ვართ, იზიარებთ სულმნათ ილიას აზრს: „ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვმობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, - რა მიღეთისაც გინდა იყოს კაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გაუნოთ ერთნაირის გულისსცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს!“ თქვენ რას გვეტყოდით თბილისში მცხოვრებ სხვა ადამიანების შესახებ?

- თბილისში მცხოვრები სხვა ეროვნების მიმდევარმა, აუცილებლად უნდა შეიცნოს სული თბილისისა და გაივერიელდეს... თბილელი მცხოვრები, რომელიც თბილისშია შექმნილი და „ჭიპმოჭრილი“ - უმთავრესად ქართველია ცხოვრებით, ენით, სულით, გულით და ტრადიციებით!

- გვახსენდება ილიას აღტაცებული წამოძახილიც: „დაილოცა ჩვენი ნამუსიანი ტფილისი“-ო. მართლაც ასე არ იყო, ბატონო სოსო? თბილისელი კაცი ხომ სინდის-ნამუსის განსახიერება იყო, სიტყვის ბატონ-პატრონი და უღალატო?

- იშვიათია, რომ თბილისელმა თავის სიტყვას უღალატოს, იგი ჩამოყალიბებული ტიპია! სრული! წახნაგოვანი! თბილელისათვის არ არსებობს რყევა და ეჭვი, - რაიცა ხშირად ბორკავს ადამიანის მოქმედებას, იგი სხვის დაკოდილ იჭვსაც კი დინჯი სიხარულის წვეთებით გადაჰბანს ხოლმე. თბილელი არ არის უხასიათო, და ლაპარაკი მისი მტკიცე და შთამბეჭდავი... იგი მონაა ნამუსისა და ყველას სამაგიეროს უხდის, ავს - ავად და კარგს - კარგად! ამ შემთხვევაში გულნაკლული არც ერთი მხარე არ დარჩება. ყველას ოხტში მოდის! ის ხომ რიყის ქვა არ არის, რომ დაუდევარი იყოს და კეკემალულობა უყვარდეს, ის პირშენახული კაცია! თავისი სიტყვის ბატონი და მბრძანებელი.

ჩემმა თბილისმა სულ სხვა კაცად

შემატრიალა

განა მარტო მე? სხვა ამიკნიც პოეზიისა;

მან დაგვანახა სიძლიერე ახალი გზისა

და დაგვირიგა სათითაოდ ჩანგი წკრიალა.  
ჩემო თბილისო, ჩემო ცაო, ჩემო კრიალა  
ჩამონათალო საქართველოს სილამაზისა,  
შენ ხარ ნუგეში დაუმცხრალი  
ქართული მზისა.

..  
მიყვარს თბილისი!.. ირაკლივით  
მუდამ მშფოთარი  
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე  
სწავდეს ჩემს კუბოს.

ჩემი თბილისი ლექსის სკა არი,  
ჩვენ პოეტები - შრომის ფუტკრები.  
მიყვარს სამშობლოს თხუთმეტი კარი,  
მაგრამ თბილისი - განსაკუთრებით.

თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი  
და ალბათ მის გულს ვესამარები.

ბოლოს, რას ეტყვიტ და რას უბარებთ თბი-  
ლისელებს?

ტფილისი, აი სად უნდა გადადნეს და გადა-  
დუღლეს ქართული სულიც და ქართული გო-  
ნებაც... თბილისი ნერვია ქართული სულისა.

საუბარი ბატონ იოსებ გრიშაშვილთან ცნო-  
ბილი მწერლისა და ლიტერატურის კრიტიკო-  
სის ნიკა აგიაშვილის გამონათქვამით უნდა  
დავამთავრო:

„გავა დრო, მოვლენ სხვა თაობები, იქნები-  
ან უკეთესნი და უკეთესნი, მაგრამ იოსებ გრი-  
შაშვილი განუმეორებელი დარჩება სამარად-  
ჟამოდ!“

## სიტყვა პროფესიონალზე

### ნანა მერებაშვილი

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

## „უხანოდ ვერ ვიცოცხლებ“

ადამიანი ამ ქვეყნად მის მიერ განვლილი  
ცხოვრების გზით ფასდება. სიკეთის ჩამდენს  
ხალხი კეთილად იხსენებს, ავისას - აუგად.

ღვთის მაღლით, არიან ადამიანები, რომლე-  
ბიც ერის სამსახურში უანგაროდ, უჩუმრად  
იღვწიან. საკუთარი თავის გამოჩენასა და სა-  
ფიხვნოზე მისი სახელის საქებარი სიტყვებით  
გახშიანებას ერიდებიან და მომავალი თაობის  
სულიერი აღზრდისათვის სანთელივით იფერ-  
ფლებიან.

ცნობილი რუსი ბიბლიოგრაფი ნიკოლოზ რუ-  
ბაკინი ამბობდა: „საკუთარი და სხვისი ცხოვრე-  
ბისათვის წიგნის შერჩევა - ეს არა მარტო მეცნი-  
ერება, არამედ ხელოვნებაცაა“.

ამ მეცნიერებისა და ხელოვნების თავდაუზო-  
გავი მუშაკია კასპის მთავარი ბიბლიოთეკის სა-  
ინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების გამ-  
გე ქალბატონი ლენა გუგულაშვილი.

ქალბატონ ლენას წიგნების კითხვა ბავ-  
შვობიდანვე უყვარდა, იცოდა, რომ წიგნი  
ადამიანისათვის არა მარტო მეგობარი, არა-  
მედ აღმზრდელი და სულის ჩირაღდანია. მას  
გათავისებული ჰქონდა შევჩენკოს სიტყვები:  
„უწიგნოდ ვერ ვიცოცხლებ“, და მართლაც,  
თავის მომავალ პრფესიად დაისახა დღემუდამ  
წიგნებთან ურთიერთობა.

ლენა გუგულაშვილმა 1952 წელს წარჩინებით  
დაამთავრა სკოლა, შემდეგ სწავლა ივ. ჯავა-  
ხიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ზუსტი  
მეცნიერების - ფიზიკა-მათემატიკის დასაუფ-  
ლებლად განაგრძო. ახალგაზრდა ქალიშვილს  
გული მაინც წიგნის ლაბირინთებში შესაღწე-  
ვად და ცოდნის გასაფართოვებლად, მის სამყა-  
როში სამოგზაუროდ მიუწევდა. ამიტომ სწავ-  
ლა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტი-  
ტუტის ბიბლიოთეკადმცოდნეობის ფაკულ-  
ტეტზე გააგრძელა. ახალგაზრდა ქალბატონი  
პარალელურად კლუბთან არსებული ბიბლიო-  
თეკის გამგედ მუშაობდა. იგი თეორიულ ცოდ-  
ნას პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებდა: 1955  
წლიდან ნაყოფიერად მოღვაწეობდა საბიბლიო-  
თეკო სფეროში.

ქალბატონი ლენა წლების მანძილზე უანგაროდ  
ემსახურება საყვარელ დარგს. მისი საქმიანობა  
შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი 1966 წ. გა-  
დაყვანილ იქნა კასპის ცენტრალურ ბიბლიოთე-  
კაში დარბაზის გამგედ და მეთოდისტად, სადაც  
კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩნდა მისი პროფე-  
სიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება, მალე  
ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მო-  
ადგილედ გადაიყვანეს, შემდეგ კი მეთოდიკურ-  
ბიბლიოგრაფიულ განყოფილების გამგედ დანი-



შნეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ხდებოდა კასპის ბიბლიოთეკებში ახალი საკლასიფიკაციო ცხრილების დანერგვა.

დღეს კასპის რაიონში ყველა იცნობს, სიყვარულითა და პატივისცემით ახსენებს ქალბატონ ლენას, როგორც თავისი საქმის საუკეთესო პროფესიონალს, ღირსეულ პიროვნებასა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ მოქალაქეს. გარეგნული იერით მკაცრსა და სიტყვაძუნუნ ქალბატონს მეტად ჩვილი და სათნო გული აქვს. ის განსაკუთრებით ზრუნავს მის გვერდით მოფუსფუსე ახალგაზრდა კოლეგებზე, მათ დაოსტატებაზე, უზიარებს მათ თავის ცოდნა-გამოცდილებას.

ღვანულმოსილი სპეციალისტი ყველა ახალგაზრდა ბიბლიოთეკარისთვის მისაბაძი მაგალითი და „ცოცხალი ენციკლოპედია“. ქალბატონ ლენას მიღებული აქვს მრავალი

ჯილდო და საპატიო სიგელი, თუმცა მისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი მისი მეგობრების, კოლეგებისა და მკითხველი სზაოგადოების გულწრფელი სიყვარული და დაფასებაა.

დღეს ლენა გუგულაშვილი კვლავ შემართებით დგას მომავალი თაობის წიგნიერად აღზრდის საქმეში, კვლავ აქტიურად შრომობს ახალგაზრდებთან ერთად და იმედიანად უცქერის ქვეყნის ხვალისდღელ დღეს, სჯერა, რომ უპირველესი საზრუნავი მომავალი თაობის სულიერი აღზრდაა, სწამს, რომ წიგნიერება გადაარჩენს საქართველოს.

კასპის მთავარი ბიბლიოთეკა და რაიონის საზოგადოება ქალბატონ ლენას ულოცავენ დაბადების დღეს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, რათა კვლავაც წარმატებით იღვანოს საბიბლიოთეკო საქმის სარბიელზე.

## საოჯახო არქივიდან

იური სიხარულიძე

# ბრწყინვალე სამეული

იშვიათად თუ მოიძებნება ფოტოსურათი, რომელზეც ასე შთამბეჭდავად იყოს აღბეჭდილი ხალხური სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა თაობის რამდენიმე დიდოსტატი. და აი, თქვენს წინაა ნახევარი საუკუნის უნიკალური ფოტო, რომლიდანაც შემოგვცქერიან ქართული კულტურის დიდი მოღვაწეები. არტემ ერქომაიშვილი (1887-1969), მისი შვილიშვილი ანზორ ერქომაიშვილი (დგას) და ვაჟა გოგოლაძე (1926-2006).

დღეს ბევრმა იცის ამ მოღვაწეთა ღირსებანი, და ამაცობს დიდი ნიჭიერებით ჩვენი ხალხისა, რომელიც ასეთ ბრწყინვალე ხელოვანთ ზრდის და ავაჟკაცებს.

განსვენებული არტემ ერქომაიშვილს მსოფლიოს იმ მეექვსედზე, რომელიც საბჭოეთს ეკავა, ბევრი იცნობდა, მაგრამ დროის უკუღმართობის გამო, დანარჩენი მსოფლიო მისი ხელოვნებით არ დამტკბარა.

სულ სხვა ბედი ხვდა წილად მის შვილიშვილს, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. სხვა დიდი წოდებანიც არ დაჰკლებია. თავისი „რუსთავით“ მსოფლიო ხალხთა გულელებიც აავსო ქართული ხალხური სამუსიკო ხელოვნების შედევრთა უბადლო შესრულებით.

ვაჟა გოგოლაძემაც გააღწია სიცოცხლის ბოლო წლებში საზღვარგარეთ და წარმატებითაც. ჯერ ავსტრალიის კონტინენტი შეძრა, ხოლო შემდეგ - საფრანგეთიც.

და აი, როდესაც „გაიხსნა ცა“ და უკიდევანო სივრცე გადაიშალა მის წინ, სწორედ ამ დროს უმტყუნა გულმა პარიზში და იქვე აღესრულა თავისი

გვეგმებზე მოფიქრალი.

ასეთია წუთისოფელი და მას ამ ავ ზნეს ვერავინ შეაცვლევინებს.



არტემ ერქომაიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი და ვაჟა გოგოლაძე

ფრიდონ სიხარულიძე

**დაშორება - ექვსასი წელი**

გამოიცა აკადემიკოს როინ მეტრეველის ნარკვევი - „სხვაობა 600 წელი. დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი“, რომლის რედაქტორია პროფესორი ჯაბა სამუშია.

ეს წიგნი მიზნად ისახავს დავით აღმაშენებლისა და პეტრე დიდის „ცხოვრებათა“ წარმოჩენას.

მსოფლიო ლიტერატურაში გამოჩენილ პიროვნებებს შორის პარალელის გავლება კორნელი ნელოტმა წამოიწყო, თუმცა პარალელური ბიოგრაფიებს სახელი გაუთქვა ბერძენმა ისტორიკოსმა, ფილოსოფოსმა, მოგზაურმა პლუტარქოსმა (46-127 წწ.). ძველ მოღვაწეებზე დავითის უპირატესობა დაასაბუთა მისმა ისტორიკოსმა.

პარალელების გასაველებად რ. მეტრეველის მიერ შერჩეულ ორ დიდ პიროვნებას ერთმანეთისაგან 600 წელი აშორებს, რაც სრულიად ახალია ამ ჟანრში.

ავტორი მკითხველთა ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს ასეთ ხანგრძლივ დაშორებაზე და წერს: „600 წელი შემთხვევით აღმოჩნდა ხიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის სწორედ 600-მა გადაგვანყვებიან ჩვენც ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ნარკვევის დაწერა“ (გვ. 49).

მკვლევარი ერთმანეთს ადარებს XI-XII საუკუნეების მიჯნის საქართველოსა და XVII-XIII საუკუნეთა მიჯნის რუსეთს და პოულობს ეპოქათა უმნიშვნელოვანეს მსგავსებას. „უმთავრესი ის არის, - წერს ისტორიკოსი, - რომ XII ს-ის I მეოთხედში საქართველომ, ხოლო XVIII ს-ის I მეოთხედში რუსეთმა მიაღწია განსაკუთრებულ სიმაღლეს“ (გვ. 6).

როინ მეტრეველმა ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა 600 წლის წინანდელი მიახლოებითი დამთხვევა ორივე მეფის დაბადების თარიღებში. დავით აღმაშენებელი ქვეყანას 1072 წელს მოეწვინა, ხოლო 1672 წლის 30 მაისს - პეტრე დიდი.

სხვა საინტერესო ფაქტები:

1089 წელს დავით აღმაშენებელი ცენტრალიზებული საქართველოს ხელმწიფე გახდა, ხოლო 1689 წელს პეტრე ალაგმა მოწინააღმდეგენი.

ასევე საგულისხმო მონაცემია: 1125 წლის 24 იანვარს დავით აღმაშენებლის მოულოდნელი გარდაცვალება (53 წლის ასაკში) და 1725 წლის 28 იანვარს იმავე ხნის პეტრეს უეცარი სიკვდილი.

ერთმანეთს წააგავს დავით აღმაშენებლისა და პეტრეს განდიდება.

რა თქმა უნდა, მკვლევარის ზოგ შედარებას ვერ დავეთანხმებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბატონმა როინმა მახვილგონივრულად მიაგნო შესადარებელ პიროვნებების მსგავსებას, რაც ასე ზრდის მკითხველთა ინტერესს ამ ლაკონურად დაწერილ წიგნისადმი.

რაც შეეხება განსხვავებებს, აქ ზოგს გაკვირვებით მოვიხსენიებთ.

პეტრე პირველის ამ ქვეყნად მოვლინებაში, მის აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის თავგამოდებული მებრძოლნი: ერეკლე პირველი, მისი დედა ელენე და დავითიშვილები - ბაგრატიონთა ძლიერი, მრავალრიცხოვანი საგვარელოს რჩეული შვილები.


სიყმანვილიდან პეტრეს ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებმა შთააგონეს რუსეთში ჩასატარებელი რეფორმებისათვის დასავლეთ ევროპის მოწინავე სახელმწიფოების გამოცდილებათა გათვალისწინება. შექმნილ პირობებში თვით ალექსანდრე ბატონიშვილს მოუხდა ჯარის გარდაქმნის, საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბების, საინჟინრო და სხვა კადრების მომზადების ტვირთის ტარება, ამისთვის საჭირო სახელმძღვანელოს შექმნა და სხვა უამრავი ურთულესი ამოცანის გადამწყვეტა.

1709 წელს პოლტავაში საარაკო გამარჯვებას საფუძვლად ედო პეტრე პირველის,



არჩილ მეფის, ალექსანდრე ბატონიშვილის, მამუკა ბარათაშვილის, ლავრენტი გაბაშვილის ერთობლივი გეგმა.

სამხრეთ კავკასიაში მდგომარეობის მონესრიგებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები რუსეთის იმპერატორს შესთავაზეს: ქეთევან და დარეჯან ბაგრატიონებმა, მამუკა ბარათაშვილმა, ზაალ გარაყანიძემ, გიორგი დადიანმა, გიორგი მეტრეველმა, ბაადურ თურქისტანიშვილმა და სხვებმა. საქართველოში მოსახლეობის სიმცირისა და სხვათა გამო, დავით აღმაშენებლისაგან განსხვავებით,



პეტრე დიდის წინაშე არ იდგა მეომართა დაქირავებული ჯარის შექმნა, პეტრე დიდი უცხოეთიდან მხოლოდ მეთაურთა კადრების ერთი ნაწილის მონვევით დაკმაყოფილდა.

„ახალი „ერუსალიმისა“ და „ახალი ათინის“ გამაერთიანებელ გელათში დავითმა ეროვნულ კადრებს მოუყარა თავი, ხოლო პეტრე პირველმა სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისათვის ძირითადად უცხოელი სწავლულები მოიწვია.

განსხვავებანი მცირე არ იყო, რაც განსაკუთრებით სახელმწიფოს განმტკიცების ამოცანებს ეხება, მაგრამ მსგავსება მეტია და სწორედ ეს ამართლებს და საინტერესოს ხდის მეცნიერის შედარებებს.

აქვე იმასაც დავსძენთ, რომ პეტრე პირველზე შემთხვევით არ დაიწყო საუბარი გერ-

მანელმა მწერალმა, გამოჩენილი პიროვნებებით დაინტერესებულმა ემილ ლუდვიგმა 1931 წლის 13 დეკემბერს იოსებ სტალინთან ინტერვიუს აღებისას.

უცხოელმა მოღვაწემ ი. სტალინს ჰკითხა: „შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა პარალელის გავლება თქვენსა და პეტრე დიდს შორის, სთვლით თუ არა თქვენ თავს პეტრე დიდის საქმის გამგრძობად?“

პასუხში ი. სტალინმა უარყო ე. ლუდვიგის ვარაუდი და იმთავითვე მიუთითა მოღვაწეთა შორის პარალელების გავლების სირთულეზე.

ასეთი პასუხით გაოცებული გერმანელი მწერალი ფაქტებით შეეცადა თავისი კითხვის საფუძვლების გამაგრებას - „პეტრე დიდმა ხომ ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ რუსეთში გადმოეტანა დასავლეთის კულტურა?“.

ამის შემდეგ პასუხში ი. სტალინმა თავისი თვალსაზრისი გააღრმავა და იგი კიდევ უფრო შეუვალი გახადა.

დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა შედარებანი რთული საქმეა, მაგრამ აკადემიკოსი როინ მეტრეველი არ შეუშინდა ამას და წიგნით წარმატებით გვიჩვენა ორი დიდი მოღვაწის ძირითადი ეპოქალური მსგავსებანი.

ნაშრომს მნიშვნელობას მატებს ტექსტის უცხოურ ენაზე გამოქვეყნება ამავე წიგნში.

## ღალბი ყაულაშვილი

# წიგნი - პლაგიატი

დიდი ხანი არაა, რაც სპეციალისტთა ვინაშე წრეში ნატო მჭედლიშვილის ავტორობით გამოქვეყნებული წიგნი გამოჩნდა - „ლექციები საინფორმაციო წიგნიერებაში“ (1). ჩვენს დარგში ყოველი წიგნის გამოჩენა ყოველთვის დიდ ინტერესსა და კეთილგანწყობას იწვევდა, მაგრამ ამ წიგნზე ამას ვერ ვიტყვით - იგი პლაგიატობის ნამდვილი ნიმუშია.

დავინწყით იქედან, რომ ავტორი, ეტყობა,

არაა გარკვეული, როგორი უნდა იყოს ამგვარი ნაშრომი და, რა მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს; ის უფრო სალექციო კონსპექტს ჰგავს, ისიც ძალიან მოკლესა და არაფრის მომცემს, ვიდრე ლექციების ციკლს. ეგ კიდევ არაფერი! შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არაზუსტ გაგებასთან გვაქვს საქმე და მეტი არაფერი, მაგრამ როდესაც მისი შემქმნელი ავტორობის პრეტენზიით გამოდის, მისი ნაშ-



რომი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, უნდა ამართლებდეს ამას. ამ შემთხვევაში ჩვენ-საქმე გვაქვს ავტორის მიერ სხვისი ნაღვანის მითვისებასთან.

„საინფორმაციო წიგნიერება“, როგორც საგანი, შემოღებულია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და სახელდების ავტორობაც მას ეკუთვნის, ასევე მას ეკუთვნის ამ საგნის სასწავლო გეგმისა და პროგრამის ავტორობაც. ცხადია, ამ საქმეში ხელმძღვანელობის დავალებით სპეციალისტთა ჯგუფი მოღვაწეობდა, რომელთა ძალისხმევითა და ი. ფილაურის, როგორც შემდგენლის ხელმძღვანელობით, გამოიცა სპეციალური სახელმძღვანელო „ინფორმაციული წიგნიერება“ (2). ის სწრაფად გავრცელდა სტუდენტებს შორის და იმდენად დიდი მოთხოვნა შეიქმნა მასზე, რომ საჭირო გახდა მისი დამატებითი ტირაჟირება. ეს წიგნი გამოცემულია ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობით და, ამდენად, შემდგენელთან ერთად, საავტორო უფლებების თანამოზიარედ ითვლება. ამგვარად, ამ წიგნის ხელყოფა არა მარტო მისი შემდგენლის უფლებების, არამედ უნივერსიტეტის უფლებების ხელყოფასაც ნიშნავს.

თუ რას წარმოადგენს ნ. მჭედლიშვილის წიგნი, მისი ზედაპირული გადახედვაც კი ნათელ წარმოადგენს გვაძლევს (დეტალური გარჩევისაგან თავს ვიკავებთ, რადგანაც მიგვაჩნია, ამაღ ის არ ღირს). ნაშრომი (თუკი შეიძლება მას ნაშრომი ეწოდოს) თავიდან ბოლომდე იმეორებს უნივერსიტეტის სალექციო კურსის სტრუქტურას, სათაურთა უმრავლესობას, მოსაზრებებს, წინადადებებს, მთელ აზრებსა და გვერდებს. ერთი რამ ცხადად შეინიშნება: ნ. მჭედლიშვილი თავისი „შრომის“ საწყის ნაწილში, შედარებით, დამოუკიდებელია, თუმცა სრულად ვერ ახერხებს თავი დააღწიოს კომპილატორობას. თავში „დამწერლობიდან ელექტრონულ წიგნამდე, უძველესი ბიბლიოთეკები“ დაშვებულია მრავალი შეცდომა, გაუგებრობა, არაპროფესიონალური მოსაზრებები. ავტორი ცდილობს, დამოუკიდებელ მკვლევარად მოგვევლინოს, გამოაფინოს თავისი ცოდნა და ყველაფერს გულუხვად გვაყრის, თითქოს სად რა გაახსენდა, იმაზე ლაპარაკობს, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე ავითარებს თხრობას. მაგალითად, ლაპარაკობს რა დამწერლობის უპირ-

ველეს ნიმუშებზე, საწერ მასალაზე, მაშინვე უცერემონიოდ გადადის უძველესი სამყაროს ბიბლიოთეკებზე, ეხება ანტიკურ ეპოქას, მერე კი თხრობას იწყებს ლურსმნულ დამწერლობასა და შუმერებზე, ასურ-ბანიფალის ბიბლიოთეკაზე და უცებ გადადის იდეოგრაფიულ დამწერლობაზე, მერე ისევ უბრუნდება საწერ მასალას - ჩინეთში ქალაქის შექმნას და მსოფლიოში მის გავრცელებას, შემდეგ ანბანურ დამწერლობას ეხება, ახსენებს რომაული წერის სისტემას - სტილსა და ფირფიტებს და უცებ ქართული დამწერლობის საკითხს იხილავს, შემდეგ ეხება პერგამონის სამეფოსა და პერგამენტის შექმნას, მერე ისევ რომაელების დამწერლობაზე იწყებს ლაპარაკს, „კოდექსის“ შექმნასა და გერმანელთა მიერ ანტიკური სამყაროს ნგრევაზე, შუა საუკუნეების ევროპაში წიგნის ბეჭდვაზე, მერე კვლავ საქართველოზე გადადის, აქ სტამბების შექმნის საკითხს აშუქებს და პირდაპირ თანამედროვე ელექტრონულ წიგნს მიადგება და მის უარყოფით-დადებით მხარეებს გვიჩვენებს.

ამგვარადაა არეულ-დარეული ერთმანეთში ყველაფერი. არ არის დაცული არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და არც თემატური ერთიანობა, რაც ასე აუცილებელია სასწავლო წიგნისათვის.

ვხვდებით შეუსაბამოებებს: „ბერძნებიდან დამწერლობა გადაიღეს ასურ-ბანიფალელებმა, რომლებიც გვიან დასახლდნენ ამ ტერიტორიაზე“ (გვ. 10), როგორც ვხედავთ, ნ. მჭედლიშვილს „ასურ-ბანიფალები“ ხალხი ჰგონია. ისიც გაურკვეველია, „ამ ტერიტორიაზე“ რა იგულისხმება, რომელ ტერიტორიაზეა ლაპარაკი? აზრობრივად, წინადადების მიხედვით, გამოდის, რომ „ასურბანიფალები“ ბერძნების ტერიტორიაზე დასახლებულან.

ერთგან წერს: „დამწერლობის უძველესი კერებია: ეგვიპტე, ასურეთი, ჩინეთი (გვ.8), შემდეგ: „იდეოგრაფიული დამწერლობის შემდგომ კერებს წარმოადგენს ჩინეთი, იაპონია, კორეა“. რას ნიშნავს „შემდგომ კერებს“ გაურკვეველია.

წიგნის ავტორი პტოლომეოსს ფარაონად იხსენიებს. მართალია, პტოლომეოსმა ბოლოს თავი მეფედ გამოაცხადა და დინასტიასაც დაუდო სათავე, მაგრამ ის ფარაონი არ ყოფილა. ეს სულ სხვა რამ არის (გვ. 13).

არც „კოდექსის“ დაკავშირებაა სავსებით უზუსტი ნიგნის ყდასთან. მას სულ სხვა წარმომავლობა აქვს (გვ. 14).

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის ამ ნაწილში ავტორის მიერ ნაკლებადაა გამოყენებული ხსენებული სახელმძღვანელოს ტექსტები, აქ მაინც ვხვდებით აქ-იქ პლაგიატიის ნიშნებს (გვ. 7-8). რაც შეეხება მომდევნო - მეორე თავს - „არქივი საინფორმაციო სისტემებში“, უკვე საკმაოდ გაჯერებულია ამგვარი ფაქტებით - გვ.: 29, 30, 31, 32.

ზოგ შემთხვევაში ნ. მჭედლიშვილი ცდილობს „შესწორებები“ შეიტანოს სახელმძღვანელოში, რომლიდანაც ის მზამზარეულ ფრაზებს იღებს. ასე მაგალითად: სახელმძღვანელოში სავსებით სწორად წერია, როგორც ეს საყოველთაოდ მიღებულია ძველი წელთაღრიცხვისათვის: „ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე“, ის კი ასწორებს: „ძვ. წ. III-IV საუკუნეთა მიჯნაზე“ (გვ. 20).

მესამე თავის დასახელებაში - „ბიბლიოთეკის სტრუქტურა და მისი ფონდები“ უზუსტოდაა გამოყენებული ნაცვალსახელი „მისი“. ის სტრუქტურას ეხება და არა ბიბლიოთეკას, როგორადაც ამას ავტორი ფიქრობს. ეს კიდევ არაფერი, ამ თავში ბევრგან რომ არ იყოს ადგილები გადმონერული ხსენებული სახელმძღვანელოდან, მართალია, პატარ-პატარა შემოკლებებით, მაგრამ ყოველგვარი შეკეთების გარეშე. აქვე ვხვდებით არასწორ განსაზღვრებებსაც - ბმა „ხარვეზების შევსებას“ გულისხმობს, დაუსწრებელი აბონემენტი - „ელექტრონული კატალოგით სარგებლობას“. ამ თავში, თუმცა სათაურში კია ნათქვამი „მისი ფონდები“, მაგრამ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ფონდებზე. ფონდებზე ლაპარაკია მომდევნო - IV თავში - „საბიბლიოთეკო ფონდები“, რომელიც სულ 17 სტრიქონისაგან შედგება. მოკლე და არაფრისმთქმელი თავია.

მე-5 თავი - „ტრადიციული საცნობარო-საინფორმაციო გამოცემები ბიბლიოთეკაში“ მთლიანად ეყრდნობა სახელმძღვანელოს და ბევრი ადგილი პირწმინდადაა გადანერილი.

მე-6 თავში - „საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია და საძიებო სისტემები“ - უამრავი შეცდომა. მიტაცებული მონაკვეთები, უზუსტობანი და შეუსაბამობანია. ნამდვილ ნონსენსად მიგვაჩნია, მაგალითად: „არსებობს აღწერილობის საერთაშორისო

სისტემა, რომელსაც უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაცია ეწოდება (უაკ)“. რა გამოდის? კლასიფიკაცია აღწერილობაა?

ან კიდევ: „ადამიანმა კაცობრიობის მიერ დაგროვილი უზარმაზარი ცოდნა დაყო გარკვეული ნესით, რასაც საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია ჰქვია“. როგორც ჩანს, ნ. მჭედლიშვილი ვერ ანსხვავებს მეცნიერებათა კლასიფიკაციას ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციისაგან, ისიც გაუგებარი რჩება, რა „გარკვეულ“ ნესზეა აქ ლაპარაკი. არც ისაა ამ თავში გარკვეული, თუ რომელი კატალოგისთვის გამოიყენება ინდექსაცია. რამდენადაც სავალალო არ უნდა იყოს, ათწლიანი კლასიფიკაციის, ძირითადი განყოფილებების ჩამოთვლისასაც კი დაშვებულია უხეში შეცდომები; ასეთია მაგალითად, 0 და მე-3 განყოფილებების ერთგვაროვნება. არაა ზუსტად მოცემული არც ანბანური კატალოგის განსაზღვრება.

რატომღაც კლასიფიკაციაზე საუბარი წყდება ანბანური კატალოგის შესახებ თხრობით, რის შემდეგაც იწყება ლაპარაკი სისტემატურ კატალოგზე, რითაც სავსებით დარღვეულია ლოგიკურობა. არც სისტემატური კატალოგის განსაზღვრებაა სრულყოფილი; სწორი არაა არც კარტოთეკების განსაზღვრება, არც გამოთქმა: „კატალოგში ლიტერატურა ლაგდება“... (კატალოგში არა ლიტერატურა, არამედ დოკუმენტების აღწერილობები ლაგდება).

მრავალი ნაკლი აქვს მე-7 თავს - „ინფორმაციის კითხვა საკატალოგო ბარათზე“. მრავალი ადგილი ან პირწმინდადაა გადანერილი უნივერსიტეტის სახელმძღვანელოდან ან მცირე შემოკლებებით და სიტყვების უმნიშვნელო გადანაცვლებით. ამგვარი რამ ამ ნიგნისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია (გარდა ხსენებული გვერდებისა, იხ.: 15, 16, 38, 39, 45, 46, 47, 63, 64, 65 გვ.). სხვათა შორის, ნიმუშებიც კი შეუცვლელადაა გადმოღებული უნივერსიტეტის სახელმძღვანელოდან. მთელი ნაწილი ელექტრონული კატალოგის შესახებ თავიდან ბოლომდე გადანერილია მცირე შემოკლებებით.

მე-8 თავი - „მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხი“ თავიდან ბოლომდე გადანერილია ზოგ-ზოგი ადგილის ამოგდებათა იგივე ითქმის მე-9 თავზეც - „მიღებული ინფორმაციის შერჩევა, დამუშავება შენახვა“,

მე-10 თავზე - „მასალის დამუშავების მეთო-  
დიკა“, მე-11 თავზე - „საავტორო უფლებების  
დაცვა ინფორმაციული მასალის გამოყენე-  
ბის დროს“. სწორედ ამ ბოლო თავშია ლა-  
პარაკი იმის წინააღმდეგ და იმ დამნაშავებ-  
ლურ ქმედებაზე, რასაც თვით ნ. მჭედლიშვი-  
ლი სჩადის.

ერთი სიტყვით, ნ. მჭედლიშვილის წიგნის  
სახით ჩვენ ხელთ შეგვრჩა ყოვლად უპასუ-  
ხისმგებლოდ, დაუდევრად, საქმის უცოდინ-  
არად შექმნილი „ნაშრომი“. ამაზე მეტყვე-  
ლებს ისიც, რომ წიგნს არც რეცენზენტები  
ჰყავს და არც რედაქტორი. ნ. მჭედლიშვი-  
ლის უახლოესმა თანამშრომლებმა და კოლე-  
გებმაც კი არ იცოდნენ, რომ ასეთი გამოცე-  
მა მზადდებოდა. თუ რატომ მოიმოქმედა ეს  
ამ სამარცხვინო წიგნის ავტორმა, ჩვენთვის  
გაუგებარია, რატომ მოინდომა ხელი მოეკი-  
და მისთვის შეუფრებელი და, პირდაპირ რომ  
ვთქვათ, მეტად საძრახისი საქმისათვის?

არ შეიძლება შენიშვნა არ გავაკეთოთ გა-  
მომცემლობა „ბარტონის“ მიმართ, რომელ-  
მაც საერთაშორისო ინდექსი, საავტორო  
უფლებების დაცვის სიმბოლო მისცა და დას-  
ტამბა წიგნი, რომელსაც არა ჰყავს არც რე-  
ცენზენტი, არც რედაქტორი, არც თანხმობა  
თუ რეკომენდაცია აქვს უნივერსიტეტისა,

მით უფრო, რომ „სალექციო“ კურსად იქნა  
მიჩნეული ეს წიგნი.

მართალია, გამომცემლობამ სინანული გა-  
მოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით და შეწყ-  
ვიტა წიგნის ტირაჟირება, მაგრამ პრეცედ-  
ენტი მომხდარია და მისი გაქრობა აღარ  
შეიძლება. არაა გამორიცხული, რომ რამდენ-  
იმე წიგნი ფიზიკურად დარჩება და ოდესმე  
რალაც გაუგებრობა და არასწორი შეხედუ-  
ლებების შექმნა გამოიწვიოს, ამიტომაც ამ  
შემთხვევის შესახებ დუმილი არ შეიძლება.  
ყველაფერი ობიექტურად უნდა დაფიქსირ-  
დეს, აღიარებულ იქნეს მისი უკანონობა და  
ცრუმეცნიერულობა, რომ მომავლისთვის  
დარჩეს საქმის ნამდვილი არსი და ვითარება.  
ეს რომ არ მოხდეს, სწორედ ამ მიზანს ემსა-  
ხურება წინამდებარე რეცენზია.

1 მჭედლიშვილი ნ. ლექციები საინფორმა-  
ციო წიგნიერებაში. -თბ.: ბარტონი, 2009.

2 ინფორმაციული წიგნიერება: ბიბლიოთე-  
კათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნო-  
ლოგიები: სალექციო კურსის შემდგ. ი. ფი-  
ლაური - თბ.: ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტი,  
2008. -100 გვ.

## ინფორმაციები

ქეთინო კენკებაშვილი

## პაერივით საჭირო წიგნები

იშვიათად ხდება ასეთი რამ - ერთი ავტო-  
რის ოთხი მონოგრაფია თითქმის ერთი წლის  
განმავლობაში ზედიზედ გამოდის და მაშინ-  
ვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცევა.  
ეს ითქმის ცნობილი მეცნიერისა და მკვლევ-  
არის, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტო-  
რის როლანდ თოფრიშვილის მიერ 2008-2009  
წლებში გამოცემულ წიგნებზე. თუნდაც ეს  
ფაქტი მეტყველებს ამ მოღვაწის შრომისუ-  
ნარიანობასა და თავგამოდებაზე, იმ პატრი-  
ოტულ მუხტზე, რომლითაც გარემოცულია  
მისი წიგნები. ყველა ისინი განსაკუთრებით

სადღეისოა და უაღრესად მნიშვნელოვან თე-  
მებს ეძღვნება.

ერთ-ერთი იხილავს ოსთა წინაპართა გან-  
სახლების საკითხს (თოფრიშვილი რ. ოსთა  
წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახ-  
ლების არეალი. თბ., 2008.-72 გვ.).

როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, ბოლო  
-ორი სამი წელია, რაც არაქართველთაგან  
მიზანმიმართულად ხდება საქართველოში  
ოსთა მიგრაციის ისტორიის გაყალბება, ქარ-  
თულ-ოსური ეთნოისტორიული ურთიერთო-  
ბების დამახინჯება. ყველასათვის ცხადია,





რომ ამას პოლიტიკური საფუძველი უდევს, რასაც რუსეთის თანამედროვე ხელისუფლება უკვე დაუფარავად მიმართავს.

წინამდებარე მონოგრაფიაში ავტორი არაერთ უძველეს თუ შემდეგდროინდელ წყაროებზე დაყრდნობითა და სხვათა მოსაზრებების გათვალისწინებით უტყუარად ასკვნის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსის გადმოსახლება შუა საუკუნეებში მოხდა - დასავლეთსა და შუა ქართლის მთიანეთში XVI საუკუნეში. შემდეგ თუ სად სახლდებოდნენ ოსები, ამაზე

წიგნში დეტალურადაა მოთხრობილი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

რ. თოფჩიშვილს, გარდა ამისა, სამი ნაშრომი აქვს მიძღვნილი ამ საკითხთან დაკავშირებით და თითქმის ამომწურავი მასალა აქვს მოპოვებული. საინტერესოა იმ წყაროების გაცნობა, რომელიც მას აქვს დამოწმებული ამ წიგნში. განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი გამოცემები, როგორიცაა:

Алемань А. Аланы в очерках и средневековых письменных источниках. – М., 2003;

Блиев М. Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отнашений. – М., 2006;


Гумилев Л. Н. Этносфера: история людей и история природы. – С.-Пб. – М., 2002.

Калоев Б. Осетинские историко-этнографические этюды. – М., 1999.

Мизиев И. М. Шаги к истокам этнической истории центрального Кавказа. – Нальчик, 1986.

და სხვა, რომლებიც ნათელს ჰფენენ ოსთა საქართველოში დასახლების ისტორიას. სწორედ ამასაც ემსახურება რ. თოფჩიშვილის ამ საკითხებზე მიძღვნილი ადრეული ნაშრომები და ამჟამად მკითხველთა სამჯავროზე გამოტანილი წიგნი.


წიგნი გამოცემულია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-



ტისა და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პასუხისმგებლობით. რედაქტორია აკად. მარიამ ლორთქიფანიძე; დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე რამდენიმე რუქა და მეტად ორიგინალურად შედგენილი სქემები ეთნო-ლანდშაფტის შესაბამისობისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის 2000-წლოვანი ისტორიის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებით. წიგნის ღირსება იმაშიცაა, რომ გარდა სპეციალისტებისა, ის სავსებით დააკმაყოფილებს ფართო მკითხველის მოთხოვნილებებსაც.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სახელმძღვანელო ეთნოლოგიაში - თოფჩიშვილი როლანდ. საქართველოს ეთნოლოგია: სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის. - თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009. -316 გვ. გამოცემაზე პასუხისმგებელია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გელათის მეცნიერებათა აკადემია.

ანოტაციაში ნათქვამია: «სახელმძღვანელო ეხება საქართველოს ეთნოლოგიის თითქმის ყველა კარდინალურ პრობლემას. მასში გადმოცემულია ქართული ეთნოლოგიის მიღწევები ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის სფეროებში. საუბარია ქართველი ხალხის მიღწევებზე სამეურნეო, მატერიალური, სულიერი კულტურის სფეროებში, სოციალურ ურთიერთობებში. ყურადღება მიქცეულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართველთა დემოგრაფიული ვითარება, ქართველთა აღმნიშ-







ვნელი ეთნონიმები, ეთნონიმები და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სახელწოდებანი, ქართული ხასიათი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, ქართული ანტიროპონიმიული მოდელი. ვრცლადაა მიმოხილული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. სახელმძღვანელო დაინტერესებს ყველას და ხელს შეუწყობს ქართველთა ეთნიკური ცნობიერების ამაღლებას».

სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორია ქეთევან ხუციშვილი. წიგნში ჩართულია საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების (ეთნოგრაფიული ჯგუფების) ფერადი რუკა, ბოლოს ერთვის საკმაოდ სრული ბიბლიოგრაფიული ნუსხა.

გასულ წელს ჩვენმა მკითხველებმა კიდევ ერთი მეტად საინტერესო წიგნი მიიღეს - თოფჩიშვილი როლანდი. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. - თბ.: უნივერსალი, 2008. - 134 გვ. სამეცნიერო რედაქტორია თამარ ბერაძე; წიგნს ერთვის ვრცელი მოცულობის «დამონმებული ლიტერატურა». შედგება შესავლისა და 4 თავისაგან: I. ქართველთა ეთნოგენეზი; II. ქართველთა ეთნიკური ისტორია; III. ქართველთა ეთნონიმები და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა



სახელწოდებები; IV. დასკვნის მაგიერ, ანუ რამ გადაარჩინა ქართველი.

წიგნში მკითხველი გაეცნობა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებს, იმ პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღეს

არა მარტო შესაბამისი დარგის სპეციალისტებისა, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებისაც. ეს არის: ეთნოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის და სხვა სამეცნიერო მიმართულებათა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. მონოგრაფია აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

აღნიშნული წიგნი გამოქვეყნებულია ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პატრონაჟით (პასუხისმგებლობით).

მიმდინარე წელს ჩვენი წიგნების თარო კვლავ გამდიდრდა ერთი საყურადღებო მონოგრაფიით - თოფჩიშვილი როლანდი. წოვა-თუშები. - თბ.: უნივერსალი, 2009. - 120 გვ. რედაქტორები არიან ქეთევან ხუციშვილი და როზეტა გუჯეჯიანი. დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე დამონმებული ლიტერატურა.

როგორც ცნობილია, წოვა-თუშების შესახებ მეცნიერებაში ურთიერთგამომრიცხავი აზრები არსებობს. მით უფრო საინტერესოა რ. თოფჩიშვილის ნაშრომი, რომელიც ბევრ საკითხს აშუქებს და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს.

თუშეთი ყოველთვის განსაკუთრებული ორიგინალურობით გამოირჩეოდა, სადაც ქართველენოვან თუშებთან ერთად არაქართველენოვანი თუშები - წოვა-თუშებიც ცხოვრობდნენ. ამ ენასთან ერთად წოვა-თუშები ისტორიულად თანაბრად ფლობდნენ ქართულ ენასაც. ამჟამად გარკვეულია, რომ წოვა-თუშები წარმოშობით ძველი ქართველები არიან.

წინამდებარე წიგნში ლაპარაკია არა მარტო წოვა-თუშების სადაურობა-წარმომავლობაზე, არამედ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, მათ ცხოვრებაზე, თანამედროვე ვითარებაზე.

# მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა

Thursday, 23 April, 2009, 02:47 AM - ზოგადი

21 აპრილს ოფიციალურად გაიხსნა „მსოფლიოს ციფრული ბიბლიოთეკის“ საიტი (<http://www.wdl/ord/>), რომლის საშუალებითაც ინტერნეტში რამდენიმე ენაზე უფასოდ გამოქვეყნდება მსოფლიოს სხვადასხვა კულტურის ამსახველი მასალები: ხელნაწერები, რუკები, იშვიათი წიგნები, მუსიკალური ნოტები, ჩანაწერები, ფილმები, ფოტოები, ბეჭდური მასალები, არქიტექტურული ნახაზები და სხვა. „მსოფლიოს ციფრული ბიბლიოთეკის“ მიზანია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს კულტურათაშორისი ინფორმაციის გაცვლა, უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურ-

სები, გააფართოვოს არა-ინგლისური და არა-დასავლური რესურსები ინტერნეტში, ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებს.

ამ ბიბლიოთეკის შექმნის იდეა ეკუთვნის აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორს, დოქტორ ჯეიმს ბილინგტონს, რომელმაც ამის შესახებ იუნესკოს ეროვნული კომისიის თათბირზე განაცხადა 2005 წელს. კონგრესის ბიბლიოთეკა აქტიურადაა ჩართული ბიბლიოთეკის შექმნაში. პროექტში მონაწილეობას იღებს მრავალი ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკა და კულტურის დანესებულება და აგრეთვე იუნესკო.

## ჩვენი შემოქმედება

მარიამ შამფრიაანი

### აფხაზეთი, სამაჩაბლო - საქართველო!

*მარიამ შამფრიაანს ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ. მის შესახებ და მისი ნაწარმოები კიდევ დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში. საბიბლიოთეკო საზოგადოება ღირსეულად აფასებს ჩვენს ამ კოლევას და მხედველობიდან არ კარგავს შრომითი საქმიანობიდან მისი წასვლის შემდეგ. ამის დასტურია დღეს მის მიერ ადრე დაწერილი ფრიად გულთბილი, გულწრფელი და ემოციური სიტყვა, რომელსაც დღეს ვბეჭდავთ ჩვენს ჟურნალში.*

მწვერვალ უშბას დასავლეთით, სოფელ მაზერიდან ბალყარეთში გადასასვლელ უღელტეხილისაკენ მიმავალ უდაბურ ბილიკის პირას, არის მცირე, პატარა მღვიმე, რომელსაც შაჰანის გამოქვაბული ჰქვია. გადმოცემით ამ გამოქვაბულს ოდესღაც თავს აფარებდა ყაჩაღად გავარდნილი აფხაზი ვაჟკაცი სახელად შაჰანი.

ერთ დღეს აქ ერთმანეთს შეეფეთნენ შაჰანი და სვანი მონადირე. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა აფხაზი აბრაგი. სულთმოზრდავმა მონადირეს სთხოვა, წადი და ჩემი ამბავი დედაჩემს ამ-

ცნეო აფხაზეთში. მერე და როგორ მივაგნო დედაშენსაო, ჰკითხა მონადირემ. გაჰყევი მზეს და, სადაც მნათობი ჩაეფარება, იმ ადგილას გადადი ხოლმე, ასე იარე ექვსი დღე, მეშვიდე დღეს რომ გადაივლი, მის ძირას ჩემი სოფელია და იქ იკითხეო დედაჩემი. სვანმა ზუსტად აღასრულა მომაკვდავის თხოვნა. ზუსტად მეშვიდე დღეს ჩააღწია დანიშნულ ადგილას და როგორც ძველად სვანეთში მოკლულ ვეფხვს თუ ჯიქს დაიტირებდა ხოლმე მონადირე, ისე შესტირა აბრაგის დედას და ყველაფერი უამბო.

ერთადერთი ძის დედამ გულთმისნურად გა-

უგო და მიუტევა. ასევე - მთელმა სოფელმაც.

... ეს თქმულება იმისათვის გავიხსენე, რომ ოდითგანვე ჩვენსა და აფხაზებს შორის ასეთი ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა, პატივისცემა არსებობდა.

ვინ მოთვლის, რამდენი მსგავსი თქმულება არსებობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ქართულ ლიტერატურაში. აკაკის „გამზრდელი“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, გალაქტიონის „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ და სხვანი... სხვანი და სხვანი.

აი, თუნდაც რამხელა სიყვარულია გიორგი ლეონიძის ლექსში „აფხიარცა“ (აფხიარცა აფხაზეთში მუსიკალური საკრავია):

„ზღვის და მთების მომღერალო,  
რომ სწურავდი ცრემლს, ხან ბალღამს,  
დღეს დამშვენდი ხალხის გულზე,  
ვარდი შენ ხარ, ოქროს ტალღაც.“

სულ მესმოდა შენი თრთოლა,  
შენი ჟღერა, შენი ხმაცა,  
ფანდურის ძმავ, ხმადამტკბარო  
აფხაზურო აფხიარცა!

ერთ არწივის ორი ფრთა ხართ  
ერთი დიდი გულის თქმაცა!  
წყალი მიდის წყალისაკენ  
და ძმობილი ძმობილს ეძებს,

მეგობარო ძველის ძველო,  
გული თაფლით შემინებე!  
ერთად ჟღერდეთ როგორც არსად  
ფანდურო და აფხიარცა“

ერთად ემღერათ ფანდურსა და აფხიარცას, - ასეთი იყო მუდამ ქართველთა და აფხაზთა სურვილი.

დღეს?

იმპერიის შავზნელ ძალთაგან, საქართველოს თავისუფლების დაუძინებელ მტერთაგან გონდაბინდული ნაწილი აფხაზეთისა ლამობს დანა დაუსვას ჩვენი ორი ერის საერთო ორგანიზმის სისხლძარღვებს, ძმა ძმას სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს. არ უწყიან, რომ ძმა ძმითაა მაგარი, რომ მკრეხელობაა დედას განუდგე და დედინაცვლის

მზეს ჰფიცავდე.

საბედნიეროდ ხალხი ბრძენია, მწამს, რომ კვლავ ერთად იუღერებს ფანდური და აფხიარცა!

\*\*\*

მე თბილისის ნაძალადევის რაიონში დავიბადე და გავიზარდე. აქ ბევრი ოსური ოჯახია და მეც არა ერთი ბავშვობის მეგობარი მყავს ოსური ეროვნებისა, რომელთაც უყოყმანოდ ვენდობოდი და ვენდობი ახლაც, ვინაიდან ისინი მუდამ ქართული სულის მადლს არიან ნაზიარები. ჩვენს ბიბლიოთეკას არაერთი ოსი მკითხველი ჰყავს. მე მათ ყველას კარგად ვიცნობ. ვიცი მათი სულისკვეთება. ისინი გმობენ ოს ექსტრემისტებს, კარგად უწყიან, თუ რას უმზადებენ ეს უკანასკნელნი თავიანთ ერს, როცა არაფერს ერიდებიან იმისათვის, რომ მშობელი ხალხი ვეშაპს მსხვერპლად მიუტანონ, თავის ძუძუს მოსხლიტონ საქართველოს ისტორიული მიწაწყალი - შიდა ქართლი. არ გამოუვით! ღმერთი მაღალია და ყოველისმხედველი!


მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენც, საბიბლიოთეკო საქმის მუშაკებმაც უნდა გამოვიღოთ ხელი, მხარში ამოვუდგეთ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, რომ მოვიახლოვოთ ნანატრი ოცნების აღსრულება, რომ ვერავინ გაბედოს, ერთ გოჯი მიწაც კი წაგვტაცოს ჩვენი სათაყვანო მამულისა.

მე ჩემს შვილებს ვუკითხავდი, ამჟამად შვილიშვილებს ვუკითხავ მოთხრობებს, ზღაპრებს აფხაზების, ოსების, ჩვენი ისტორიული ძმების ყოფაზე. მათ შეიყვარეს ამ ხალხების ისტორიული თუ ლეგენდების გმირები - სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლნი. მჯერა, სიკეთე გაიმარჯვებს, სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის და დღევანდელი მოზარდები იცხოვრებენ ერთად, განუყოფელ, თავისუფალ, ღვთით კურთხეულ საქართველოში.



## რეფერირება კომენტარებით

(გულნარა სტურუას სტატიის გამო)



გასული წლის 30 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობისა და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციის წევრის, ჟურნალისტ გულნარა სტურუას სტატია „ბიბლიოთეკა ჩვენი მღელვარებისა“.

სამწუხაროდ, ეს ისეთ პერიოდს დაემთხვა, როდესაც მკითხველთა უდიდეს რაოდენობას შენელებული აქვს აქტივობა გაზეთების კითხვის მიმართ, საბიბლიოთეკო საზოგადოებაც მიმოფანტულია ცხელი ზაფხულის ამ თვეში, მაგრამ მთავრობა, ის დანესებულებები, რომლებიც მოვალენი არიან ყურადღება მიაქციონ დარგს, ხომ ადგილზე იყო? რატომ არავითარი რეაქცია არ მოჰყვა ამ მწვავე და მეტად საყურადღებო სტატიას? ახლა გვინდა კვლავ წინა პლანზე წამოვნიოთ ის და გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს მისი ძირითადი პოსტულატები.

რაც ყველაზე მთავარია ამ სტატიაში, გ. სტურუა დასაწყისშივე იძლევა და ჭეშმარიტად საფუძვლიანად აფასებს საბიბლიოთეკო დარგისა და მისი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების არსებულ მდგომარეობას. ის წერს:

„ამ ბოლო დროს საინფორმაციო წყაროებიდან (რადიო, ტელევიზია) მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაბამის ინსტანციებში იქმნება ახალი პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის აღორძინება-განვითარებას, ხოლო, რა პროგრამებია, ვინ ადგენს (თუ უკვე შეადგინეს?) ეს პროგრამები, მონაწილეობენ თუ არა ამ ღონისძიებებში საბიბლიოთეკო დარგის პროფესიონალები, მეცნიერები, ეს არავინ უწყის. ასეთი პროგრამა საბიბლიოთეკო საქმით დაინტერესებულ საზოგადოებას ჯერ არ უნახავს და არ წაუკითხავს, ვინ იცის, სად რა იქმნება და ვინ რას ფიქრობს ამ დარგზე დღეს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ

გასულ წლებში, განსაკუთრებით 2007-ში, საბიბლიოთეკო საქმის საგულდაგულო ნგრევა მიმდინარეობდა და ამ „მიმდინარეობას“, ვინ მოთვლის, რამდენი უძვირფასესი წიგნი, ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი რამდენი შენობა-ნაგებობა და, რაც მთავარია, რამდენი ინტელექტუალ-ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილი შეენირა“.

ამის საილუსტრაციოდ ავტორს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს: საგარეჯოს რაიონში 33 ბიბლიოთეკიდან 4 დარჩა; ონის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალებიდან (სასოფლო ბიბლიოთეკებიდან), რომელთა რიცხვი 24-ს შეადგენდა, ამჟამად მხოლოდ 9 მოქმედებს; ახალქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ადრე ექვემდებარებოდა 88 ბიბლიოთეკა, ამჟამად აქ მხოლოდ 5 ბიბლიოთეკა დარჩა; ყაზბეგის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შედიოდა 28, ახლა კი სულ რაიონში 8 ბიბლიოთეკა არსებობს.

გ. სტურუა სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ სხვაგან ყველგან, უმეტეს შემთხვევაში, უარეს ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ჩვენგან დავუმატებდით ერთ მაგალითს: ახლა მთელ აჭარაში, თუ სკოლის ბიბლიოთეკებს არ ჩავთვლით, სულ 6 ბიბლიოთეკა მოქმედებს. სოფლის ბიბლიოთეკები სკოლის ბიბლიოთეკებს შეუერთეს. არავინ იცის, რა მდგომარეობაში არიან ისინი, რა დღეშია მათი ფონდები, როგორ ემსახურებიან მოსახლეობას, როცა ამის გამოკვლევა დავაპირეთ, შესაბამისი სამინისტროდან ჩვენს კითხვებზე ფორმალური, მშრალი პასუხები გავცეცეს, რომლებისგანაც ნათლად ჩანს სამინისტროს სრული თვითკმაყოფილება. არავინ არ ფიქრობს, განაზოგადოს იქაური გამოცდილება, რომ ჩვენ დავრწმუნდეთ, ამ „რეფორმამ“ რა სიკეთე მოიტანა, და სხვებსაც შევთავაზოთ ასეთი რამ. ბოლოს და ბოლოს, საჭირო ხომავ, დამუშავდეს ამგვარი ბიბლიოთეკების ტიპოლოგიური თავისებურება და მეთოდოლოგია?

სტატიასი ერთი მნიშვნელოვანი რიტორიკული შეკითხვაა დასმული: „ვინმემ ხმა ამოიღო და წინააღმდეგობა გაუწია ამ უცნაურ მოვლენას?“ ქალბატონი გულნარა თვლის, რომ „ბიბლიოთეკების მასობრივი ნგრევის პროცესი საზოგადოებისა და თვით ბიბლიოთეკარების გულგრილობისა და გასაოცარი დუმილის ვითარებაში მიმდინარეობდა“, მართალია, ასე იყო და არის, მაგრამ ამას ხომ თავისი სოციალური საფუძველი აქვს, რაშიც ბიბლიოთეკარები დამნაშავენი არ არიან. სამართლიანია ისიც, რომ „დღესაც არ ვფლობთ სრულ ინფორმაციას საბიბლიოთეკო საქმის არსებულ ვითარებაზე და სამომავლო გეგმებზე“.

ამის შემდეგ გ. სტურუა ეხება საბიბლიოთეკო დარგში მეცნიერული მოღვაწეობის საკითხს. მას მიაჩნია, რომ „ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობა დღეისათვის მოისუსტება... 80-იანი წლების ახალი თვალსაჩინო მკვლევარ-მეცნიერები ამ დარგს არ შეუძენია“.

ამასაც თავისებური მიზეზები აქვს, თუმცა მიზეზების არსებობა მდგომარეობას ვერ ცვლის. ბიბლიოთეკათმცოდნეობას ამ წლებში ძალიან გაუჭირდა. ერთადერთი ორგანო, სადაც მეცნიერული მოღვაწეობა მიმდინარეობდა, ეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა იყო. ვერ ვიტყვი, რომ ის არ აგრძელებდა ადრინდელ ტრადიციებს, მაგრამ შემდეგში დამკვიდრებულმა ამ დარგის მეცნიერულ მოღვაწეობისადმი უყურადღებობამ და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში მომხდარმა ცვლილებებმა მართლაც მძიმე დალი დააჩინა მთელ დარგს. საგრძნობლად გამოსწორდა მდგომარეობა, როდესაც ფაკულტეტი 5-წლიანად და, ფაქტობრივად, ორპროფილიანად გადაკეთდა. მზადდებოდნენ ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფებ-ინფორმატიკოსები უცხო ენისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალიზაციით. გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, დაინერგა მათი გაგზავნა სტაჟირებისთვის უცხოეთში, კათედრას ხშირად სტუმრობდნენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები ამერიკიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. სტუდენტები ესწრებოდნენ ბიბლიოთეკართა ტრენინგებს, სამეცნიერო სესიებს. ყოველწლიურად ტარდებოდა

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რამდენიმე სტუდენტი დაჯილდოვდა, გაიხსნა ასპირანტურა, ოთხმა ახალგაზრდამ დაიცვა ხარისხი, თუმც ეს ძალიან გართულებული იყო იმის გამო, რომ ხარისხის დაცვა შესაძლებელი იყო მხოლოდ პედაგოგიკის სპეციალიზაციით, რასაც პედაგოგიკოსები რატომღაც სკეპტიკურად უყურებდნენ, ეს კი დიდი ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა.\* ყოველივე ამან, როგორც გ. სტურუა აღნიშნავს, „ქართული ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული საქმის ზრდა-განვითარებაზე საგრძნობლად იმოქმედა“. შემდეგ უარესი მოხდა: გაუქმდა კათედრა, გაუქმდა სპეციალობა, ადრე მიღებული სტუდენტები, ფაქტობრივად, მოუმზადებლები გარეკეს რაღაც ფორმალური ნიშნების დაცვით. ათიოდე წლის წინ კულტურის უმნივერსიტეტში გახსნილი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ნიგმცოდნეობის სპეციალობა, რომელიც აგრეთვე ტექნოლოგიური მენეჯმენტის სპეციალიზაციით გადაკეთდა, აღნიშნული უნივერსიტეტის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ გაუქმდა. ცხადია, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობას არაფერი საერთო არ ჰქონდა თეატრსა და კინოსთან და ადვილად შეელიენ მას. ამ შემთხვევაშიც იქნა დაშვებული ერთი შეუსაბამობა: ამ შეერთების შემდეგ უნდა დარჩენილიყო სახელწოდება არა „კინოსა და თეატრის“, არამედ „კულტურის უნივერსიტეტი“, რაც უკვე მოსათმენს გახდიდა აქ როგორც კინო-თეატრის, ისე კულტურის სხვა დარგების არსებობას.

ამჟამად არ არსებობს სპეციალისტთა მომზადების არავითარი ობიექტი და არც მეცნიერული მოღვაწეობისათვის საჭირო ბაზა.

სტატიის ავტორი იხსენებს თანამედროვე თვალსაჩინო მწერლის თამაზ ჭილაძის ნატურას - „თუკი სახელმწიფო შექმნის ბიბლიოთეკების ფართო ქსელს...“ და თავის კომენტარს აკეთებს: „... დიახ, თუკი შექმნის თანამედროვე საბიბლიოთეკო ქსელს, ბევრი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე აენყობა. მაგრამ ქვეყანას, რომელმაც ყოველგვარი გათვალისწინებული გეგმის გარეშე დაანგრია არსებული ქსელი, ახლის შექმნა ძალიან გაუჭირდება“.

შემდეგ გ. სტურუა ეხება დედაქალაქში მთავარი ბიბლიოთეკის აღორძინების საკითხს და დიდ მიღწევად აფასებს მას, მაგრამ ეს იმდენად ცოტაა, რაიმე არსებით გავლენას ვერ ახ-

დენს მთელ საქმიანობაზე.

ამის შემდეგ ის კვლავ უბრუნდება საბიბლიოთეკო მეცნიერების განვითარების საკითხებს. აქვე სვამს შეკითხვას, მართალია, ვიცით, რომ ბიბლიოთეკათმცოდნობა ჩამორჩა, „მაგრამ ვიცით კი ვის ჩამორჩა და სად გაჩერდა? თუ ჩვენ არ ვიცით სად ვართ, მაშინ როგორ მივაგნებთ საწინასწარკენ მიმავალ გზას?“ ავტორი მოგვიწოდებს: „უპირველესად, უნდა ამაღლდეს ამ დარგის სოციალური პრესტიჟი და სამეცნიერო ავტორიტეტი. მოვიპოვოთ დამატებითი დაფინანსება, შევძლოთ ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდა-გამოვლენა, რათა აღდგეს და შეივსოს სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები. ეს აუცილებელია! მაგრამ ვინ აღზარდოს ეს ახალგაზრდები, სად არის ის გამოცდილი კადრი? უცერემონიოდ, ნაძალადეგ პენსიაზე გაშვების ნაცვლად, ვფიქრობ, რომ მათი გადამზადება იყო საჭირო... ბევრი მათგანი ახალი, თანამედროვე იდეებისათვის არა მხოლოდ მზად იყო, არამედ ისინი თავად მივიდნენ ამ ახალ იდეებამდე...“

შემდეგ გ. სტურუა აკრიტიკებს საბიბლიოთეკო საქმეში ვოლუნტარისტულ მოქმედებას და აღნიშნავს: „ახალი, თანამედროვე სამეცნიერო მიმართულებების ჩამოყალიბება რეალური პრობლემებით და მოთხოვნებით უნდა მოხდეს ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტში და არა რომელიმე სამთავრობო უწყების რომელიმე კაბინეტში და არც, თუნდაც თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფილ რომელიმე სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“. ამავე დროს ის სწორად აღნიშნავს, რომ თანამედროვე ცხოვრებამ ახალი და გაუთვალისწინებელი პრობლემების წინაშე დააყენა აღნიშნული დარგი, წარმოიშვა იდეოლოგიური ვაკუუმი, რითაც ძალიან ცუდად ისარგებლეს საქართველოში ე. წ. რეფორმატორებმა და დარგის საჭირობოროტო საკითხების მოსაგვარებელი გზის ძიების ნაცვლად, პრობლემა ამ დარგის უგულვებელყოფით გადაწყვიტეს.

სხვათა შორის, ეს რომ ასეა, ჩვენი ჟურნალის არაერთ სტატიაშია გამომჟღავნებული. ისიც არაერთგანაა ნათქვამი, რომ დღეს ბიბლიოთეკა სულ სხვა რამ არის, სულ სხვა დანიშნულებებითა და ფუნქციებით, ახალმა ტექნოლოგიებმა შეუცვალეს მას სახე, მაგრამ ვერ დაუკარგეს მთავარი - ინფორმაციით მასების უზრუნველყოფის ფუნქცია. დღეს, თუ

კი საზოგადოების ინფორმაციულობა იქცა უმთავრეს ამოცანად, არ არსებობს ქვეყნად სხვა ისეთი დანესებულება, რომელიც ამას ბიბლიოთეკაზე უკეთესად გააკეთებს, თუკი ამ უკანასკნელს აღვჭურავთ ამ ფუნქციებითა და საჭირო ტექნოლოგიებით.

გ. სტურუა თავის ნაშრომში ეხება ელექტრონულ კომუნიკაციებს და ავრცელებს აზრს, რომ მთელ მსოფლიოში დადგა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც ინფორმატორ-ტექნოკრატებმა წამოაყენეს. მათი გაგებით, ელექტრონული კომუნიკაციები ეს ისაა, რაც პერსპექტივაში ინვესტს საბიბლიოთეკო საქმის შეცვლას. ერთ-ერთმა ინტერნეტ კომპანიამ (Google) გამოაქვეყნა პროექტი „მსოფლიო ელექტრონული ბიბლიოთეკის“ შექმნისა. კომპანიამ 10 მილიონი წიგნი უფასოდ გამოფინა ინტერნეტში. სტატიის ავტორი სვამს კითხვას: მართლაც, თუ ამგვარ რასმეს შეუძლია უკეთ დააკმაყოფილოს კაცობრიობის სულიერი მოთხოვნები, ვიდრე ეს შეუძლია მსოფლიოს საბიბლიოთეკო ქსელს, ხომ არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას ქვეყნად საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული სამსახურები? დარჩა თუ არა წიგნი აუცილებელ ინსტრუმენტად ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად? ავტორს მიაჩნია, რომ ეს სოციოლოგიური კვლევის საგანია და ამ დარგის სპეციალისტებისგან უნდა მივიღოთ პასუხი. ეს ჯერ გადაუწყვეტელი პრობლემაა, მაგრამ, მკვლევარი საკმაოდ სარკასტულად ამბობს: „... ჩვენი ძვირფასი რეფორმატორები ამ პრობლემების გამო ნამდვილად არ დარევიან ბიბლიოთეკებს, ოპტიმიზაციის თავისებურმა გაგებამ საქართველოში ბიბლიოთეკების მასობრივი განადგურება გამოიწვია“.

ჩვენი აზრით, როგორი ელექტრონული ბიბლიოთეკებიც არ უნდა შეიქმნეს, ბიბლიოთეკა მაინც ბიბლიოთეკაა და მას სპეციალისტი ესაჭიროება, რომელსაც მომზადება და დასაქმება უნდა, მისი სწავლება და მეცნიერული ბაზის შექმნა აუცილებელია. როგორ მოხდება ეს ჩვენში, დღეს არავინ იცის. ესეც რომ არა, ჩვეულებრივი ნაბეჭდი წიგნი შეიძლება მასალითა და ფორმით შეიცვალოს, მაგრამ წიგნურ თვისებებსა და ბუნებას ის ვერ დაკარგავს, თუნდაც ამისთვისაც გვჭირდება ჩვენ განსწავლული, სპეციალობამიღებული კადრები.

სტატიის ავტორი ეხება ბიბლიოთეკისა და სახელმწიფო ურთიერთობას, გამოთქვამს თავის შეხედულებას, რომ საზოგადოების იძულებით სახელმწიფომ უნდა აღიაროს საბიბლიოთეკო საქმის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც კულტურულ-ნაციონალური საგანძურისა. „დღევანდელ საქართველოში, - ამბობს ის, - სახელმწიფოს თანადგომის გარეშე საბიბლიოთეკო საქმე ვერ განვითარდება, სახელმწიფო და ბიბლიოთეკა ეს საბიბლიოთეკო პოლიტოლოგიის საგანიც უნდა იყოს, იგი მოითხოვს დიდ ყურადღებას.

სტატიაში მოკლედაა აღნიშნული საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არსებული ვითარება, როდესაც 3 სუბიექტი: სახელმწიფო, მკითხველ-მომხმარებლები და საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები ერთობლივად ქმნიდნენ ე. წ. ვერცხლის საუკუნის წიგნების სუპერსისტემას და თავის სასარგებლოდ როგორ იყენებდნენ მას კომუნისტები. ქალბატონი გულნარა ტელეჟურნალისტების ერთ-ერთ გამოსვლას იმონებებს, როდესაც ჟურნალისტები შეკითხვას უსვამდნენ ჩვენს ხელისუფლებას, რატომ არ სურს მას გამოიყენოს ამგვარად მათი ენერჯია, და ანალოგიურად ბიბლიოთეკარების სახელით სვამს მსგავს შეკითხვას: „რატომ უგულუბელყოფს ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული საქმის განვითარებას დღევანდელი ხელისუფლება, ბიბლიოთეკა ხომ ცოდნისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გარანტია და იგი უთუოდ ხელს შეუწყობს დემოკრატიული წყობილების გაძლიერებით დაინტერესებულ ხელისუფლებას?“

ქალბატონი გულნარა ანვითარებს იმ აზრს, რომ ბიბლიოთეკებისადმი ხელისუფლების ამგვარი უყურადღებობა გამონვეულია იმით, რომ ამ დაწესებულებებს არავითარი ეკონომიური სარგებლობა არ მოაქვს. ამითაა გამონვეული ისიც, რომ „საგრძობლად შემცირდა ან სრულიად გაუქმდა ბიბლიოთეკებზე მზრუნველი მუშაკები განათლებისა და კულტურის სამინისტროებში და სხვა სამთავრობო ორგანიზაციებში. თუ ვინმე რამეს აკეთებს ამ მხრივ, მხოლოდ კულტურული და დემოკრატიულობის იმიჯის შესაქმნელად...“ ის კვლავ მოითხოვს ბიბლიოთეკისა და საზოგადოების აქტივობის ზრდას, რის გარეშე ვერ მოხერხდება საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის გაუმჯობესება. სამართლიანად აცხადებს: „ჯერჯერობით საქართველოში რეგიო-

ნალურ, დარგობრივ და მუნიციპალურ დონეზე არ (ვერ) შეიქმნა ძლიერი გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც მოამზადებენ წიგნების დემოკრატიულ სუპერსისტემაზე გადასასვლელ პროგრამებს“. ამის შემდეგ ის ეხება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას და აღნიშნავს მის დადებით მხარეებს.

ბოლოს, ეხება რა კვლავ სახელმწიფოს დამოკიდებულებას საბიბლიოთეკო საქმისადმი, ავტორი ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოსათვის ეკონომიკის დარგში არ არის ნათელი ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობის ეფექტი“, მას შეუძლია დაიანგარიშოს ბიბლიოთეკებისათვის განეული დანახარჯები, მაგრამ „არავინ იცის ამ დანახარჯის ამოგების დათვლა, არავინ იცის ბიბლიოთეკების მიერ შექმნილი ნაციონალური სიმდიდრის ღირებულება!“ ამიტომაც მათ სხვის კმაყოფაზე მყოფ სუბიექტებად მიიჩნევენ და „სწორედ აქედან გამომდინარეობს ის დაბალი (შეურაცხმყოფელიც კი!) სახელფასო სარგოები, რომელსაც დღემდე ღებულობენ საქართველოს ბიბლიოთეკარები“. დასასრულ, ავტორი ასკვნის: თუ ბიბლიოთეკარის შრომამ „არ შეიძინა საბაზრო ღირებულება, ბიბლიოთეკები ვერასდროს ვერ გახდებიან ეკონომიკურად დამოუკიდებელი“.

ასეთია გულნარა სტურუას აღნიშნული სტატია. თქვენ შეაფასეთ, რამდენად სამართლიანად აშუქებს ის მოვლენებს, რაშიც ჩვენ პირადად ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ საქმე იმაშია, ვინ უსმენს „ღალადის უდაბნოში“. გვყავს კი ჩვენ ისეთი პიროვნებები (მე ჩინოვნიკებს ვგულისხმობ), რომლებიც მიაქცევენ ამას ყურადღებას? თვით საქმის მესვეურებიც კი შეინუხებენ თავს? იმაზეც უნდა ვიყოთ მაღლიერნი, თუკი წაიკითხავენ, საერთოდ!

ასეთია ჩვენი რეალობა და რა ვქნათ? თავად იფიქრე, მკითხველო!

### კონწარა

**\* 2007 წლის №3 ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ საფუძვლიანადაა გაშუქებული დარგში არსებული სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ა. ლორიასა და გ. თაყნიაშვილის სტატიაში „ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება და საბიბლიოთეკო კადრების მომზადება საქართველოში 1921-1990 წ. წ.: (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)“.**



## ქრონიკა

## საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

● 17 მარტს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის სხდომა, შეიმუშავეს მიმდინარე წლის საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარების გეგმა. გადაწყდა შემოუშავებულ იქნეს სპეციალური პროექტები ცალკეული ღონისძიებების დაფინანსებისათვის. პროექტების შედგენა და კოორდინაცია დაევალა თ. ხოსრუაშვილს. გამგეობის სახელით პროექტები გადაეცემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს.

● 1 აპრილს საქართველოში სტუმრად იყვნენ ევროპის საბიბლიოთეკო სასწავლებლების წარმომადგენლები: ალან ჰოპკინსონი (ლონდონი), საიმონ ბერნეტი (შოტლანდია), ფლორიკა კამპეანუ (იტალია), ანგარის გუხანში (ლატვია). ისინი თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად მონაწილეობენ ტემპუსის სამწლიან პროექტში „ახალი სამაგისტრო პროგრამების შექმნა საბიბლიოთეკო და საარქივო საქმისათვის“.

● 31 მაისს ქ. თბილისის ინტელიგენციისა და ამავე ქალაქის მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის მკითხველთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დაარსებიდან ასი წლისთავი, მთავარი

ბიბლიოთეკა მერიის დაფინანსებით აღიჭურვა ახალი ტექნოლოგიებით, გადაეცა ახლად შეკეთებული ბინა (ტოვსტონოგოვის ქ. № 2), რითაც მკვეთრად გაუმჯობესდა მკითხველთა მომსახურება.

სტუმართა შორის იყვნენ პროფ. ქეთევან ლორთქიფანიძე და მზექალა შანიძე. ოფიციალურ შეხვედრას უძღვებოდა მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ცისანა ქოჩეჩაშვილი.

● 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ერთად ჩაატარა საქველმოქმედო ღონისძიება, რომლის მიზანი იყო ზრუნვამოკლებულ ბავშვთა დახმარება. ღონისძიებას დახმარებას უწევდა კომპანია „ბილაინი“. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოენყო ბავშვთა ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, გაიმართა ფილმების ჩვენება, ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები. შემოსული თანხა გადაეცა ბავშვთა სახლს „რწმენა“.

● 4 ივნისს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ლექცია წაიკითხა აშშ-ის საბიბლიოთეკი ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა მორის ფრიდმანმა. საუბარი ეხებოდა აშშ-ი ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობის, ამავე ქვეყნის საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებულ პრობლემებს.

ნეკროლოგი

# ლუიზა (დოდო) პაპუაშვილი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა გამოცდილი სპეციალისტი, შესანიშნავი ბიბლიოგრაფი ლუიზა (დოდო) პაპუაშვილი. იგი დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანში 1946 წელს. 1965 წელს დაამთავრა თბილისის 62-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1970 წელს დაამთავ-

რა აღნიშნული უნივერსიტეტი ფრანგული ენის სპეციალისტის კვალიფიკაციით.

1979 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. თავიდანვე იზიდავდა მას ბიბლიოგრაფიული საქმიანობა და ამ სპეციალობით მუშაობდა იგი გარდაცვალებამდე. ბიბლიოთეკარისათვის დამახასიათებელმა თავმდაბლობამ, ბიბლიოგრაფიული ძიების სპეციფიკის ღრმად გაცნობამ და უტყუარმა ალლომ კიდევ ჩამოაყალიბა პროფესიონალ ბიბლიოგრაფად. იყო მრავალი ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შემდგენელი და ბიბლიოგრაფიული რედაქტორი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი დიდტანიანი ბიბლიოგრაფიული საძიებელი, როგორცაა „ეთნოგრაფია-ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ (თბ., 2004). როგორც კონსულტანტმა ბიბლიოგრაფმა მან დიდი ამაგი დასდო აღნიშნული საძიებლის გამართვასა და რედაქტირებას.

დოდო პაპუაშვილმა წლების განმავლობაში დააგროვა მდიდარი გამოცდილება ბიბლიოგრაფიული ევრისტიკის დარგში, იგი შესანიშნავად ერკვეოდა პირველწყაროში ძიების თეორიასა და მეთოდოლოგიაში, იყო ტაქტიანი, გულისხმიერი და ღრმად ერუდირებული პიროვნება.

*საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა,  
საქართველოს საბიბლიოთეო ასოციაცია,  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“  
რედაქცია.*

